

გიგი თევზაძე

ჩვენი დრო, სფინქსი და ძეგლის ისარი
(ცნობიერების ესტეტიკა)

1993

სარჩევი:

ნაწილი I. ჩვენი დრო	3
I	3
II	9
III	12
IV	14
V	17
VI	19
II ნაწილი. ჩვენი ადგილი	22
I	22
II	26
III	29
IV	32
V	34
VI	36
დამატება: თამაშის ფენომენოლოგია	44
III ნაწილი. მესამე ელემენტი	52
I	52
II	57
III	63
IV	66
V	71
VI	75
ილუსტრაცია: ზღაპრის ესთეტიკა	77
ბოლოსიტყვაობის მაგივრად	84

ნაწილი I. ჩვენი დრო

I

პლატონი „სახელმწიფოს“ VII წიგნს – გამოქვაბულის ცნობილ მითს იწყებს შემდეგი სიტყვებით:

μετα ταυτα δη, ειπον, απεικασον τοιουστω παφει την ημετεραν φουσιν παιδειαχ τε περι και απαιδευσιαχ („ამის შემდეგ შენ შეგიძლია მიამსგავსო ეს მდგომარეობა განათლების და გაუნათლებლობის ჩვენეულ ბუნებას“).

“განათლებულობა“ აქ პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა იყოს გაგებული. ბერძნული სიტყვა παιδεια ნიშნავს ერთსა და იმავე დროს აღზრდას, კულტურას, განათლებას. აქ ეს სიტყვა ყველა თავისი მნიშვნელობითაა მოყვანილი და ნიშნავს ადამიანურ კულტურას, გარკვეულ აღზრდაში ყოფნას. მამასადაძმე, წინადადების ეს მონაკვეთი შემდეგნაირად უნდა იკითხებოდეს: გარკვეულ აღზრდაში (კულტურაში) ყოფნის და არყოფნის ჩვენეული ბუნება. „არ ყოფნა“ (απαιδευσια) ამ შემთხვევაში ნიშნავს სხვა კულტურაში, სხვა აღზრდაში, სხვა განათლებულობაში ყოფნას. იმაზე, რომ აქ გარკვეულ აღზრდაზეა ლაპარაკი და არა საერთოდ აღზრდისა და კულტურის შესახებ, მიგვითითებს ფრაზა – „ჩვენეული ბუნება“. – აქ იგულისხმება აღზრდის გარკვეული ბუნება. თუ რატომ ვანიჭებთ ამ წინადადების სწორედ ასეთ თარგმანს დიდ მნიშვნელობას, მოგვიანებით ვნახავთ;

შემდეგ სოკრატე იწყებს თვით მითის მოყოლას: „წარმოიდგინე რომ ხელაგ ადამიანებს, რომლებიც ჩაკეტილნი არიან მიწისქვეშა გამოქვაბულში, რომელშიც შუქი შედის დიდი შესასვლელიდან. ეს ადამიანები ბავშვობიდანვე არიან ბორკილებსა და ჯაჭვებში ჩაჭედილები და უძრავებს მხოლოდ პირდაპირ ყურება შეუძლიათ (ამავე გამოქვაბულში – გ. თ.). ამ დროს ადამიანების ზურგს უკან, ზევით და შორს ანთია ცეცხლი; ხოლო ცეცხლსა და ტყვეებს შორი გადის გზა, რომელზედაც თითქოს პატარა კედელია (თეჯირი – გ. თ.) აგებული, როგორც ფოკუსების ოსტატებთან (φασματοποιοχ). ადამიანების წინ ჩნდება (ეცემა – გ. თ.) კედელი (კედლის ჩრდილი, ცეცხლის ალით გამოწვეული – გ. თ.), რომლის ზემოდანაც საოცრებებს აჩვენებენ...“ ამ კედელთან ადამიანებს მიაქვთ ყველანაირი ნივთები, ქანდაკებები და სხვა ცხოველები,

ქვის ან ხის და ყველანაირი ნაკეთობა ისე, რომ თავს ზემოთ უჭირავთ და ამ ნივთების (მატარებლებიდან – გ. თ.) ნაწილი ხმას იღებს და ნაწილი მღუმარეა საჭიროებისდა მიხედვით“.

გლაკონის განცვიფრების პასუხად სოკრატე ამბობს, რომ ეს ხალხი, რომლის შესახებაც ის ჰყვება, მათი მგავსია და რომ გამოქვაბულში ყველა მყოფი ხედავს ჩრდილებს, მათ შორის ისინიც, ვისაც თეჯირის უკან ფიგურები დააქვს. „ასეთები“, – ამბობს სოკრატე – „სხვას არას მიიჩნევენ ჭეშმარიტებად, თუ რა ხელოვნური საგნების ჩრდილებს“.

შემდეგ სოკრატე ჰყვება, თუ რა მოუვა იმას, ვისაც გაათავისუფლებენ და აიძულებენ შეხედოს, რა ხდება გამოქვაბულში და ზემოდან ჩამომავალ სინათლეს. მას, რა თქმა უნდა, ძალიან გაუჭირდება და შეეცდება დაამტკიცოს, რომ რასაც ადრე ხედავდა, ის უფრო ჭეშმარიტია, ვიდრე ის საგნები და მდგომარეობა, რომელთაც ახლა ხედავს და თუ მას აიძულებენ აფოფხდეს ზევით და მიწის ზედაპირზე გამოვიდეს, მისთვის ძალიან ძნელი იქნება უყუროს საგნებს და მზეს. მან ჯერ ნელ-ნელა უნდა მიაჩვიოს თვალი (ჩრდილების, ღამის საშუალებით), ხოლო

შემდეგ შეხედოს მზეს და გაიგოს, რომ სინამდვილეში მზე არის წელიწადის დროთა მონაცვლეობის და ყველაფერის არსებობის საფუძველი, მიზეზი.

ყოველივე ამის დამნახველი, რა თქმა უნდა, განთავისუფლება და თავს ბედნიერად ჩათვლის, ხოლო თავის თანამოპატიმრებს კი – უბედურებად. მას დიდი სირთულებები ელის მათთან ურთიერთობაში, თუკი ის დაბრუნდება.

ბოლოს სოკრატე ხსნის ამ მითის თუ ალეგორიის კომპონენტებს: ის, რასაც ჩვენ თვალთ ვხედავთ, გამოქვაბულის მსგავსია და ცეხლის ალი მასში – მიმსგავსებულია მზესთან. გარეთ გამოსვლა და საგნების ყურება არის გონებით საწვდომ, რეფლექსიის სამყაროში ასვლა, ხოლო მზე ანუ სიკეთის იდეა – უკანასკნელი საფენური, რისი წვდომაც შეიძლება. ამ იდეას უნდა უყურებდეს ყველა, ვისაც კი უნდა მოქმედება, როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამ მითს ხსნიან, როგორც იდეების თეორიის გადმოცემას; მაგრამ არის რამდენიმე მომენტი, რომელიც განზეა დატოვებული და არანაირი ახსნა არა აქვს. ეს არის,

უპირველეს ყოვლისა, ადამიანები, რომლებსაც თეჯირის უკან ფიგურები დააქვთ. აგრეთვე ცეცხლი, რომლის შესახებაც პლატონი ამბობს, რომ “გამოქვაბულში ცეცხლის სინათლეს ამსგავსებენ მზის ნათელს“ (324). თანაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ის ადამიანებიც, რომლებსაც ფიგურები დააქვთ, ჩრდილების გარდა ვერაფერს ხედავენ (515).

იმისათვის, რომ ამ მითში გავერკვეთ, დავიწყოთ მისი დაწვრილებითი განხილვა: როდესაც ბორკილებიდან განთავისუფლებული ადამიანი დგება და გამოქვაბულს მოავლებს თავს, ის ხედავს, რომ რასაც ადრე უყურებდა, მხოლოდ ჩრდილებია და ამ ჩრდილების წყარო – რაღაც სპექტაკლის მსგავსი. პლატონი ამბობს, რომ გამოქვაბული თვალთ ხილული სამყაროა. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩრდილები, რომლებიც გამოქვაბულს ეცემიან, არიან საგნების ფორმები. მათი მატერია ანუ შინაარსი კი – გამოქვაბული. ამ ფორმების წყარო არის ცეცხლი. პლატონი ჰერაკლიტეს დიდი პატივისმცემელი იყო და ჰერაკლიტესეულ ცნებას მისივე შინაარსის გარეშე არ გამოიყენებდა. ცეცხლი არის ლოგოსი, წესრიგი. გამფორმებელი, სამყაროს რიტმი. ცეცხლი რომ გონებაა, ამას თუნდაც ის მიგვითითებს, რომ ის საგნების და, საერთოდ, გამოქვაბულის ფორმის წყაროა. როგორც ანათებს ის გამოქვაბულს და როგორ ჩრდილებსაც იძლევა, ტყვეებიც ისე ხედავენ.

მაგრამ, გარდა იმისა, რომ პლატონი იძლევა ფორმის, მატერიისა და გამფორმებლის სურათს, ის ამავე დროს გაფორმების წესსაც აღწერს; შებორკილებსა და ცეცხლს შორის არის გზა, რომელზედაც თეჯირია და ამ თეჯირს ზემოდ ადამიანები აჩვენებენ სხვადასხვა ფიგურებს. ამ ადამიანებისათვის საკუთარ მოქმედებას აზრი არა აქვს, რადგანაც ისინიც მხოლოდ ჩრდილებს ხედავენ. ისინი მოქმედებენ გარკვეული წესის „აუცილებლობის მიხედვით“ (515 ბ), ამბობს პლატონი. მათ მოქმედებას აზრი ეძლევა ცეცხლის ანუ გონების საშუალებით. გონებას მათი უაზრო მოქმედებებიდან ფორმები გამოჰყავს და აფორმებს ბნელ მატერიას. როგორც უნდა იწვოდეს ცეცხლი, ფიგურების ტარების წესი იგივე რჩება. ეს ორი დამოუკიდებელი პროცესია, რომელნიც თანხვედრისას ხილულ სამყაროს ქმნიან.

როდესაც განთავისუფლებული ადამიანი თვალს შეაჩვევს გამოქვაბულში მყოფ საგნებს, კარგად დაათვალიერებს მათ, ის ამოდის მიწის ზედაპირზე და ისეთსავე საგნებს ნახულობს, ოღონდ მზის შუქით განათებულს. პლატონი ამ სამყაროს გონებით საწვდომს უწოდებს. აქ მთავარი ის არის, რომ ილუზიების სამყაროდან გონებით საწვდომ ანუ ილუზიებიდან თავისუფალ სამყაროში გადასულს პრინციპულად ახალი არაფერი დახვდა. – იგივე საგნები, ოღონდ უფრო კარგად და გარკვევით დანახულნი. ამ დანახვის საფუძველი არის ყოველგვარი მიწიერი სურვილებისა და ვნებებისაგან განთავისუფლება ანუ სიკეთის იდეა, როდესაც ყველაფერი ჩანს არა განსჯისა და ვნებების საფუძველზე, არამედ ისე, როგორც სინამდვილეშია მოვლენილი.

მაშასადამე, პლატონი ამ მითით ამბობს, რომ ყველაზე უფრო მაღალი, რასაც შეიძლება მისწვდეს, კვლავ ფენომენების სამყაროა, ოღონდ ილუზიებისაგან განთავისუფლებული. ამიტომაც არის გამოქვაბულში ცეცხლის ალი მზესთან გაიგივებული, რადგან იგი, რომელიც არის განსჯა და რომელიც ფარავს, იმის მაგივრად, რომ გამოაჩინოს, ემსგავსება მზეს (გონება) თავისი მოწოდებით ანუ ადამიანის მიერ ორივეს ერთი და იგივე ფუნქცია აქვთ დაკისრებული. სწორედ გონებაში არის სიკეთის იდეა, რომლის საშუალებითაც კეთილი ანუ დაუინტერესებელი თვალთ უყურებ გარემოს და მის ნამდვილ სხეულს და ნამდვილ ჩრდილს კარგად ამჩნევ.

ამ განმარტების შემდეგ ჩვენ მითის ერთი ნაწილი გვრჩება გაუხსნელი: ფიგურების მატარებელი ადამიანები. ჩვენ ვთქვით, რომ ისინი გარკვეული წესით მოქმედებენ, ისე, რომ შეგნებულად არ იციან ამ წესის მნიშვნელობა და არც თავიანთი მოქმედების აზრი. ისინი ფოკუსების ოსტატთა დამხმარენი არიან, რომელთაც ოსტატი ეუბნება, თუ რა უნდა გააკეთონ, ხოლო საოცარი შედეგის და უცნაური მოქმედების ახსნა თვითონ ჯადოსნის გარდა არავის ხელეწიფება.

ამ ადამიანების მოქმედების გარეშე, ბუნებრივია, არანაირი ჩრდილი არ წარმოიშობა. ჩრდილიც სწორედ იმის ჩრდილია, რასაც ეს ხალხი ატარებს. ამიტომაც ჩვენ შეიძლება დავუშვათ, რომ იმ საგნების შინაარსი, გარდა თვითონ გამოქვაბულისა (რომელზედაც ჩრდილი ეცემა), არის ამ ადამიანების მოქმედებაც. მაშასადამე, განსჯის მიერ გაფორმებულ საგანს ორგვარი შინაარსი აქვს: ერთი, რომელიც მიუთითებს, რომ ეს

შინაარსი ბნელია და მეორე მხარე, რომელიც გვიჩვენებს, რომ ეს შინაარსი არის გარკვეული წესი, რომელიც თვითონ ადამიანების მოქმედებებზეა დამყარებული და მათგან გამოდინარეა.

ცეცხლი სხვადასხვანაირ ჩრდილებს იძლევა ერთი და იმავე საგნებიდან. ცვალებადობა მხოლოდ ჩრდილებს თუ შეეჭვობათ. თეჯირს უკან კი მუდამ დააქვთ ფიგურები. ასრულებენ რაღაც წესს. მისმა შემსრულებლებმა იციან რაღაც წესი და მოქმედებენ ამ წესის საშუალებით, ხოლო რას და რატომ აკეთებენ, ამის ხილვის და ცოდნის საშუალება არ აქვთ.

მაშასადამე, თუკი ცეცხლი არის განსჯა, ცნობიერება, რომელიც ფორმას აძლევს მოცემულ მატერიას, მაშინ ფიგურების მატარებლები არიან ადამიანური სამყაროს შინაარსი, რომლის გარეშეც არ იქნება არც საგნები და არც საგნების ფორმები.

კიდევ ერთხელ თავიდან რომ მოვიაზროთ ამ მითის შინაარსი, შემდეგ სურათს მივიღებთ: ცეცხლი არის ცნობიერების ფორმა, რომელშიცაა ნებისმიერი საგნის თუ მოქმედების საფუძველი. ფიგურების მატარებლები და თეჯირი არის ცნობიერების შინაარსი ანუ ის წესი, რა წესითაც შემოდის სამყარო ჩვენში და რა წესითაც არსებობს ის ადამიანებისათვის. ჩრდილები, რომლებიც გამოქვაბულს ეცემიან, არიან გარე სამყაროს საგნები, რომელთა აღქმა გაშუალებულია ჯერ აღქმის წესით ანუ ცნობიერების შინაარსით, ხოლო შემდეგ – აღქმის უნარით ანუ ცნობიერების ფორმით. ერთადერთი არაცვალებადი ამ სურათში არის ფიგურების მატარებელთა მოძრაობა. დანარჩენი ყველაფერი ციმციმებს, მოძრაობს და სხვადასხვა ფორმებს ღებულობს.

მაშასადამე, ცნობიერების შინაარსი არის მუდმივი და უცვლელი. ცნობიერების შინაარსის საშუალებით შემოდის სამყარო ჩვენში. კიდევ უფრო რომ გავამარტივოთ ამ მითის შინაარსი და უფრო გასაგები რომ გავხადოთ, უნდა ვთქვათ, რომ პლატონისათვის ცნობიერების შინაარსი არის გარკვეული წესი (ანუ ყველაზე ზოგადი და უშინაარსო მოქმედება, რომელმაც შეიძლება აბსოლუტურად ყველაფერი დაიშინაარსოს), რომელსაც სხვადასხვა ფორმები ესადაგებიან. ცეცხლის ყოველი ახალი აალებისას ახალი ჩრდილი ჩნდება, თუმცა ამ ჩრდილის „სახე“, რეალობა იგივეა.

ასევე, აქ შეგვიძლია ავხსნათ, თუ რას ნიშნავს, რომ „ცეცხლის ნათელს მზის სინათლეს უიგივებენ“: ცეცხლის ნათელი არის სხვადასხვა ფორმები, რომელშიც წესია ჩამჯდარი. პლატონმა ამით თქვა, რომ ცნობიერების ეს სხვადასხვა ფორმები, მართალია ადამიანურია და ერთობ ადამიანური, სინამდვილეში ილუზიაა და ილუზიებიდან განთავსუფლება უნდა იყოს ჩვენი მიზანი, რათა ფენომენების ნამდვილ სამყაროს ჩავაღწიოთ, დავინახოთ იგი ყოველგვარი ბნელი და სუბიექტური წესისაგან თავისუფალი.

ახლა უნდა ავხსნათ, თუ დასაწყისში რატომ მოვითხოვეთ $\alpha\Omega\epsilon\iota\alpha$ -ს მაინცდამაინც „აღზრდის (კულტურის) ჩვენეულ ბუნებად“ თარგმნა – თუკი ასეთ თარგმანს მივიღებთ, მაშინ ერთმანეთს თანხვდება ამ მითის შინაარსი და სოკრატეს ეს სიტყვები – სწორედ გამოქვაბულის მითს ანუ ადამიანის ბუნებას გულისხმობს პლატონი ამ წინადადებაში. ამასთანავე, ამ სიტყვებით აღინიშნება სწორედ გარკვეული ფორმა, რომელიც ყოველ მომენტში აქვთ ჩრდილებს გამოქვაბულში, ცეცხლს, რომელიც ადამიანის ბუნებას კონკრეტულ რაღაც ბუნებად აქცევს, ცნობიერებას, რომელიც ჩრდილს კონკრეტულ ფორმას აღებინებს. სწორედ ცეცხლია, რომელიც განსაზღვრავს აღზრდის, კულტურის, სამყაროში ყოფნის ამა თუ იმ ბუნებას. სხვადასხვა ბუნება იგივეა, რაც ცნობიერების სხვადასხვა ფორმა, მაშინ, როდესაც შინაარსი უცვლელი რჩება.

ჩვენ შეგვიძლია გავადგინოთ თვალი ცნობიერების ფორმების ცვალებადობას და ბოლოს დავადგინოთ, თუ რა არის „სამყაროში ყოფნის ჩვენეული ბუნება“ ანუ გავიგოთ, თუ რა დროში ვცხოვრობთ. პლატონისთვის დროების ცვალებადობას (პლატონისდროინდელ ბერძნულ ენაში „დრო“ $\alpha\iota\omega\nu$ – ნიშნავდა გარკვეულ ხანას, დროის მონაკვეთს, პერიოდს) მნიშვნელობა არ ჰქონდა. – „ონტოლოგიურად“ ეს ცვლილება არარეალურია, – რადგანაც შინაარსი არ იცვლება, ფორმების ცვალებადობა კი – საბოლოოდ მხოლოდ ილუზიაა.

მაგრამ ამ ცვალებადობას აქვს ექსისტენციალური მნიშვნელობა. ჩვენი მიზანიც სწორედ ამ მხრივ განისაზღვრება.

II

როდესაც ცნობიერების ძირითად ფორმებზე ვლაპარაკობთ, უნდა შევთანხმდეთ, რომ ცნობიერების ფორმა არის ის, რის მიხედვითაც აწყობს თავის მოქმედების გეგმას ადამიანი და რის საშუალებითაც ერკვევა ის სამყაროში; ანუ, რითაც და როგორც აწესრიგებს ადამიანი სამყაროს.

სამყაროს მოწესრიგების ყველა წესი დაიყვანება სულ რამდენიმეზე: ესენია – უპირველეს ყოვლისა, მითი. ის ჩვენ გვეძლევა, როგორც პირველი წესი. მითი არის ამბავი, რომელშიც სამყარო წესრიგდება ღმერთების და/ან ადამიანების მოქმედებით (ურთიერთმოქმედებით). ეს ამბავი დროში არ მიმდინარეობს, ზედროულია.

მითს ჩვენ ვიხილავთ როგორც ცნობიერების ფორმას: მითი არის სწორედ აღქმის ფორმა, უნარი, რითაც და როგორც მითის დროში მყოფი ადამიანი აღიქვამს სამყაროს. როგორც უყურებს ის გარემოს და როგორ ახსნას უძებნის მას. მარტივად რომ ვთქვათ, სხვადასხვა დროები სამყაროს სხვადასხვა ახსნის წესებია; ანუ, ეს ის განსხვავებებია, რომლებიც გვაშორებენ ძველი საბერძნეთის მცხოვრებს და შუა საუკუნეების ევროპელს.

რაც შეეხება ცნობიერების შინაარსს; ჩვენ უნდა ვნახოთ მისი შესატყვისი ადამიანის ყოფიერებაში. როგორც ვთქვით, ცნობიერების შინაარსი არის უზოგადესი და უშინაარსო მოქმედება, რომელმაც შეიძლება ყველაფერი დაიშინაარსოს, მისი ფორმა გახდეს. – ჩვენ უნდა ვიპოვოთ მოქმედება, რომელიც განურჩევლად ახლავს ცნობიერების ფორმის ნებისმიერ გამოვლენას, რომელიც მისი აუცილებელი ნაწილია.

ასეთი ზოგადი მოქმედება მითის დროში არის რიტუალი. რიტუალი არის მოწესრიგებული სიმბოლური მოქმედება, რომელიც გულისხმობს რაღაცაზე მიმართულობას, რაღაცის გამოხატვას; მაგრამ რიტუალი მხოლოდ მითის დროის შესაბამისი არ არის. რიტუალებს, ან რაღაც მათ მსგავსს, ჩვენ ჩვენს დროშიც ვხედავთ. ერთმანეთის მსგავსი რიტუალები ყველა დროში შეიძლება ვნახოთ – ამ რიტუალებს ერთი რამ თუ განასხვავებს ერთმანეთისაგან: მიმართულობა. მითის დროში რიტუალი მითის შინაარსზეა მიმართული, მას ასრულებს, შემდგომ, უკვე სხვა დროში, როდესაც

მითი უკვე აღარ მთავრობს – რიტუალი რელიგიურ ტექსტებს (მაგალითად ქრისტიანულს) უკავშირდება და ა. შ.

მაშასადამე, ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცნობიერების შინაარსის შესაბამისი რეალობა არის რიტუალი – ზოგადი, უშინაარსო მოქმედება, რომელსაც შეუძლია ყველაფერი დაიშინაარსოს, ყველაფერზე მიმართული გახდეს. შემდგომი დროები გვიჩვენებენ, რომ რიტუალი ასეთი მოქმედებაა და რომ არ არის საჭირო მაინცდამაინც მითის სტრუქტურის არსებობა, რიტუალმა რომ იმოქმედოს. შემდგომში ჩვენ ცნობიერების შინაარსის გამოვლენას სამყაროში რიტუალს ვუწოდებთ.

თანდათან გასაგები ხდება, თუ რატომ მოძრაობენ გამოქვეყნების მითში მაინცდამაინც ადამიანები და არა რაიმე მექანიზმი, რომელზედაც ფიგურები იქნებოდნენ დამაგრებულნი. ცნობიერების შინაარსის ბუნება რომ გასაგები გაეხადა, პლატონს უნდა ეჩვენებინა, რომ ამ წესის შემსრულებლები სწორედ ადამიანები არიან, რომ ცნობიერების შინაარსი მართო ცნობიერებაში კი არ არსებობს, არამედ ცხოვრებაშიც ვლინდება სწორედ მრავალი რიტუალის სახით. – ის რიტუალები, რომლითაც პლატონი გარშემორტყმული იყო, სწორედ ძირეულის, ცნობიერების შინაარსის გამოვლინებაა, ხოლო ამ რიტუალის მიმართულობის ობიექტი – ცეცხლის ალის სხვადასხვანაირი თამაში – ამ რიტუალის გაფორმება.

მითის შედეგ შემომხვედრი სამყაროს მოწესრიგების მომთავრე წესი არის ჟამთააღმწერლობა (ძველი და ახალი აღთქმა, ქრონიკები და სხვა). მათში სამყარო წესრიგდება ჟამთააღმწერლურად ანუ სამყარო მათში დროული (ჟამიერი) ხდება. მოთხრობილი ამბავი დროში იშლება და ღმერთის ჩარევა ხდება „ისტორიის“ მსვლელობაში. ამ დროში მომხდარი რიტუალიზაციით მიიღება, მაგალითად, ქრისტიანული რელიგია.

პრინციპულად, თავისი ფორმის მიხედვით, მითიური რიტუალი და თუნდაც ქრისტიანული რიტუალი – არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მეტიც – პრინციპულად შესაძლებელია იპოვოთ მათში ორი რიტუალი, რომლებიც აბსოლუტურად დაემთხვევიან ერთმანეთს. მათ განასხვავებს მიმართულობა ანუ თუ რომელი ამბის რიტუალიზაციად გვევლინება ისინი – მითის თუ ჟამთააღმწერლობის.

ამიტომაც ვამბობთ ჩვენ, რომ ერთადერთი მუდმივი, რაც ნარჩუნდება დროთა ანუ ცნობიერების ფორმათა ცვალებადობაში, არის ცნობიერების შინაარსი, რომელსაც შეუძლია ნებისმიერ ფორმას მიესადაგოს, მისთვის შინაგანი გახდეს.

სამყაროს მოწესრიგების შემდეგი წესი, რომელიც ჟამთააღმწერლობას მოსდევს, უნდა იყოს ისტორია. ისტორია ჟამთააღმწერლობისაგან განსხვავდება იმით, რომ ამბავი, რომელიც მასშია მოთხრობილი, „ზუსტად“ დადგენილი და შემოწმებულია. გარდა ამისა, ჟამთააღმწერლობის გმირი ყოველთვის კონკრეტული ადამიანია, ისტორიის გმირი – სუბიექტი კი – ყოველთვის ზოგადია, ის წარმოადგენს ან სახელმწიფოს ან ხალხს. ისტორიის ფორმა არის ის დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. თუ რა მიიღება ისტორიის რიტუალიზაციით, არის ამჯერად ჩვენი კვლევის საგანი.

ჰერაკლიტეს ცეცხლი ააღდება და იღვევდება. ჩვენ ვაძლევთ თავს უფლებას პლატონის მითში ჰერაკლიტეს ცეცხლი დავინახოთ. რა არის ამ აალების და ჩაღველების მიზეზი, თუ არა თავად ცეცხლის არსება. არაფერს გარედან არ შეუძლია მასზე ზემოქმედება. ეს ხდება მხოლოდ შიგნიდან. სამყაროს მოწესრიგების წესი უნივერსალურია, ხოლო ცნობიერების შინაარსი – იმდენად ყოვლისმომცველი, რომ შეუძლებელია გარეგანი ზემოქმედებით მოხდეს შეცვლა. ამიტომაც ცვლილება ხდება თვითონ ფორმის შიგნიდან. მართალია, სამყაროს მოწესრიგების ყოველი წესი უნივერსალურია, ის მანაც ფორმაა და მკაცრად ზის თავის საზღვრებში. ასე რომ, ამ საზღვრების ნებისმიერი გაფართოება უნდა იწვევდეს ამ ფორმის დაშლას და ახლის წარმოქმნას. ცვლილება ხდება მაშინ, როდესაც ფორმა თავის თავის საზღვრებში ამოწურავს.

ფორმის საზღვრების გაფართოება, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ამ ფორმის ჰიპერბოლიზაციას. ჰიპერბოლიზაციის მიზეზი შეიძლება იყოს ფორმის საზღვრების დაზუსტებისაკენ სწრაფვა, წინააღმდეგობის, რომელიც ფორმის ორ გამოვლენას შორის წარმოიშობა, მოხსნის სურვილი, ფორმის ტოტალურად გავრცელებისკენ მიმართულობა და ა. შ.

III

ახალი, „მესამე“ დროის დასაწყისად ჩვენ მიგვაჩნია პერიოდი, როდესაც ფრანგმა განმანათლებლებმა, თავიანთ უცხოელ წინამორბედებზე დაყრდნობით, წამოაყენეს მეცნიერული ისტორიის შექმნის მოთხოვნა; ანუ, მათი სურვილი იყო ზუსტად და განსაზღვრულად ექციათ ის, რაც ადრე წინააღმდეგობრივი იყო. – მათ დაადგინეს ისტორიის სუბიექტი – ერი, ხალხი და ამით დაუპირისპირდნენ „მეფეების და ომების ისტორიას“ (ე. ი. ჟამთააღმწერლობას). – ფაქტობრივად, ჟამთააღმწერლობის დაზუსტებამ და მისი მომცველობის გაფართოების სურვილმა გამოიწვია ისტორიის, როგორც ახალი ცნების შექმნა. ნიშანდობლივია, რომ განმანათლებლებიდან ზოგიერთი ღმერთის იდეის წინააღმდეგაც გამოდიოდა, მაგრამ, საეჭვოა, ხვდებოდნენ თუ არა ისტორიის სტრუქტურის დამუშავებასა და ათეიზმს შორის ორგანულ კავშირს.

ერთი აუცილებელი ნაშანიც, რომელიც მუდამ თან ახლავს ერთი დროის მეორეთი შეცვლას, არის აპოკალიფსური ცნობიერების წარმოშობა. – ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ ცნობიერების ძველი ფორმით ცხოვრობენ, ვერ ხედავენ ახალ ფორმას და ჰგონიან, რომ მოიშალა სამყაროს მოწესრიგების საფუძველი. დროთა მიჯნაზე თაობათა უთანხმოების მიზეზი სწორედ ეს არის, – ღირებულებების დაკარგვა; მაგრამ ამ „დროს“ ხდება არა დაკარგვა, არამედ გადაფასება, ახალი ღირებულებების წარმოშობა.

სწორედ ასე დახვდნენ განმანათლებლებს და ასეთივე რეაქცია იყო მითიური რწმენიდან რელიგიაზე გადასვლის პერიოდში. ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ერთი დრო მთავრდება სადღაც და მეორე იწყება. დროის ყოფნა ნიშნავს, რომ რაღაც პრინციპი ტოტალურად არის და არა აბსოლუტურად. წინა დროის ფორმები ნარჩუნდება და მსჭვალავენ ახალს, თანდათან ახალი დროის ნიშნებს იძენენ, სხვაფერდებიან.

ახლა უკვე შეიძლება დაზუსტებით დავახასიათოთ, თუ რა არის ის ისტორია, რომელსაც ჩვენი დროის განმსაზღვრელად ვთვლით. ეს ცნება ნათელი ხდება ჟამთააღმწერლობასთან დაპირისპირებაში; ჟამთააღმწერლობა აღწერს მხოლოდ კონკრეტული პიროვნების – მეფის ან გმირის – ცხოვრებას. განმანათლებლებმა კი

თემად, უპირველეს ყოვლისა, მთელი კაცობრიობის ისტორია დასახეს. ამ მიზნის მისაღწევად მათ შემდეგი გზა აირჩიეს; ეს გზა ნიშნავდა დედუქციის მეთოდის გადატანას ისტორიის კვლევაზე. განმანათლებლების მსჯელობა ისტორიის საგნის, თემის შესახებ შემდეგნაირად უნდა წასულიყო: იმისათვის, რომ კაცობრიობის ისტორია მიღწეულ იქნეს, ჯერ უნდა შეიქმნას კაცობრიობის ნაწილების ისტორია. შემდეგ ეს ნაწილები შეერთდება და მივიღებთ კაცობრიობის ისტორიას. ამიტომ, კაცობრიობის ნაწილად უნდა შერჩეულიყო ის ფენომენი, რომელიც, ჯერ ერთი, ნაწილად ივარგებდა (ძალიან ბევრი არ უნდა ყოფილიყო) და თანაც, განსაზღვრებადი, მყარი ერთეული იქნებოდა და არავითარ შემთხვევაში – შემთხვევითი. ამიტომაც ისტორიის საგანი, სუბიექტი გახდა არა რომელიმე ერთი ადამიანი, არამედ სახელმწიფო ან ხალხი, რომელიც ამ სახელმწიფოში ცხოვრობს და გარკვეული ერთიანობა ახასიათებს.

ეს „ისტორიული დედუქცია“ შეიძლება ევროპული კულტურის მეცნიერული ორიენტაციის გამოვლენად ჩავთვალოთ: ისტორიის მეცნიერებად დაფუძნებაში შეიძლება დავინახოთ მეცნიერების საბოლოო გატოტალურება, მისი ყოვლისმომცველად გადაქცევა (განმანათლებლების მოთხოვნა ჟამთააღმწერლობისადმი იყო მეცნიერებად ყოფნა. მეცნიერული ჟამთააღმწერლობა კი უკვე ისტორიაა).

კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც ისტორიას აუცილებლობით ახასიათებს, არის პროგრესისა და ისტორიის მსვლელობის გაიგივება. – ისტორია ზე-აღმაკალი მიმართულებაა. სწორედ განმანათლებლების წრეში წარმოიშვა დებულება (ბეკონი, ვოლტერი), რომ ბერძნული კულტურა კაცობრიობის ბავშვობაა, მათი დრო კი – სიმწიფე.

(„ისტორიის ფილოსოფიის“ ცნებაც ვოლტერის შემოტანილია. ის მასთან ნიშნავს ისტორიის, როგორც მეცნიერების წაკითხვას. ისტორიის ფილოსოფია, რომელსაც ჩვენი საუკუნის გონება უყურებს როგორც რაღაც მისტიკურს და საიდუმლო მკვლევარს, წარმოიშვა როგორც მეტა-მეცნიერება, რომელსაც ისტორიისათვის კონტროლი უნდა გაეწია, – რომ ის მეცნიერების საზღვრებს არ დაშორებოდა და ზღაპრად ან თქმულებად არ ქცეულიყო).

ამრიგად, ყალიბდება ისტორიის ოთხი პრინციპი: ისტორიის მიზნად მთელი კაცობრიობის ისტორიის დასახვა (1). ისტორიის სუბიექტად ხალხის, ერის გამოცხადება (2). ისტორიის, როგორც მეცნიერების განხილვა (3). ისტორიის და პროგრესის გაიგივება (4). რაც შეეხება პირველ ნიშანს; ნებისმიერი ისტორია ხაზს უსვამს ისტორიის ამა თუ იმ სუბიექტის კავშირს სხვა ხალხებთან, სახელმწიფოებთან, ე. ი. სხვა ისტორიების სუბიექტებთან. ეს ნიშნავს, რომ ყველა ისტორიაში ძვეს ეს ნიშანი, რომელიც თავის თავში წინააღმდეგობრივია (თუ რატომ, ამას ქვემოთ ვნახავთ).

IV

იმისათვის, რომ ჩვენი დებულების სისწორე შევამოწმოთ, ვცადოს ემპირიული მოცემულობის დახმარებით გავერკვეთ, თუ რა უდევს თანამედროვე ადამიანის მსოფლმხედველობას საფუძვლად.

ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს საფუძველი მითია და ამით ყოველგვარ შესაძლებელ გართულებას განვერიდოთ. მითი ანუ გამითება, გარიტუალება – ყველა დროის აუცილებელი ნაწილია; ჩვენ ვეძებთ, თუ რისი „მითია“ ჩვენ თავს.

მსოფლიო აღარ იძვრის რელიგიურ საფუძველზე მომხდარი ომებით და ადამიანების ურთიერთობისას წინა პლანზე აღმსარებლობა აღარ დგას.

ჩვენს დროში ომებს ნაციონალისტური საფუძველი აქვთ. მსოფლიოც არასოდეს არ ყოფილა ისე მძაფრად დაყოფილი ქვეყნებად და ეროვნებებად, როგორც ახლა. ადამიანების ურთიერთობაში ხაზი ესმება, თუ რომელი ეროვნების არიან ან, რომ საერთოდ არც ერთ ეროვნებას არ ეკუთვნიან. აღმოსავლეთშიც კი, სადაც ყოველ მოქმედებას რელიგიური მოტივი ჰქონდა, ბოლო ომის საფუძველი აშკარად ნაციონალისტური იყო. რა თქმა უნდა, არ უნდა დავივიწყოთ მეორე მსოფლიო ომიც, რომლის ნაციონალისტურ ფონსაც მტკიცება არ სჭირდება.

ჩვენ გვინდა წამოვაყენოთ ჰიპოთეზა: იმდენად, რამდენადაც ომის მიზეზი ყველაზე კარგად უნდა გამოხატავდეს ეპოქის არსებას და ეს არსება მით უფრო დამტკიცებულად

უნდა ჩავთვალოთ, თუკი ადამიანების ყოველდღიურ ურთიერთობებშიც ვნახულობთ მის შესატყვის მოქმედებებს, ჩვენ ვცხოვრობთ ნაციონალიზმის დროში.

მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს მხოლოდ მეტაფორული გამოთქმაა და გარკვეული მტკიცება ესაჭიროება.

სიტყვა „ნაციონალიზმს“ ნაცია, ერი უდევს საფუძვლად. ერის განსაზღვრებისას ჩვენ ამოვდივართ კონკრეტული ადამიანიდან და ვამბობთ, რომ ადამიანი მხოლოდ მაშინ არის რომელიმე ერის წარმომადგენელი, როდესაც მას თავი ამ ერის შვილად მიაჩნია. შეიძლება ვინმე რომელიმე ერის წარმომადგენლად თვლიდეს ადამიანს, რომელსაც ამის ცნობიერება არ გააჩნია, – ასეთი პოზიცია ეყრდნობა ერის, როგორც ბიოლოგიურ-სოციალური კატეგორიის განსაზღვრებას. ამ მიმართულების მიხედვით ერი არის ერთ ტერიტორიაზე მოსახლე, ერთი სისხლის, კულტურის და ენის მქონე ხალხი და მეტი არაფერი. აქ ხდება ერისა და ეთნოსის ცნებების აღრევა, მათი ურთიერთგაიგივება.

ეთნოსი სწორედ მონათესავე ხალხია, რომელთაც აქვთ ერთი სისხლი. ცხადია, რომ ხშირად ერი ერთი ეთნოსის წარმომადგენლებისაგან შედგება, მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როდესაც ერთი ეთნოსი რამდენიმე ერში განაწილებულა, ან – რამდენიმე ეთნოსს ერთი ერი შეუქმნიათ.

ერის განსაზღვრების ბიოლოგიური ფესვის ძიება ჩვენ ცუდ უსასრულობაში წაგვიყვანს და ამიტომაც ეს განსაზღვრება უშუალოდ ცნობიერების სფეროში უნდა ვეძიოთ.

რას ნიშნავს, როდესაც ადამიანი რომელიმე ერს ეკუთვნის ანუ როდესაც ამ ერის შვილად მიაჩნია თავი? უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ იგი თავის თავს თვლის ამ ერის პროდუქტად, ამ ერის ტრადიციების გამგრძელებლად, ამ ერის ისტორიაში მყოფად. ე. ი. ერის არსებობა, უპირველეს ყოვლისა, არის ამ ერის ისტორიის არსებობა; – ერი ისტორიული კატეგორიაა. ისტორია ერს ანიჭებს იმ აუცილებელ ნიშანს, რომლის გარეშეც ამ ცნების წარმოდგენა შეუძლებელი იქნებოდა – ერთიანობას. მხოლოდ ისტორიას შეუძლია ერი ერთიან ორგანიზმად დაგვანახოს ანუ მოუპოვოს მას არსებობს უფლება.

ფაქტს, რომ ერი ერთიანი ორგანიზმია, კიდევ უფრო შორს მიმავალ შედეგებამდე მივყავართ; ერთიან ორგანიზმს, ცნობილია, აქვს ნაწილები, მაგრამ ის ავტონომიური ნაწილებისაგან კი არ შედგება, არამედ ერთმანეთზე კარგად მისადაგებული და უერთმანეთოდ არსებობის ვერშემძლე ელემენტებისაგან. ამავსე გვეუბნება ისიც, რომ ისტორიაში ისტორიის სუბიექტის ადგილი ერს უკავია; ანუ ერი არის ერთადერთი მოქმედი. ეს კი მიგვითითებს, რომ კონკრეტული ადამიანი კარგავს ღირებულებას ერის ცნობიერების გვერდით.

მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით ისტორიის ისეთი სახეები, სადაც კონკრეტული ადამიანები არიან ისტორიის სუბიექტები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არის ჟამთააღმწერლობა, რომლის ადგილი ჩვენს სამყაროში ისტორიამ დაიკავა.

ეს ყველაფერი გვიჩვენებს, რომ ერის ცნება მხოლოდ გარკვეულ დროშია წარმომოხილი და მუდამ არ არსებობდა. – ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ერის ცნება განუყოფლად დაკავშირებული ისტორიასთან, ისტორია კი თავად მხოლოდ გარკვეულ ეტაპზეა შექმნილი.

ერის ცნებაც, ისევე როგორც ისტორიისა, განმანათლებლობის ეპოქაში გაჩნდა. მის წარმომოხილასაც მეცნიერულობა უდევს საფუძვლად; განმანათლებლების სურვილი იყო ერთხელ და სამუდამოდ დაეგდინათ ისტორიის საგანი ანუ სუბიექტი და რადგანაც მათი საბოლოო მიზანი კაცობრიობის მთლიანი ისტორიის შემქნა იყო დედუქციური მეთოდით (ჯერ ნაწილების ისტორიის შექმნა და შემდეგ ამ ისტორიების გაერთიანება), მკაცრად უნდა ყოფილიყო განსაზღვრული კაცობრიობის შემადგენელი ნაწილი. რადგანაც უარი იყო ნათქვამი მეფეების და ომების ისტორიაზე, ისტორიის სუბიექტად ირჩიეს ხალხი, რომელიც იმ დროს სახელმწიფოთი და კულტურით იყო ერთიანი. ამით კი საფუძველი ჩაუყარეს ამ ხალხების ისტორიების დაწერას ანუ ერის ცნების შექმნას.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ კაცობრიობის ერთიანი ისტორია, როგორც ყოველ ისტორიაში დაფარული მიზანი, თავის თავში წინააღმდეგობრივია. ახლა უკვე შეგვიძლია ავხსნათ, რატომ; ამ მიზანმა განაპირობა კაცობრიობის ნაწილების გამოყოფა და ავტონომიურად ქცევა. ამის შემდეგ, ბუნებრივია, არც ერთი დამოუკიდებელი, ინდივიდუალობის მქონე ორგანიზმი არ მოინდომებს გახდეს რაიმეს ნაწილი. პირიქით,

ყოველ მათგანშია ჩადებული მისწრაფება სხვა გაიხადოს თავის ნაწილად (ამტომაცაა ნაციონალიზმის რადიკალური ფორმის სოციალური გამოვლენა იმპერიის შექმნა). მაშასადამე, ერთი მხრივ ის მიზანი ნარჩუნდება, რადგანაც ყველა ერის ისტორიაში არის ამ ერის სხვა ერებთან (სახელმწიფოებთან) ურთიერობის მომენტები. მეორეს მხრივ კი – თვითონ ისტორიაში ჩადებული მისწრაფება განსაკუთრებულობისაკენ და მნიშვნელოვნებისაკენ.

ყოველი ისტორია მიისწრაფვის იქითკენ, რომ რაც შეიძლება „ძველად“ ანუ საფუძველთან ახლოს მყოფად წარმოაჩინოს თავისი სუბიექტი. ერის ისტორია ბევრად უფრო დიდ დროს მოიცავს, ვიდრე თავად ერის ცნობიერება ანუ ერის ცნება. როგორც წესი, ყოველი ერის რეალურ ეროვნულ ცნობიერებას გაცილებით უფრო მცირე ისტორია აქვს, ვიდრე ამ ერის ისტორიას. თანაც, ისინი ერთმანეთთან არავითარ კავშირში არ არიან. შეიძლება ერის ისტორია 25 საუკუნეს ითვლიდეს, ეროვნული ცნობიერება კი სულ 10-15 წლის იყოს.

V

ჩვენ მივედით ისტორიასთან მეორე ბოლოდან – ნაციონალიზმიდან. მანამდე გავლილი გვქონდა ცნობიერების ფორმა-შინაარსი-ისტორიას შორის მდებარე სივრცე. ამით ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ის შედეგი, რომლის მიღებაც ჩვენ ვცადეთ პლატონის მითის ანალიზით და თეორიული მსჯელობით, ემპირიიდან ამოსული განაზრებებით გაგვემეორებინა. შევეცადეთ დაგვედგინა, რომ ჩვენ ისტორიის დროში ვცხოვრობთ, რომელსაც ამავე დროს ნაციონალიზმის დროც შეიძლება ეწოდოს.

ახლა უკვე შეგვიძლია ვთქვათ, თუ რას ნიშნავს ისტორიის დროში რიტუალიზაცია – ერთად ყოფნას. თავად რიტუალი განაპირობებს ერის, როგორც მსოფლმხედველობის გრძნობადი ელემენტის წარმოშობას. რიტუალი ანუ ცნობიერების შინაარსი წარმოგვიდგება ერისა და ეროვნულობის სახით. ყველა იმ რიტუალს ანუ სამყაროს აღქმის წესს, რომელსაც ადამიანი ტაძარში ატარებდა, თანამედროვე ადამიანი ატარებს

ისეთ ადგილას, სადაც მას ერის სიმბოლო ეგულება, – სულ ერთია, იქნება ეს ნივთი, ღმერთი თუ ადამიანი.

როდესაც ნაციონალიზმის დროზე ვლაპარაკობთ, შეიძლება შეგვეწინააღმდეგონ, რომ არსებობს ნაციონალიზმისადმი დაპირისპირებული მსოფლმხედველობა და ამ უკანასკნელის მატარებელი ხალხის რიცხვი არანაკლებია ნაციონალისტური მსოფლმხედველობის მქონეებზე. ეს მართლაც რომ ასე იყოს, საქმის ვითარება მაინც არ შეიცვლება. – საქმე იმაშია, რომ ეს დაპირისპირებული მსოფლმხედველობა მართლაც მხოლოდ დაპირისპირებულია და სხვა არაფერი, – და ამიტომაც ყოველმხრივ განსაზღვრულია ნაციონალიზმით. თანაც მას დამოუკიდებელი შინაარსი არ გააჩნია, ის უარყოფით ნიშანს უყენებს იმას, რაც ნაციონალიზმში დადებითი ნიშნით ფიგურირებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ისტორიის დროში ხდება: ისტორიის სუბიექტად ერის გამოცხადების შემდეგ შესაძლებელი ხდება ლაპარაკი ერის მისიაზე (ჟამთააღმწერლობა მხოლოდ კონკრეტული ადამიანის მისიაზე ლაპარაკობდა). ამ შემთხვევაში ისტორიის აუცილებლობა ერის ცნობიერებისათვის კიდევ უფრო მძაფრდება, რადგან შესაძლებელი ხდება ერის მისიის გააზრება მთელი მისი ისტორიის მანძილზე და ამ მისიის დამადასტურებელი მაგალითების ისტორიაში პოვნა.

ჩვენ დავასახელებთ ჩვენი დრო ანუ ცნობიერების ფორმა, რომელიც ახლა ტოტალურად არის და ისიც, თუ რა მიიღება კონკრეტულად ამ ფორმის და ცნობიერების შინაარსის თანხვედრით. ჩვენ არ ვიცით, შესაძლებელია თუ არა განვჭვრიტოთ შემდგომი დროის არსება და ხანა. ყოველ შემთხვევაში, ისიც „ამბის“ ერთ-ერთი მოდიფიკაცია უნდა იყოს, როგორებიც იყო მითი, ჟამთააღმწერლობა და ისტორია. ყველა დროს თავისი შესაბამისი რიტუალიზაცია ანუ შესაბამისი შინაარსი აქვს, რითაც შედის ის კულტურაში (ან სოციალურ სისტემაში); ასე – ისტორიის დროს მოაქვს ნაციონალიზმი, ჟამთააღმწერლობას – რელიგია, მითს კი ტრადიცია – რიტაული ამ შემთხვევაში სამყაროზე ტრადიციული (არა მეცნიერული და არ რელიგიური, ჩვენი თვალთ) წარმოდგენაა და მითის ეპოქის ადამიანი და კულტურა ისევე სრულად ისაზღვრება ტრადიციით – გადმოცემულით, ერთხელ დადგენილით, როგორც სხვა დროების ადამიანები თავისი შესაბამისი მიმართებებით.

VI

ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა ცნობიერების შინაარსის და ცნობიერების ფორმების არსებობის წესი. ცნობიერების შინაარსი ირაციონალურია, მაგრამ არა შეუმეცნებადი. როდესაც ჩვენ ირაციონალურზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ გერმანელი ფილოსოფოსის ემილ ლასკის ინტერპრეტაციას („მოდერნობა კატეგორიების შესახებ და ფილოსოფიის ლოგიკა“), რომ ირაციონალურობა ნიშნავს საზღვრის პრინციპულ უქონლობას, ხოლო რაციონალურობით – პირიქით. არ არსებობს არც ერთი საგანი, ან მოქმედება სამყაროში, რომელიც არ მოექცევა ჩვენს მიერ დახასიათებულ ცნობიერების შინაარსში. თავად ფორმა მალე ამოწურავს თავის თავს, რადგან, რა ფართო სივრცეებიც უნდა ეკავოს მაინც სასრულია და ოდესმე აღწევს თავის საზღვარს და მიისწრაფვის მისი გადალახვისაკენ. ამ დროს წარმოიშობა ახალი ფორმა, შინაარსი კი ცვლილებისადმი ინდიფერენტულია.

როდესაც ფსიქოლოგები არაცნობიერზე ლაპარაკობენ, ისინი სწორედ ცნობიერების ამ ირაციონალურ შინაარსს გულისხმობენ, იქნება ეს არაცნობიერი თუ არქეტიპული მეხსიერება. რადგანაც ისინი შინაარსის საზღვრებს ვერ ამჩნევენ, შეუძლებელი მიაჩნიათ მასში რაციონალური ოპერირება და მას შეუმეცნებლად აცხადებენ.

„სინამდვილეში“ კი ცნობიერების შინაარსი არა თავისი არსებით, არამედ თავისი ფუნქციით ანუ მოქმედებით არის ირაციონალური; მის მოქმედებას არა აქვს საზღვრები, ყველაფრის მომცველია. ხოლო ის, რაც თავად ამ შინაარსს წარმოადგენს, სავსებით წვდომადია.

ამ საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეალურად არანიარი არაცნობიერი და შეუცნობელი არ არსებობს. ალბათ სარტრი ამას გულისხმობდა, როდესაც ამბობდა, რომ ადამიანი ყველაფერს ცნობიერად აკეთებს. ზოგჯერ ეს დებულება ისე ესმოდათ, თითქოს სარტრის მიხედვით – ადამიანი გაცნობიერებულად აკეთებდა იმას, რასაც ფროიდი არაცნობიერ საფუძველს უძებნიდა. სარტრი ალბათ გულისხმობდა, ჯერ ერთი იმას, რომ არაცნობიერი არ არსებობს და ყველაფერი, რასაც

არაცნობიერს მიაწერენ ცნობიერებაში ხდება და მეორე – ადამიანის მიერ თავისი მოქმედების პრინციპულ გაცნობიერებადობას. – არსებობს მხოლოდ ცნობიერების შინაარსი და ცნობიერების ფორმები.

ის, რაც საერთოა ყველა და ყველა დროის ადამიანში, არის ცნობიერების შინაარსი. ადამიანებს განასხვავებს ერთმანეთისაგან ამ შინაარსთან დამოკიდებულება: ადამიანი თავისუფალი ხდება რეფლექსიით საკუთარ ცნობიერებაზე. ეს პლატონის მითის ანალიზმაც გვიჩვენა. არ არის აუცილებელი, რომ ეს მარტო ფილოსოფოსის საქმე იყოს. ყველა მოჯანყეს აქვს საშუალება ფენომენტა სამყარო იმ ილუზიების გარეშე დაინახოს, რომლებითაც მისივე ცნობიერება მოსავს მათ.

ჩვენ აქამდე პლატონის მონათხრობს „მითს“ ვუწოდებდით. ეს უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს, რადგანაც ეს ამბავი არ გავს იმ მითებს, ჩვენ რომ წიგნებში ვხვდებით ხოლმე და მაინც, ტრადიციულად, „სახელმწიფოს“ ამ მონაკვეთს „გამოქვაბულის მითი“ ჰქვია. შესაძლებელი ახსნა ამ ფაქტისა ალბათ ის არის, რომ ამ ამბავში გადმოცემულია მითის ფუნქცია ანუ ცნობიერების შინაარსი, რომელიც სტრუქტურით არამითსაც კი მითად აქცევს.

ყოველი მოჯანყე ცდილობს ჯერ თავი დააღწიოს ცნობიერების არსებულ ფორმას, ხოლო შემდეგ, თუ მოთმინება და გამძლეობა ეყო, ცნობიერების შინაარსსაც. მხოლოდ ფორმისაგან თავის დაღწევისაკენ სწრაფვა, საუკეთესო შემთხვევაში, მთავრდება ახალი ფორმის შექმნით. ამაზე გაჩერება ადამიანს სოციალურ მოღვაწედ აქცევს. როდესაც მოჯანყე არ კმაყოფილდება მხოლოდ ფორმის გადალახვით და ცდილობს შინაარსსაც დააღწიოს თავი, ეს უკვე შინაგანი თავისუფლებაა, რომელსაც ვერანაირი გამოქვაბულის ბორკილები ვეღარ შეზღუდავს. რას ნიშნავს თავისუფლება, თუ არა უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავისაგან განთავისუფლებას – ამ სიტყვებით შეიძლება გადმოიცეს გამოქვაბულის მითის არსება.

მხოლოდ საკუთარი თავიდან განთავისუფლებით მოიპოვებ საკუთარ თავს – ეს არის მეორე დასკვნა გამოქვაბულის მითიდან. რას ნიშნავს საკუთარი თავის მოპოვება, თუ არა განთავისუფლებას იმ საერთოდან, რაც ცნობიერების შინაარსია და ამიტომ შეუზღუდაობას იმისაგან, რასაც ცნობიერების ფორმები ჰქვია.

შემდეგ თავებში ჩვენ ვნახავთ, თუ როგორ გაიშლება ადამიანის ბედი, – ადამიანის, რომელიც თავისუფლების ასეთი ამალგებული და გაბედულებით სავსე განსაზღვრების მქონეა – რომელსაც ასეთი თავისუფლება უნდა.

II ნაწილი. ჩვენი ადგილი

I

ყველასათვის ცნობილია ოიდიპოსის მითი: აბელთი წინასწარმეტყველებისათვის თავი რომ დაეღწია, ოიდიპოსი მამამ მოიშორა და ის სამშობლოდან შორს გაიზარდა ისე, რომ თავის წარმოშობაზე არაფერი იცოდა. თებესკენ გზაზე მიმავალ, უკვე დავაჟაკაცებულ ოიდიპოსს საკუთარი მამა შემოაკვდა. შემდგომ მან თებე სფინქსისაგან იხსნა და მადლიერმა მოქალაქეებმა ის მეფედ აირჩიეს. ოიდიპოსმა საკუთარი დედა ცოლად შეირთო. როდესაც ტირესიასის საშუალებით მისთვის ცნობილი გახდა, თუ რა ჩაიდინა, ოიდიპოსმა თვალები დაითხარა. აღსრულდა, რაც უწინასწარმეტყველეს ოიდიპოსის მამას.

ეს მითი თვალსაჩინოს ხდის იმ ორმაგობას, რომელიც ბერძნულ მითებს ახასიათებს – შესაბამება ადამიანის თავისუფლებასა და ღმერთების ნებას შორის; მაგრამ ეს არ არის ორმაგობის ერთადერთი სახე, რომელიც ამ მითებში გვხვდება; ამ პრინციპის ნათელი გამოხატვაა მითების ორბუნებოვანი პერსონაჟები; პანი, კენტავრები, სფინქსი. მეტიც: მითები თავისი შინაარსითაც არ არიან ერთნი: მათში ხშირად გაერთიანებულია სხვა მითები, რომლებსაც, მიუხედავად იმისა, რომ მათ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, დამოუკიდებელი არსებობა და მნიშვნელობა გააჩნიათ.

ასეთი „მეორე“ ოიდიპოსის მითში არის სფინქსის ამბავი. ამ მითის ორმაგობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იმით ხდება, რომ ამ მითის პერსონაჟი – სფინქსი – ერთ ფორმაში ორნაირი არსებობის – ცხოველურის და ადამიანურის შესაბამებაა.

სფინქსი ღმერთების მიერ თებეს სასჯელად იყო მოვლენილი. ის ქალაქის ჭიშკართან იჯდა და ამვლელ-ჩამვლელს ერთ გამოცანას ეკითხებოდა: რა არის ის, რაც დილას ოთხ ფეხზე დადის, შუადღისას ორზე, ხოლო საღამოს სამზე? მას, ვინც არასწორად უპასუხებდა, სფინქსი კლავდა. ოიდიპოსმა სწორი პასუხი უთხრა და სფინქსი უფსკრულში გადაეშვა.

სფინქსის ყოფიერებაში ადამიანი და ცხოველი ერთად დგანან. მითის ორმაგობა მასაც ისევე ეხება, როგორც ოიდიპოსს. ამიტომ სფინქსის თვითმკვლელობის მიზეზი

ოდიპოსის პასუხში უნდა ვეძებოთ. ერთი შეხედვით სფინქსის გამოცანა და მასზე პასუხი – „ადამიანი“ – ბავშვურ თავსატეხად წარმოგვიდგება. მითის სტრუქტურა გვაეჭვებს – აქაც ხომ არა აქვს ადგილი ორმაგობას – შესაბამეხად ბავშვურ თავსატეხსა და რაიმე სიღრმისეულს შორის.

წინადადება – „ვინც დილას ოთხზე დადის, შუადღისას ორზე, ხოლო საღამოს სამზე“ – აღნიშნავს ცვალებადობას. მთლიანად იგი წარმოადგენს განსაზღვრებას, რომლისთვისაც სფინქსი სუბიექტის დასახელებას მოითხოვდა. ოდიპოსის პასუხმა დაასრულა ეს დეფინაცია. სფინქსი ცვალებადობის შესახებ კითხულობს; თანაც ეს ჩვეულებრივი ცვალებადობა არ არის: ეს უკიდურესი ცვლაა. ცვალებადობა ერთი დღის, ერთი αΔV-ის განმავლობაში. ასე რომ, სფინქსის კითხვა შეიძლება შემდეგნაირად „ვთარგმნოთ“: რა არის ის, რაც თავისი არსებობის მანძილზე მაქსიმალურად იცვლება, ცვლის თავისი არსებობის წესს, ფორმას? პასუხი იგივე რჩება: „ადამიანი“.

მაშასადამე, სფინქსი და ოდიპოსი ერთად ადამიანის ახალ განსაზღვრებას აყალიბებენ. ახალი რომ არ იყოს თებეს ნებისმიერი განათლებული მოქალაქე გასცემდა პასუხს და ქალაქსაც გადაარჩენდა. ეს გამოცანა არა მარტო როგორც განსაზღვრება, როგორც თავსატეხიც კი – ახალია, ეს განსაზღვრება სფინქსისაც ისევე ეხება, როგორც ოდიპოსს. სფინქსის ყოფნა თანაბრადაა განსაზღვრული როგორც ადამიანურით, ასევე ცხოველურით. ყოფიერების ეს ორი სახე მასში ზუსტ შესაბამეაშია (ისევე როგორც ყველაფერი ორმაგი ბერძნულ მითში) ერთმანეთთან. პასუხის გაცემის შემდეგ სფინქსი თავს იკლავს. ამ თვითმკვლელობის ერთი მხარე – ღმერთების ნება – გასაგებია ჩვენთვის. მეორე მხარე – თავისუფლება – ასახსნელი.

სფინქსი არსებობს ადამიანივითაც. ასე რომ, ადამიანის ახალი განსაზღვრება მისი განსაზღვრებაცაა; მაგრამ სფინქსი ამ განსაზღვრების შემოღებას სიკვდილით ხვდება. ამას მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება მოეძებნოს: ადამიანის ახალი არსება მისთვის მიუღებელია და მიუღებელია ალბათ იმის გამო, რომ მისი არსებობის წესი, რომელიც გულისხმობს ადამიანური და ცხოველური ყოფნის წესის ურთიერთშეხამებას, ამის საწინააღმდეგოა.

თბეს ჭიშკართან ადამიანის ახალი არსება – ცვალებადობა დგინდება და ყველა, ვინც კი ადამიანია, ამ განსაზღვრებაში ექცევა. სფინქსი, რომელშიც ადამიანური და ცხოველური შესაბამებაშია ერთმანეთთან, თავს იკლავს. კვდება იმის გამო, რომ შეუძლებელია უკვე ურთიერთსაწინააღმდეგო არსებების შესაბამება.

ჩვენ გავარკვეთ სფინქსის სიკვდილის ორმაგობა, მაგრამ ამ მითში კიდევ ერთი შეუმჩნეველი და აუხსნელი ფაქტი დარჩა: ღმერთების სასჯელი. ერთი შეხედვით, სასჯელი სფინქსის სიკვდილით მთავრდება; მაგრამ ამის შემდეგ თბეს მოქალაქეები თავიანთ სიცოცხლეს ომებში და ძმათა კვლაში ატარებენ. ოიდიპოსის მითი ანტიგონეს ამბავში გადადის. რა არის სფინქსის მითში ისეთი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ღმერთების სასჯელის დასრულებაში ეჭვი შევიტანოთ?

ისე და ისევე ადამიანის ახალი განსაზღვრება. ეს ახალი განსაზღვრება სასჯელის ნაწილია. ის სფინქსის თბეს ჭიშკართან ყოფნის ისეთივე აუცილებელი კომპონენტია, როგორც ოიდიპოსი. აქედან მხოლოდ ერთი რამ გამომდინარეობს: ადამიანის ახალი განსაზღვრების დადგენით ღმერთები სჯიან ადამიანებს, თანაც ისე, რომ თვითონვე აძებნინებენ სასჯელს. ჩვენი მიზანია გავერკვიოთ, თუ რაში მდგომარეობს ამ განსაზღვრების სასჯელობა და საშინელება.

ადამიანის ახალი განსაზღვრების ძირითადი პრინციპი არის ცვალებადობა. ფრაზა – ის ვინც დილას ოთხზე დადის, შუადღისას ორზე, ხოლო საღამოს სამზე – უკიდურესი ცვალებადობის უნარის ილუსტრაციაა. თუკი ეს ახალი განსაზღვრება ეწინააღმდეგება ძველს, მაშინ ის განსაზღვრება, რომელშიც ადამიანი და ცხოველი შესაბამებაში დგანან, არის უცვლელია.

ყოველივე ეს მიგვიბრუნებს, რომ ოიდიპოსის შემდეგ ადამიანი და ცხოველი ერთად ვეღარ იქნებიან და მათ შორის განსხვავება ძვეს სამყაროში ყოფნის ცვალებადობა-უცვლელიაში. ამ მითის მიხედვით ადამიანისათვის ცვალებადია სამყაროს აღქმის კუთხე ანუ მისი მოქმედების მიმართულობა. ე. ი. თავის მოქმედებებს ადამიანი საჭიროებისამებრ უცვლის მიმართულებას და სხვადასხვა მხარეს მიმართავს. ადამიანი, რომელიც ოიდიპოსის პასუხის შემდეგ დგინდება, იცვლის სამყაროს სურათს (სამყაროს აღქმის

კუთხეს) – რათა უკეთესად იგრძნოს თავი და ამ სურათის მიხედვით ცვლის სამყაროს, თვითონ კი უცვლელი რჩება.

ამაზევე დაყრდნობით, ცხოველის შემთხვევაში საწინააღმდეგო უნდა ვივარაუდოთ; ალბათ მას აქვს სამყაროს აღქმის უცვლელი კუთხე, მოქმედების უცვლელი მიმართულება ანუ სამყაროს უცვლელი სურათი. ე. ი. თუკი შეიცვლება გარემო, ხოლო ცხოველს არ შეუძლია შეცვალოს თავისი მოქმედების მიმართულობა, მაშინ ის თვითონ შეიცვლება, რათა, როგორც იყო, ისეთსავე შესაბამებაში დარჩეს ბუნებასთან.

ასე ვიღებთ ჩვენ ცვალებადი ადამიანისაგან მოუქნელ და ხისტ სისტემას, რომელიც ამ მოუქნელობის გამო ანგრევს გარემოს და კვლავ აშენებს მას ახალი სურათის მიხედვით და უცვლელი ცხოველისაგან – მოქნილ და ჰარმონიულ სტრუქტურას, რომელიც მიისწრაფვის მუდამ ერთ შესაბამებაში იყოს ბუნებასთან და არა ცვალოს ეს შესაბამება, ანდა სამყარო იყოლიოს შესაბამებაში, როგორც ამას ადამიანი აკეთებს.

ღმერთების სასჯელი დაფარული იყო: ადამიანები რომც მიმხვდარიყვნენ ახალი განსაზღვრების გაჩენას, განა იფიქრებდნენ, რომ ცვალებადობით დაწყველა უცვლელობად და ისტორიის საშინელებად შემოუბრუნდებოდათ.

ამით ჩვენ ვწვდებით ღმერთების სასჯელის „მეორე გვარს“. სფინქსის გამოგზავნით ღმერთები ადამიანს და ცხოველს აშორებენ ერთმანეთს და ადამიანს საშინელ ცხოვრებას უმზადებენ: ბრძოლებით, კაცისკვლით და ბევრი ცვლილებით, მხოლოდ და მხოლოდ უკეთესად ყოფნის ილუზიის გამო. ოიდიპოსის პასუხში არის კაცობრიობის შემდგომი ბედი – ისტორია თავისი რევოლუციებით და გადატრიალებებით.

ღმერთების სასჯელის ამ მხარესაც ახასიათებს თავისი „ორგვარობა“: ის ადამიანს აკარგვინებს ნორმალურ ურთიერთობას და აწყვეტინებს კავშირს სხვა ცოცხალ არსებებთან. უზარმაზარ უფსკრულს აჩენს მათ შორის და ადამიანს მართოდ ტოვებს სამყაროში. ღმერთების სასჯელი მართლობითა და სასოწარკვეთილებით „დასაჩუქრებაა“ და ნიშანდობლივია, რომ ეს ყველაფერი იწყება ერთიანობის, შესაბამების სიმბოლოს სიკვდილით. ეს სასჯელი მითიდან აგდება ადამიანს, უკარგავს არსებულ ორიენტირს, სამყაროს და აიძულებს ახლის ძიებას – შესაბამისობის მოსპობით. ამით ის სპობს იმ მთავარ პრინციპს, რომლის მიხედვითაც არის ადამიანი მითის პერსონაჟი და მითი

ადამიანის სამყარო – ორგვარობას. ადამიანი ერთგვარი ხდება და პლატონისეულ შუაზე გაკვეთილი ანდროგინის მსგავსად, მთელ თავის ისტორიას მეორე ნაწილის ძებნაში ატარებს.

ღმერთების სასჯელის მეორე მხარე მხოლოდ სფინქსის სიკვდილის შემდეგ იწყებს განხორციელებას – მაშინ, როდესაც ყველას ჰგონია, რომ სასჯელი დამთავრდა და მას მხოლოდ რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ოიდიპოსის მითის ეს მეორე მხარე ბევრად უფრო საშინელ ტრაგედიად წარმოგვიდგება, ვიდრე მისი გაგრძელება: ამ მითის მეორე ნაწილი მხოლოდ დადასტურება და განხორციელებაა იმ სასჯელისა, რომელიც ღმერთებმა ადამიანებს დაუწესეს.

თებეს ჭიშკართან ადამიანის ორი განსაზღვრება დგას: ძველი – მითის პერსონაჟი – სფინქსი, რომელიც ერთიანობის, სამყაროს დაურღვევლობის და ჰარმონიის ნიშანია, რომლის მიხედვითაც ადამიანი სამყაროს ჩვეულებრივი ნაწილია სხვა ნაწილების გვერდით და ახალი – ისტორიის სუბიექტი – ოიდიპოსი, რომელიც თვითონ ხდება ახალი განსაზღვრების მატარებელი და მისი შემდგომი ბედიც, სწორედ არსებობის ახალი წესის გამო, საოცრად ცვალებადი და უბედურია.

II

ეს მითი მიგვითითებს ჩვენს ადგილს სამყაროში. ის არ ათავსებს ადამიანს არც მის პერიფერიაზე, არც მის ცენტრში. ჩვენი მიზანი იმ ადგილის პოვნაა, რომელიც მოუძებნა ადამიანმა თავის თავს. ადგილს, რომელიც მას მისივე კონსტიტუციით ეკუთვნის. ჩვენ უნდა მოვნახოთ ის წესი, რომლითაც ადამიანი ცხოვრობს გარემომცველ სამყაროში, ისე, რომ გარემო მისგან დამოუკიდებელია, ისე, რომ ის და ბუნება სამყაროს ორ, დამოუკიდებელ წევრს წარმოადგენენ. ასეთ არსებობას ადამიანში ღრმა საფუძველი უნდა ჰქონდეს. ამიტომაც არის ჩვენი მიზანი გავარკვიოთ ადამიანის და ბუნების მდგომარეობა; ანუ, ის კანონი, რომლის მიხედვითაც ადამიანის ყოფიერებას ადამიანშივე აქვს გამართლება. ჩვენი მიზანია მოვნახოთ ადამიანის და ბუნების ის აღწერა, რომელიც

საფუძვლად უდევს ყველა არსებულ აღწერას ანუ რომელიც ყველა დროის შესაბამისი იქნება. აქამდე ჩვენ ვაჩვენებდით ადამიანის არსებობის წესის (რიტუალის) უცვლელობას დროთა ცვალებადობაში. ამჯერად უნდა ვიპოვოთ ასეთივე იგივეობის საფუძველი არსებობის ფორმაშიც; ანუ ის აღწერა, რომელსაც მივყვებით, უნდა იკითხებოდეს ყველა მეტაფიზიკაში, ყველა თეოლოგიურ სისტემაში, ყველა თეორიაში სამყაროს შესახებ.

ეს არ არის არც ეკოლოგიური (რაკი ბუნების და ადამიანის ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ) და არც ფსიქოლოგიური საკითხი. ეს ფილოსოფიური საკითხია, თუკი ფილოსოფიას გავიგებთ, როგორც არსებობის საზღვრით ცნებებზე აზროვნებას. არსებობის საზღვრითი ცნებები კი, რომლებიც განისაზღვრებიან ან ერთმანეთით, ან ყოფიერებით, არიან ბუნება და ადამიანი.

ჩვენ ვნახეთ, რომ ადამიანის არსებობა ხასიათდება, როგორც ცნობიერება. ვნახეთ, რომ ადამიანი თვითონვე იქმნის საკუთარი ცნობიერების ფორმას და საჭიროებისამებრ ცვლის მას ისე, რომ ცნობიერების შინაარსს უცვლელად ტოვებს. ადამიანთან ვპოულობთ ყოფიერების შემდეგ ფორმულას: უცვლელი მოქმედების წესი (ცნობიერების შინაარსი) – მოქმედების ცვალებადი ორიენტირი (ცნობიერების ფორმა).

სფინქსის მითმა მიგვითითა, რომ არის „სხვანაირი ყოფიერებაც“; ამ შემთხვევაში ცნობიერების ფორმის ფუნქციას ასრულებს გარემო და ამ დროს ცნობიერების შინაარსსა და ფორმას შორის მიმართება ერთმნიშვნელოვანია; თუკი შეიცვლება გარემო პირობები, შეიცვლება ყოფიერების მოქმედების წესიც (რიტუალი); ე. ი. ეს ყოფიერი პირდაპირ მიმართებაშია საკუთარი ცნობიერების ფორმასთან.

ბუნების ყველა ფორმაში, მის ყველა გამოვლენაში შეიძლება მსგავსი ფორმულა ამოვიკითხოთ: მაგალითად – თუკი მცენარის არსებობის წესს (მის ზრდას, განვითარებას), განვიხილავთ როგორც რიტუალს, მაშინ ფორმის ანუ რიტუალის ორიენტირის როლს შეასრულებს ბუნება. ამ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება ეს სიტუაცია წარმოვიდგინოთ, როგორც ცალკე გამოყოფილი ქცევა, რომელიც უშუალოდ მიემართება გარემოს – იცვლება რა გარემო, იცვლება თვითონაც; ასევე, მაგალითად, ქვის შემთხვევაში, მის კონკრეტულ არსებობას, სწორედ იმის გამო, რომ ის კონკრეტულია, შეიძლება დავარქვათ რიტუალი, რადგანაც ასეთი არსებობა არის მისი მოქმედების ე. ი.

არსებობის წესი და იმ გარემოს, რომელშიც ის არის – რიტუალის ორიენტირი. ასე შეიძლება მივყვეთ და არსებობის ყველა ტიპი განვიხილოთ და ყველგან მივიღებთ შემდეგ ფორმულას: იცვლება რა ბუნება (გარემო), იცვლება არსებობის (მოქმედების) წესიც. ასეთი აღწერა სხვას არაფერს გვეუბნება, გარდა იმისა, რომ ბუნება არის რაღაც სისტემა. მასში ყველაფერი შესაბამებაშია ერთმანეთთან. მაგრამ, ბუნება გარდა იმისა, რომ თავად არის სისტემა, შედგება კიდევ უამრავი სისტემებისაგან, რომლებსაც ბუნებაში არსებულები ქმნიან. ბუნებაში ცალკე არაფერი არ არსებობს – ყველაფერი არის გარკვეულ სისტემაში და სისტემის ძალით. ყოველი კონკრეტული ორიენტირდება ჯერ საკუთარ სისტემაზე, ამ სისტემის გავლით კი მთელ ბუნებაზე ანუ იმ გარემოზე, რომელშიც ეს სისტემა არსებობს. ეს სისტემატურობა – კონკრეტურად, რეალურად – გამოიხატება ერთი მხრივ სოციუმით, ხოლო მეორე მხრივ ცნობიერებით. ცნობიერება შეიძლება დავახასიათოთ, როგორც არსებობის (სოციალური) ფორმა, ხოლო სოციალურობა როგორც არსებობის შესაბამებითი, სისტემური წესი, იქ, სადაც სოციუმია, არსებობს ცნობიერებაც. – ზოგ შემთხვევაში ცნობიერება არის დამახასიათებელი მთელი სოციუმისათვის – ასეთი ცნობიერების შინაარსია ის კონკრეტული ქცევა, ის რიტუალი, რომელსაც სოციუმის წევრები ასრულებენ მთლიანი სოციუმის შენარჩუნებისათვის. მაშასადამე, შეიძლება წარმოვიდგინოთ ბუნება, კოსმოსი, – ცნობიერებად, რომელსაც ახასიათებს გარკვეული შინაარსი – კონკრეტულ ფენომენტა არსებობა, მათი კონკრეტული მოქმედება, რიტუალი და ფორმა – ერთიანობა, რომელსაც მთლიანად ბუნება, კოსმოსი წარმოადგენს. ერთი შეხედვით, ამ უკიდურესად ჰარმონიულ სურათში არ თავსდება ადამიანი. იმისათვის, რომ ასეთ საფუძველს ჩავწვდეთ, უნდა შევადაროთ ერთმანეთს ადამიანის ცნობიერება და ბუნება და ეს რომ ჩვენთვის მოხერხებული იყოს, ბუნების მაგივრად უნდა განვიხილოთ მაღალორგანიზებული ცხოველის ცნობიერება, რომელიც თავისი ყოფიერებით ადამიანის გვერდით დგას, ადამიანთან არის ყველაზე უფრო, სხვა ყოფიერთა შორის.

III

მითი გვეუბნება, რომ ცხოველის ცნობიერება შემდეგი სტრუქტურის უნდა იყოს; მას უნდა ახასიათებდეს ცნობიერების შინაარსი – რის საფუძველზეც ის არსებობს და ურთიერთობას ამყარებს ანუ ქცევა, რომლითაც ცხოველი მიემართება იმ საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრობს. ამ სისტემის – სოციუმის გავლით ის ესაბამება ბუნებას და მუდმივ, უცვლელ მიმართებაშია მასთან. ეს მიგვითითებს, რომ ცხოველის ცნობიერების ფორმა უნდა იყოს სოციუმი. ცხოველის ცნობიერების შინაარსი მიმართულია უშუალოდ სოციუმზე და მისი რიტუალი ემსახურება სოციუმში ურთერთობის გარკვევას და გარკვეული ადგილის დაკავებას. რა თქმა უნდა, ეს მიმართულობა არ „ცნობიერდება“ ცხოველთან. საფრთხე (დაშლა), რომელიც ბუნების ანუ გარემო პირობების შეცვლისას ემუქრება სოციუმს, ინდივიდში გარდაისახება კონკრეტული არსებობის საფრთხედ, რადგან სოციუმი ის სისტემაა, რომელშიც ის არსებობს და რომლის გარეშეც მას დაღუპვა ემუქრება. სოციუმს კი გარემო პირობების შეცვლისას დაშლა ემუქრება იმის გამო, რომ ის რიტუალი, რომელიც მის სიცოცხლისუნარიანობას აპირობებს, აღარ შეესაბამება იმ გარემოს, რომელშიც სოციუმი არსებობს. ამ ორმხრივი დამოკიდებულების გამო ცხოველი იძულებულია შეცვალოს თავისი რიტუალი ისე, რომ მიმართება ცნობიერების შინაარსსა და ფორმას შორის იგივე დატოვოს. მაშასადამე, ცხოველი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც უკიდურესად სოციალური არსება: იმისათვის, რომ სოციუმი (რაც მისი არსებობის ფორმაა) არ დაინგრეს, ის (როგორც გვარი) აბსოლუტურად ცვლის თავის თავს. მაშასადამე, ცხოველის ცნობიერების შინაარსი, მისი ქცევა არის სოციუმზე ორიენტირებული. სწორედ ამის გამო ეს ავტონომიური ცნობიერება არ ვარდება ბუნების ერთიანი სისტემიდან და მის ნაწილად რჩება. როდესაც ცხოველი ქცევას იცვლის, ამას უნდა მოჰყვეს სოციალური სტრუქტურის შეცვლაც, მაგრამ ამით ჰარმონიულობა არ ირღვევა: შესაბამება – ცხოველი-სოციუმი-ბუნება იგივე რჩება (ცხოველი „რეალურად“ ორიენტირებულია სოციუმზე, „ფსიქოლოგიურად“ კი – თავის თავზე. სწორედ იმიტომ, რომ ის „ინდივიდუალისტია“, ის არის სოციალური და ცხოვრობს „ჰარმონიულ“ საზოგადოებაში). ცხოველის არსებობის წესი არის უცვლელი;

ბუნებაში ყოველ ცვლილებას შეესაბამება ცხოველის რიტუალის და სოციუმის ცვლილებები, ანუ მიმართებათა რიგი უცვლელი რჩება. იგივეს ვამბობთ ბუნებაზე – ბუნება, როგორც მიმართებათა გარკვეული სისტემა, ხასიათდება მულტივობით.

მაგრამ როგორ არის ამ შემთხვევაში ადამიანის საქმე, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ყოფიერებაში ცხოველთან ერთად დგას. ამ დროს დგომის გამო მათი არსებობის (ყოფიერების) წესი ერთი უნდა იყოს. ეკოლოგიური კატასტროფები ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი ადამიანისვე ბრძოლა მათი თავიდან აცილებისათვის მიგვიბრუნებს, რომ ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა „ჰარმონიულობისაგან“ (შესაბამებიდან) შორს დგას. თუკი ადამიანი თავისი ცნობიერების შინაარსით არის ბუნება (ცხოველთან ერთად დგომის გამო), განსხვავება ადამიანსა და ბუნებას შორის ცნობიერების ფორმაში უნდა ვეძიოთ.

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანის ცნობიერებაში უცვლელია ცნობიერების შინაარსი (რიტუალი) და იცვლება ცნობიერების ფორმა. ადამიანი მაქსიმალურად გამიჯნულია ბუნებას და საკუთარ თავში ცდილობს შექმნას იგივეობრივი სტრუქტურა. ამიტომაც მისთვის ცნობიერების ფორმა არის არა თავად ბუნება, სამყარო, არამედ სამყაროს ხატი – მეტასამყარო (მეტა-სამყარო აქ ნიშნავს მოძღვრებას სამყაროს შესახებ, სამყაროს შესახებ თეორიას, ბუნების შესახებ ცოდნის ქონას, რაც ნიშნავს ცოდნის საგანზე გარედან დაკვირვებას). ზემოთ აღწერილი სტრუქტურის შესაბამისად, როდესაც იცვლება სამყაროს კონკრეტული ხატი (რალაც მეტა-სამყარო), იცვლება ის სოციალური სტრუქტურა, რომელიც არსებობს მოცემულ მომენტში; მაგრამ რადგანაც ადამიანი თვითონ ახორციელებს ამ ცვლილებას, არსებობის საკუთარ წესს უცვლელად ტოვებს. ეს იმიტომ ხდება, რომ ადამიანი არსებულ მეტა-სამყაროს ცვლის მხოლოდ და მხოლოდ „დაზუსტების“ და არსებული, „ნამდვილი“ სამყაროსადმი „უკეთესი შესაბამების“ დროში. ხოლო, რადგანაც მისთვის არსებული, ბუნებრივი სამყაროდან ყველაზე ახლოს მყოფი არის საკუთარი არსებობის წესი ანუ ცნობიერების შინაარსი (რიტუალი), იგი მას წარმოუდგება როგორც უცვლელი, რომელსაც მან უნდა შეუსაბამოს საკუთარი წარმოდგენები სამყაროზე. ამიტომაც, ადამიანის შემთხვევაში, იცვლება რა ბუნების ხატი (ცნობიერების ფორმა) და სოციუმი (ცნობიერების ფორმის პროექცია), ცნობიერების

შინაარსი ანუ ადამიანის არსებობის წესი იგივე რჩება; ანუ, ეს ბოლო ფრაზა გასაგებად გახდომისათვის არსებული მეტა-სამყაროს ენაზე რომ ვთარგმნოთ, მივიღებთ, რომ ადამიანი, როგორც ბიოლოგიური (ან თუნდაც ზოოლოგიური) სახეობა, უცვლელია. როგორც იყო პირველი ადამიანი ისეთივენი ვართ ჩვენც. ისევე როგორც პირველყოფილ ადამიანთა შორის სოციალური სტრუქტურა ისაზღვრება იმ მითებით, რომლებსაც ისინი ჰყვებიან ხოლმე (კლოდ ლევი-სტროისი), ასევე ჩვენი სოციალური სტრუქტურაც, ის სისტემები, რომლებშიც ვცხოვრობთ, ისაზღვრება იმ წარმოდგენებით სამყაროზე, რომლებიც ჩვენ გვახასიათებს.

ადამიანი მიისწრაფვის ცნობიერების ფორმის დაზუსტებისაკენ; ანუ, მისი სურვილია როგორმე გახადოს ის საკუთარი თავის (ადამიანისვე) იგივეობრივი. მას იმედი აქვს, რომ ოდესმე შექმნის ისეთ ფორმას, რომლის შესაბამისი სოციალური სტრუქტურა იქნება „ბუნებრივი“ და ჰარმონიული (ე. ი. მისი საკუთარ არსებობის წესის, მისთვის დამახასიათებელი რიტუალის შესაბამისი). ადამიანი მიისწრაფვის გახდეს მაქსიმალურად სოციალური. – ამ თავის მისწრაფებით ის მაქსიმალურად სცილდება მიზანს და ნგრევათა მონაცვლეობის გარდა ვერაფერს აღწევს. ადამიანი თავისი არსებობით არის განწირული მოუწყობელ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის.

ცნობიერების ფორმა, რასაც ტრადიციულად გონებას ან განსჯას უწოდებენ, თავის საფუძველში ერთნაირია ყველასათვის, ვინც ასეთ ყოფიერებაში დგას. მისთვის აუცილებლობითაა დამახასიათებელი ცვალებადობისაკენ სწრაფვა; მაგრამ ამასთან ერთად ცნობიერების შინაარსის ცვალებადობის უნარი და უუნარობა აპირობებს იმ სხვადასხვა გზას, რომელსაც ერთ ყოფიერებაში, არსებობის ერთ წესში მყოფნი ადგანან (მაგ. ცხოველი და ადამიანი);

ცნობიერების ფორმის ამ საერთო საფუძველს ჩვენ შეიძლება გაგება ვუწოდოთ, რომელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც ცნობიერების ფორმის უნარი. ეს ის უნარია, რომელიც იმ გარემოს გააზრების საშუალებას იძლევა, რომელშიც ესა თუ ის კონკრეტული ინდივიდი ცხოვრობს. ეს ის უნარია, რომელიც კონკრეტულ არსებულს აგებინებს თავის გარემოს: ზოგს იმ ცვლილების შესაბამისად, რომელიც სამყაროში ხდება, ზოგს – საკუთარი თავის მიხედვით, საკუთარი თავის „ხატად და მსგავსად“. ეს

გაგება ანუ სამყაროს აგების უნარი უდევს საფუძვლად ადამიანის გონებას – სხვადასხვა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფენომენებით.

ამიტომაც, როდესაც ჩვენ ცხოველს ვუყურებთ და გვესმის, როცა ის სიყვარულს, დედობრივ გრძნობას, სიბრაზეს ან სხვა რაიმეს გამოხატავს, არის იმის „ბრალი“, რომ ჩვენ სამყაროს ერთნაირი გაგება გვაქვს; ანუ, ემპირიულ სამყაროში ჩვენ ერთნაირად ვართ, ერთნაირად ვაზროვნებთ. განსხვავება ამის შემდეგ საფეხურზე იქმნება, როდესაც თავის ნაკლულობის და მთლიანად ცვლის უუნარობის გამო, ადამიანი იწყებს თავის თავში სხვადასხვა სამყაროების აგებას. მაგრამ, ეს სამყაროებიც ისეთივე წინააღმდეგობრივია, როგორც მათი შემქმნელი. ეს ნაკლულობა ადამიანს დაძლევადი ჰკონია, რადგანაც, არ იცის, რომ წინააღმდეგობრიობა თვითონ მის, როგორც ცნობიერი არსების საფუძველში ძევს.

IV

ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ჩამოვყალიბოთ ევოლუციური სურათი ანუ ვაჩვენოთ, თუ როგორ წარმოიშვი ადამიანი ცხოველისაგან, თუ რა დაელო საფუძვლად ცნობიერების ახალი ტიპის წარმოქმნას. ეს შეიძლება ახსნილიყო ენის წარმოშობით; ენის ანუ სახელდების, ბუნების დასახელების შექმნა უკვე სამყაროს სურათია, მეტა-სამყაროა. ხოლო თავად ასეთი ფენომენის წარმოშობა შეიძლება ემყარებოდეს ცხოველის მისწრაფებას მაქსიმალურად შეეგუოს ბუნებას, ერთხელ და სამუდამოდ დააფიქსიროს იგი საკუთარ თავში, რათა სულ ცვალებადობა არ მოუხდეს; მაგრამ ასეთი სურათის აგება არ შეესაბამება ჩვენს მიზნებს და არც აქამდე აგებულ დასკვნებს; როგორც I ნაწილში აღვნიშნეთ, დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ისტორიის ნიშნით, „ისტორიის“ სპეციფიკური გაგებით ხასიათდება. რასაც ემყარება მეცნიერების წარმოშობა იმ ფორმით, როგორსაც დღეს ვხედავთ. თანამედროვე მეცნიერებაში ჭეშმარიტების დადგენის, საგნის არსების გარკვევის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული მეთოდია საგნის ისტორიის კვლევა და შექმნილია წარმოდგენა, რომ საგნის წარმოშობის ცოდნა დაგვეხმარება გავიგოთ საგნის რაობა (ლოკი: საგნის

არსების ცოდნა საგნის გენეზისის ცოდნაა). ჩვენ თავს ვიკავებთ ყველანაირი ღირებულებითი მიდგომისაგან; მაგრამ ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ის ისტორიული ცნობიერება, რომელიც ჩვენ ღროს ახასიათებს, არ არის აბსოლუტური და ამიტომ, მასზე დამყარებული მეთოდები მხოლოდ შეხედულებების და წარმოდგენების შესაქმნელად თუ გამოდგება. ევოლუციური თეორიაც, სწორედ ახალი დროისათვის დამახასიათებელი ისტორიის გაგების შედეგია (თითქოს ცოდნა, თუ როგორ წარმოიშვა ადამიანი, რამეს გვეტყვის იმის თაობაზე, თუ რა არის ადამიანი). ამიტომაც ჩვენ ვერიდებით ევოლუციურ ანუ ისტორიულ (ეს ისეთი ისტორიაა, რომლის სუბიექტიც არის ან საერთოდ სიცოცხლე, ან ადამიანის გვარი) მიდგომას. ჩვენ ვდილობთ ავაგოთ „ყველანაირი მსოფლმხედველობის“, სამყაროს სურათის საფუძველი, „ისტორიული“ მიდგომა კი მხოლოდ ერთ-ერთია.

მსჯელობის პროცესში, როგორც ვხედავთ, ცნობიერების გზა დადგინდა როგორც არსებობის (სოციალური) ფორმა. დაზუსტდა მისი შინაარსიც – რიტუალი, როგორც კონკრეტული არსებობის წესი.

ასევე ზუსტდება თავისუფლების საკითხიც.

აქამდე ჩვენ თავისუფლება განსაზღვრული გვქონდა, როგორც სწრაფვა ცნობიერების ფორმისა და შინაარსის დაძლევისაკენ. ამჯერად ამას ემატება თავისუფლების, როგორც მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებლის, დადგენა, – მხოლოდ ადამიანს შეუძლია თვითონ შეცვალოს ცნობიერების ფორმა. რაც შეეხება ცნობიერების შინაარსს, თავისუფლებისაკენ თანმიმდევრული სწრაფვა რიტუალის, როგორც არსებობის წესის უარყოფასაც მოიცავს, მაგრამ, განსხვავებით ბუნებისაგან, ადამიანს არა აქვს უნარი საკუთარი არსებობის წესი ცვალოს. ის, რომ ადამიანი გარემო პირობებს და ვითარებებს ხშირ-ხშირად იცვლის, ცნობიერების შინაარსიდან განთავისუფლებისაკენ სწრაფვას გამოხატავს. ამაზეა დამყარებული, ერთის მხრივ, ადამიანის სწრაფვა მოგზაურობისაკენ (ადგილის ცვლა), ხოლო მეორე მხრივ, განდევილობა – სასიცოცხლო აუცილებლობებზე თანდათან უარის თქმა, მაგრამ ამ ორივეს ბოლომდე განხორციელებას თავისუფლების უარყოფისაკენ მივყავართ: თუკი ერთ-ერთი მათგანი მაწანწალობად

იქცევა, მეორე – თვითმკვლელობად; ორივე მათგანი ხდება განთავისუფლება ანუ თავისუფლებასთან გან-შორება.

თუკი ცნობიერების ფორმისაგან განთავისუფლებას ცნობიერების ახალი ფორმის შექმნისაკენ მივყავართ, ცნობიერების შინაარსიდან განთავისუფლებისაკენ სწრაფვა – საბოლოოდ ისეთ ცნობიერების შინაარსით უფრო მეტი განსაზღვრულობით მთავრდება („ადამიანი დაწყევლილია თავისუფლებით“ – სარტრი).

ასე რომ, თავისუფლება დგინდება მხოლოდ როგორც უარყოფა.

ფორმის ცვალებადობა თავიდან „აწყობს“ საზოგადოებას. ეს „გადაწყობა“ არის ისტორია. შინაარსის ცვალებადობისაკენ სწრაფვა არის იმ შემთხვევების, ამბების, „ისტორიების“ საფუძველი, რომლებიც ისტორიას უდევს საფუძლად. ადამიანიც, გონებით ხედავს რა ამას, „ისტორიის“ სხვადასხვა გაგებებზე აფუძნებს ცნობიერების ფორმას.

ძირითადი პრინციპი, რომელიც ადამიანს სხვა არსებულთაგან განასხვავებს, არის ნაწილობრივი და ამიტომაც რადიკალური ცვალებადობა. ცვალებადობა მტკივნეული და მძაფრი მხოლოდ მაშინ არის, როდესაც რაღაც მთელი მიისწრაფვის ცვალებადობისაკენ, მაგრამ მხოლოდ მის ნაწილი იცვლება, მეორე ნაწილი კი უცვლელი რჩება.

V

შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ცნობიერების ცნებამ დაკარგა კონკრეტული მნიშვნელობა და ყოვლისმომცველობა და ამიტომაც უშინაარსო გახდა; მაგრამ ეს ასე არ არის; ცნობიერების, როგორც ყოფიერების რაღაც ფორმის, რომელიც ტოტალურად არის, გაგება, ჯერ ერთი, განსაზღვრავს ცნობიერებას, როგორც დამოუკიდებელს და თავიდან იცილებს მისი გონებასთან ან განსჯასთან ანდა ფსიქიკასთან გაიგივებას. მეორე მხრივ, ამ გაგებით შინაარსი ეძლევა დებულებას „ცნობიერი არსებობის“ შესახებ. ამიტომაც, ბუნების (სამყაროს) ის აღწერა, რომელიც ჩვენ გადმოვეცით, შეიძლება განიხილოს არა როგორც რაღაც თვითნებური და შემთხვევითი, არამედ როგორც აუცილებელი და ერთადერთი მუნ-ყოფიერებისათვის.

მაშასადამე, სამყარო აღიწერება, როგორც ცნობიერება, რომელსაც ახასიათებს საკუთარი შინაარსი და ფორმა. სამყაროს, როგორც ცნობიერების, შინაარსად მიღება ის კონკრეტულობები, რომლებიც მასში არსებობენ, ხოლო ფორმად კი მთლიანად სამყარო, ბუნება. ამ მიმართებაში არსებობს, როგორც წესი, მესამე, შუალედური წევრი – სოციუმი, რომელიც ერთგვარ გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს კონკრეტულ არსებულსა და სამყაროს (ბუნებას) შორის.

ეს სისტემა ხასიათდება როგორც უცვლელი, რადგანაც მიმართებები ამ სამ კომპონენტს შორის მუდმივია, ხოლო სამივე წევრი – თანაბრად ცვალებადი: როდესაც მოდის შეცვლის იმპულსი გარემოდან, ემუქრება დაშლა სოციუმს, რადგან ახალ პირობებში ის ვერ უზრუნველყოფს თავისი წევრების სიცოცხლისუნარიანობას. ეს საშიშროება გაიგება, როგორც კონკრეტული არსებობის საფრთხე და იცვლება კონკრეტული არსებობის წესი (რიტუალი) და შემდეგ, ამ შეცვლილი, ახალი რიტუალის შესაბამისად – სოციუმიც.

ადამიანი ემიჯნება ამ სისტემას, თუმცა მასზე ამბობენ, რომ ის ბუნების ნაწილია და მასთან თავისი არსებობით ახლოს დგას. ამ სიახლოვეს განაპირობებს ის, რომ ცნობიერების შინაარსი (რიტუალი) ანუ არსებობის წესი ერთია ადამიანისათვის და ბუნებისათვის; ანუ, ადამიანი ბუნებრივად არის, ბუნებრივად ცოცხლობს. განსხვავება და გამიჯვნა გამოწვეულია ცნობიერების სტრუქტურის სპეციფიკურობით.

განსხვავებით ბუნების ნაწილისაგან, ადამიანის ცნობიერების ფორმას წარმოადგენს არა მთლიანად ბუნება, სამყარო, არამედ სამყაროს აღწერილობა, ცოდნა სამყაროს შესახებ, მეტა-სამყარო. ადამიანი შემდეგი სტრუქტურით არსებობს: კონკრეტული არსებული – სოციუმი – მეტა-სამყარო. ადამიანის ცდილობს მეტა-სამყარო გახადოს ადეკვატური სამყაროსი, რომელიც მას საკუთარი არსებობის წესის სახით ეძლევა; ამიტომაც ის უცვლელად ტოვებს რიტუალს (არსებობის წესს, ცნობიერების შინაარსს) და ცვლის მეტა-სამყაროს და, შესაბამისად, სოციუმს, მაგრამ თავის მიზანს ვერასოდეს ვერ აღწევს. ამიტომაც, განსხვავებით ბუნებისაგან, ადამიანი ხასიათდება რადიკალური ცვალებადობით. სტრუქტურა იცვლება არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ, რაც ყოველთვის მტკივნეულია (ამით ერთგვარად მართლდება ნიცშეს სიტყვები: „ადამიანი

არის ავადმყოფი ცხოველი“, თუკი ავადმყოფობას გავიგებთ, როგორც შეუსაბამობას მთელის ნაწილებს შორის).

მაგრამ მართო ეს არ არის ადამიანის „ავადმყოფობა“, მიუხედავად იმისა, რომ მისი ცნობიერების შინაარსი (რიტუალი, არსებობის წესი) უცვლელია, ადამიანი მისწრაფვის მისი შეცვლის უნარის მოპოვებისაკენ, რათა აბსოლუტურ თავისუფლებას მიაღწიოს (არაფერი რომ არ ვთქვათ ამავე მიზნით ცნობიერების ფორმის დაძლევისაკენ სწრაფვაზე). ამის განხორციელება კი შეუძლებელია, რის გამოც ის სხვადასხვა უკიდურესობებში ვარდება, რომლებიც უფრო მეტად აცილებენ სანუკვარ მიზანს.

ჩვენ შევეცადეთ შეგვეშაყვებინა ის პრინციპი, რომლითაც გადმოიცემა სამყაროს ნებისმიერი აღწერა და რომელსაც, ნაწილობრივ ან მთლიანად, სხვადასხვა სახით, სამყაროს ყოველი გაგება იმეორებს. მიმართებები, რომლების შესახებაც ვლაპარაკობდით, თანაბრად გადმოცემადია როგორც შესაბამებით, ასევე სისტემური პრინციპებით. ე. ი. ისინი შეესაბამებიან სამსავე დროს, რომლებიც აქამდე მოვნიშნეთ: მითს, ჟამთააღმწერლობას, ისტორიას. ის, რომ ჩვენ ვხმარობდით ისეთ ტერმინებს და ცნებებს, რომლებიც „წინა“ დროებში არ შეიმჩნევა, გამოწვეულია იმ დროის სპეციფიკურობით, რომელშიც ვცხოვრობთ. მათი ჩანაცვლება კი თავისუფლად შეიძლება შესაბამისი ცნებებით სხვა დროიდან.

შემდეგი საფეხური, რომელიც ჩვენ უნდა გავიაროთ, მდგომარეობს ამ ზოგადი პრინციპის, რომლის შესახებაც ამდენი ვილაპარაკეთ, ადფიქსირებაში; ანუ, ჩვენ უნდა მოვანხოთ ადამიანში ის ფენომენი, რომელიც საშუალებას იძლევა ეს პრინციპი მუდამ თან ახლდეს ადამიანს და ყოველგვარი „დროის“ მიუხედავად განსაზღვროს მისი ყოფნა.

VI

მთელი ჩვენი მსჯელობის განმავლობაში ჩვენ ვამბობდით, რომ ადამიანის ყოფიერება ტრაგიკულია და მოგვყავდა შესაბამისი ილუსტრაციები; მაგრამ არ გვითქვამს, თუ რას ვგულისხმობდით „ტრაგიკულში“. ეს სულაც არ არის მარტივი საკითხი და როგორც ერთი შეხედვით ჩანს, ღირებულებითი მიდგომის პათეტიკური და ბუნდოვანი იარლიყი.

როდესაც ჩვენ რაიმე ფენომენის ტრაგიკულობაზე ვლაპარაკობდით, ვითვალისწინებდით საკუთარივე ტრაგედიის, როგორც დამოუკიდებელი ფენომენის აგებულებას.

ტრაგედიის ძირითადი ელემენტებია: სიუჟეტი, როლი, პერსონაჟი ანუ, მოქმედი სუბიექტი. მოქმედ სუბიექტს სიუჟეტი ანუ გარემო ასრულებინებს რაღაც როლს. ამ სამ ელემენტს შორის ურთიერთობა მთავრდება კატასტროფით, რაც ნიშნავს მოქმედი სუბიექტის სიკვდილს, გაქრობას, – რაც ამავე დროს სიუჟეტის და როლის გაქრობაცაა. ტრაგედიას კიდევ ერთი მახასიათებელი აქვს აუცილებლობით: ტრაგედიის განმავლობაში პერსონაჟი გაურბის თავის როლს და მაშასადამე, კატასტროფასაც, როგორც ამ როლის დასრულებას – ანუ, მოქმედი სუბიექტი გაურბის იმ ცხოვრებას, რომელიც მისთვისაა მომზადებული იმ გარემოთი, რომელშიც ის არის. ტრაგედიის პერსონაჟი ცვდილობს გადალახოს ის მდგომარეობა, რომელშიც მას როლი აქცევს. ცდილობს არასოდეს არ გაჩერდეს და არ დაფიქსირდეს რომელიმე წერტილში – გაჩერება მისთვის როლთან გატოლების ტოლფასია. მოქმედების ბოლოს კი ირკვევა, რომ ტრაგედიის გმირის მოქმედება, სურვილი, გადაელახა თავისი როლი, მიმართული ყოფილა კატასტროფაზე; ანუ მიმართულობა როლის უარყოფაზე დამთავრდა უარყოფით. მაგრამ ისე, როგორც ეს როლში იყო ნაგულისხმები და არა ისე, როგორც ეს პერსონაჟს უნდოდა (ტრაგედიის სტრუქტურის ეს აღწერა ეკუთვნის ბ-ნ მამუკა ლეკიაშვილს).

იმისათვის, რომ ტრაგედიის აგებულების კავშირი ადამიანის ყოფიერებასთან გასაგები გახდეს, ჩვენ ძენონის ისრის აპორიას უნდა მოვუხმოდ დასახმარებლად; მაგრამ სანამ აპორიის ინტერპრეტაციას დავიწყებდეთ, მანამდე თვით ძენონის ფილოსოფიას გადავაკვლოთ თვალი და წარმოვიდგინოთ მისი აპორიები პარმენიდეს და ქსენოფანე კოლიფონელის ტრადიციის, არისტოტელეს „ფიზიკის“ და ამ წიგნის კომენტატორების გარეშე.

ძენონის ყოველი აპორია გულისხმობს რეალობას, ემპირიულ მოცემულობას. ყოველი მისი აპორია შეიძლება ორად გავყოთ: პირველი ნაწილი – ეს საყოველთაოდ მიღებული, „რეალური“ მოცემულობაა, მეორე კი – ამ მოცემულობის, რეალობის ანალიზი, გააზრება. ყველა მისი აპორია შეეხება ეს სიჩქარეს, სიმრავლეს თუ მოძრაობას, – მთავრდება დასკვნით, რომ ეს ფენომენები წინააღმდეგობრივი ბუნებისანი არიან – ისინი

არიან რალაც და თანაც სხვა არიან. ჩვენ ვიცით ძენონის რამდენიმე აპორია, რომელთაც არისტოტელეს „ფიზიკიდან“ ვიცნობთ, როგორც მოძრაობის საწინააღმდეგო არგუმენტებს; სიდიდის აპორია ემყარება სივრცის დაყოფადობას და ყოველი სიდიდის საზღვრულობას: თუკი არსებობს სიდიდე, მაშინ სიდიდის ნაწილებს შორის არსებობს ზღვარი, რომელიც თავის მხრივ შეიძლება განხილული იქნება, როგორც სიდიდე. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სიდიდე უსასრულოდ ღიდა. მეორე მხრივ, სიდიდე შედგება ნაწილებისაგან, რომლებიც ასევე შედგებიან და ა. შ. ძენონი ასკვნის, რომ სიდიდე უსასრულოდ მცირეცაა. სიმრავლის აპორიაც მსგავს არგუმენტებს ემყარება და მიიღება, რომ სიმრავლე ერთსა და იმავე დროს განსაზღვრულიცაა და განუსაზღვრელიც, სასრულოც და უსასრულოც. სიჩქარის აპორია („სტადიუმი“) ეყრდნობა მოვლენას, რომელსაც შემდგომ ფარდობითობა ეწოდა. – როდესაც ერთი საგანი გაჩერებულია, სხვა ორის კი სხვადასხვა (ურთიერთსაწინააღმდეგო) მიმართულებით მოძრაობს, მოძრავი საგნის სიჩქარე გაჩერებული საგნის მიმართ უფრო მცირეა, ვიდრე მეორე მოძრავის მიმართ. აქედან კი გამომდინარეობს, რომ მოძრავი საგნის სიჩქარე ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა სიდიდეა. მოძრაობის აპორიას („აქილევის“) შემდეგი სახე აქვს: აქილევის უნდა დაეწიოს კუს, რომელიც მისგან 100 ნაბიჯითაა დაშორებული. აქილევის გაივლის ამ 100 ნაბიჯს და კუმდე დარჩენილი აქვს 1 ნაბიჯი. იმ დროში, რომელსაც აქილევის ანდომებს ამ ერთი ნაბიჯის გადადგმას, კუ გადის ნაბიჯის $1/100$ -ს და ა. შ. ანუ, აქილევის კუს ვერასოდეს დაეწევა.

ჯერჯერობით, ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ყველა აპორია მიუთითებს ყოფიერთა სამყაროს წინააღმდეგობრიობაზე და მათში უცნაური არაფერი არ არის. ძენონის დროისათვის ბერძნულმა ფილოსოფიამ უკვე იცის ამ იდეის შესახებ (ჰერაკლიტეს და პარმენიდეს საშუალებით); სხვა საქმეა, როგორ ხდება მისი ინტერპრეტაცია – ჰერაკლიტე წინააღმდეგობას სამყაროს კანონს, ლოგოსს უწოდებს, პარმენიდე კი მას არსებულთა არარეალურობის და არანამდვილობის საბუთად თვლის და მათ „უკან“ ნამდვილ არსებულს ეძებს. მხოლოდ ეს აპორიები რომ იყოს დარჩენილი ძენონის მემკვიდრეობიდან, ჩვენ თავი უნდა მიგვენებებინა მისთვის, როგორც მოწაფისათვის,

რომელმაც მასწავლებლის გავლენას თავი ვერ დააღწია და უკვე არსებული აზრის მახვილ-გონივრული ფორმა მოიფიქრა.

ეს მართლაც ასე იქნებოდა, რომ არა ძენონის კიდევ რამდენიმე გამონათქვამი და აპორია „ისარი“, რომელიც არისტოტელელს ფიზიკის ლექციებმა შემოგვინახა („ფიზიკა“ Z.2. 223 A 21)

Διο και ο Ζηνωνιοχ λογοχ φευδοχ λαμβανει το μη ευδემεσφαι τα απειρα δειλφειν η αφασφαι των απειρον καθ εκαστον εν πεπερασμενω θρονω – „ამიტომაც ძენონის მცდარი მსჯელობა მოჰყავთ ხოლმე, რომ არ შეიძლება უსასრულო რამეებში გავლა, ან კიდევ, უსასრულო რამეების ცალ-ცალკე შეხება, წარსულ, გარდასულ ღროში“. ძენონის სხვა აპორიებზე დაყრდნობით ამ ფრაგმენტის ახსნა ადვილად შეიძლება; სივრცე ძენონის მიხედვით შედგება უსასრულოდ ბევრი „ადგილისაგან“, „რამისაგან“ ანუ ის უსასრულოა. ამიტომაც როდესაც საგანი მოძრაობს, ის უნდა შეეხოს სივრცის ყოველ წერტილს, ე. ი. უნდა გაიაროს უსასრულობაში. ამიტომ, თუ საგანი მოძრაობს, მან არ შეიძლება მოძრაობა დაამთავროს (არ შეიძლება „უკვე ნამოძრავები“ აღმოჩნდეს, ანუ მის შესახებ არ შეიძლება ითქვას წარსულ ღროში (გრამ.), რომ მან მოძრაობა დაამთავრა. მაშასადამე, რაიმე მანძილის გავლა (უკვე გავლა) ანუ მოძრაობის დამთავრება – შეუძლებელია. – ლოგიკურად ანუ მხოლოდ გონების მიხედვით, თუ საგანი მოძრაობს, მისი გაჩერება გამორიცხულია.

ამ მცირე შესავლის შემდეგ, რაკი გავარკვეით ძენონის დამოკიდებულება მოძრაობასთან, შეიძლება პირდაპირ გადავიდეთ აპორიაზე „ისარი“ : („ფიზიკა“ Ζηνων δε παρσλογιζεται ει γαρ αι, φησιν, ηρεμει παν η κινείται, ηρεμει δ οταν η κατα το ισον, εστι δ αι το φερομενον την φερομενην ειναι οιστον – „ძენონი კი ცრუობს: რადგან თუ მუდამ – ამბობს ის – ყველაფერი ან მშვიდადაა (ηρεμει), ან იძვრის (κινείται), როცა თანაბარზეა (თავის თანაბარ ადგილზე – გ. თ.), ხოლო გაშვებული მუდმივად არის ახალში, მაშინ გაშვებული ისარი არის უძრავი (ακινετον – აუმოძრავებელი)“. ამ ფრაგმენტში კარგად ჩანს ძენონის აპორიის ორმაგობა – დაპირისპირება, რომელსაც იგი ნახულობს ემპირიასა და გონებას შორის. ყველაფერი ან გაჩერებულია, წყნარადაა, ან მოძრაობს; მაგრამ გონების მიხედვით გაშვებული, მოძრავი

ისარი აუმოდრავებელია. ამის გასაგებად ძენონის კიდევ ერთი ფრაგმენტი დაგვეხმარება „ფიზიკიდან“:

ουτοι μεν ουν οι δυο λογοι τριτοχ δ□ ο νυν ρηφειχ. οτι η οισοχ φεριομενη εστηκεν. Σ
 υμβαινεν δε παρα το λαμβανειν τον θρονον: συκεισφαι εκ των νυν μη διδομενον γ
 αρ τουτου, ουκ σται ο συκλοιτισμοχ – „მესამე, რომელიც ახლა ითქვა, რომ
 გაშვებული ისარი დგას – მიღებულ იქნა იმის გამო, რომ გაზიარებული იქნა, რომ დრო
 არის ახლების მიბჯრა (სυκεισφαι) თუ ამას არ დაუშვებთ, არ იქნება სილოგიზმი“.
 დრო არის ახლების ჯამი. ამიტომაც ისარი, რომელიც მოძრაობისას (ეს უსასრულო
 სივრცეში ხდება) ყოველთვის არის რაღაც ადგილას, – ყოველთვის არის ახლა-შიც.
 ამიტომაც ახლა – ისარი, რომელიც გაშვებულია, გაჩერებულია. იმიტომ, რომ ის არის
 დროის წერტილში (ახლაში) და სივრცის წერტილშიც.

ამრიგად, ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაგმენტებით რომ შევეცადოთ აპორიის „ისარი“
 მთლიანი სურათის შექმნას, მივიღებთ რომ, ისარმა, რომელიც გასროლილია, ვერასოდეს
 ვერ უნდა დაამთავროს მოძრაობა და ვერ უნდა მივიდეს მიზანში, რადგანაც, ჯერ ერთი,
 გასავლელი მანძილი უსასრულოა და მეორეც, ისარი, რომელიც მოძრაობს, ყოველთვის
 (ყოველ ახლაში) გაჩერებულია, ოღონდ ყოველ „შემდეგ“ ახლაში ის სხვა წერტილშია.
 აპორიის „მეორე მხარემ“ უნდა გვითხრას: ისარი კიდევ მოძრაობს და კიდევ ხვდება
 მიზანში. ლოგიკურად, გონების მიხედვით, – ეს მოხვედრა, როდესაც ისარი ჩერდება, –
 ანადგურებს იმ ორ დასკვნას, რომელსაც გონება ემყარებოდა, როდესაც ისრის გაჩერების
 შეუძლებლობა აღიარა: გაჩერებულ ისარზე ვამბობ, რომ მან მანძილი გაიარა (წარსულ,
 გარდასულ დროში) და იმავე დროს, ვამბობთ, რომ ის დროის ორ ახლაში სივრცის
 ერთსა და იმავე წერტილშია. გონების, ადამიანური ლოგიკის მიხედვით – ან ყველაფერი
 მოძრაობს, ან ყველაფერი გაჩერებულია. ორივეს ერთად არსებულს – გონება ვერ
 მოიცავს.

ასე რომ ირკვევა, რომ ძენონის მიზანი არის რეალობის და გონების დაუმთხვევლობის,
 არათანხვედრობის, ამ მიმართების აბსურდულობის ჩვენება; ანუ, ძენონი კი არ ამბობს,
 რომ რეალობა „არ არის“, ან კიდევ, რომ რეალობა წინააღმდეგობრივია. – ის ამბობს,
 რომ ლოგიკურად, „ტრანსცენდენტალურად“ – რეალობა მოუაზრებელია და ცნობიერება,

რომელიც მასზე ანუ რეალობაზე მიმართული, ყოველად განუსაზღვრელ შედეგს უნდა ელოდოს თავისი მიმართულობიდან, საკუთარი თავის უარყოფასაც კი (ისევე როგორც ისრის მიზანში მოხვედრა უარყოფს მოძრაობის ორივე თეორიას).

ცნობიერების გზაც, ისევე როგორც ისრის გასავლელი მანძილი – უსასრულოდ აღიქმება და გვეგონია, რომ ადამიანის ცნობიერება მუდამ იარსებებს ანუ მუდამ იდგება (ΕΣΤΗΚΕΝ), მუდამ იქნება მეტა-სამყაროში და რომ მისი გზა ამ „ახლას“ და სივრცის წერტილის დაძლევაა და სხვა ახლაში გადასვლა. ჩვენ გვეგონია, რომ სამყარო ამოუწურავია, უსასრულოა, ცნობიერება კი – „უმოდრავებელი“, უცვლელი, იგივე და თავისი თავის ტოლი; მაგრამ თუკი ისრის მოძრაობას ჩავთვლით ადამიანის ცნობიერების, მისი გაგების მიმართულებად, მაშინ უნდა დავუშვათ გაჩერებაც – შესაბამისად – მისი სასრულობაც და ამ დასასრულით სამყაროს და მაშასადამე, ცნობიერების მიერ საკუთარი თავის უარყოფაც. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით ამ ფორმულის შინაარსის მონახვას.

ტრაგედიის სტრუქტურასთან ცნობიერების ანალოგიაც ნათელი გახდა. ამ შემთხვევაში ტრაგედიის პერსონაჟის, სუბიექტის როლს ასრულებს ადამიანის ცნობიერება; მისი როლი არის მეტა-სამყაროებში ყოფნა (ახლა-დრო-სივრცეში) და ამ მეტა-სამყაროების ცვლა, წინა გაჩერებულობის უარყოფა ახალი გაჩერებულობით. ხოლო კატასტროფა არის ის უარყოფა, რომელსაც ცნობიერება თავის თავში დამთხვევით აღწევს, როდესაც ის უკვე ყოველთვის (ყოველ ახლაში) ერთ წერტილში (სივრცეში) იქნება. – ანუ, ცნობიერების მიმართულობა სამყაროს შემეცნებაზე, მისი სხვადასხვა გამოვლენის, სხვადასხვა კუთხით შესწავლაზე გვირგვინდება ამ სამყაროს და, მაშასადამე, ამ ცნობიერების უარყოფით.

ამ ინტერპრეტაციით ძენონი გამოვიდა ელეატების რიგიდან და ცალკე დადგა. ძენონი არ მიუთითებდა ყოფიერთა წინააღმდეგობრიობაზე. ყოველ შემთხვევაში, მისი მთავარი მიზანი ეს არ იყო. ძენონმა გვიჩვენა ის გზა, რომელსაც ადამიანის ცნობიერება ადგას და ის გარემო, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს. მისი აპორიები კი, იმის გამო, რომ წინააღმდეგობრიობა, ძენონისთვის იყო ხერხი, რომლითაც იგი ცდილობდა გონების და რეალობის აბსურდული კავშირის დანახვებას, ძენონის ინტერპრეტატორებმა მექანიკურად „მიაწებეს“ პარმენიდეს მოძღვრებას. ქსენოფანე კოლოფონელმა და პარმენიდემ პირველი

ნაბიჯები გადადგეს „მეტაფიზიკის“ ფილოსოფიის საზრუნავად გახდომისაკენ. მეტაფიზიკა ანუ სამყაროს მოწესრიგებული სურათი მხოლოდ გონებაში თუ შეიძლება შეიქმნას და მას რეალობასთან კავშირი ვერ ექნება. „მეტაფიზიკა“ – სამყაროს, ბუნების „იქით“ მათი საფუძვლის ძიება და მისი სურათის გადმოცემა მანამდე მხოლოდ ბრძენთა ხვედრი და წილი იყო: ამის საბუთი ინდური ვედები და ჩინელ „ფილოსოფოსთა“ წიგნებია. ძენონის ფილოსოფიის პარმენიდეს „დამატებად“ ქცევით კიდევ უფრო განმტკიცდა ფილოსოფიის და მეტაფიზიკის იგივეობა და ფილოსოფიამაც სამყაროს წესრიგის აღწერად დაიწყო ქცევა. სწორედ ამის გამო – მეტაფიზიკის და ფილოსოფიის იგივეობის რწმენით შექმნეს „პლატონის მიმდევრებმა“ (როგორც მათ არისტოტელე უწოდებს) „პლატონის იდეათა თეორია“. ასე რომ, შუა საუკუნეების ფილოსოფიის „მეტაფიზიკურობაში“ ლომის წილი ძენონის არასწორ გაგებას მიუძღვის. პარმენიდე ფილოსოფიას არ წერდა. ის აღმოსავლურ სიბრძნეზე იყო ორიენტირებული და მეტაფიზიკასაც ამიტომ ქმნიდა. შეიძლება ითქვას, რომ ძენონის მკაცრი და ფილოსოფიური მსჯელობების „გამეტაფიზიკურებამ“ (ანუ, აბსურდულობაზე მითითების წინაღმდეგობაზე მითითებად ქცევამ) გახადა ფილოსოფია არსებობის, ყოფიერების საზღვრითი ცნებების, ადამიანის გარემოს (საზღვრების) მოაზრებიდან (როგორც ეს ჰერაკლიტესთან და პლატონთანაა), გამხდარიყო მეტაფიზიკა. სამყაროს „იქით“ ეძებნა სააზროვნო ობიექტები და თავის ამოცანას დაშორებოდა. გზას, რომელიც ძენონის ინტერპრეტატორებმა მოხაზეს, ახალ დრომდე ადგნენ ფილოსოფოსები და მხოლოდ კანტმა „წმინდა გონების კრიტიკაში“ თქვა უარი ფილოსოფიისა და მეტაფიზიკის გაიგივებაზე და მეტაფიზიკა მსოფლმხედველობის და რწმენის სფეროში დააბრუნა.

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ ძენონის აპორიების უარყოფლებსაც, რომელთა დიდ რიგს არისტოტელე იწყებს; ერთადერთი სფერო, რომელზედაც დაყრნობით შეიძლება თქვა, რომ ძენონი არასწორია, არის რეალობა ანუ თუ არგუმენტად რეალურ საგნებს მოიყვან. არისტოტელეც სწორედ ამას აკეთებს „ფიზიკაში“ – სადაც მას მსგავსი არგუმენტები მოჰყავს და გვარწმუნებს, რომ ძენონი რეალობას უარყოფდა და არა რეალობის მოაზრების შესაძლებლობას.

ძენონის ფილოსოფია მეტაფიზიკის საფუძვლად გადაქციეს. ამ ფაქტშიც გამოვლინდა ძენონის მიერ დადგენილი არსებულის აბსურდულობა; ძენონმა დაწერა ფილოსოფია, რომელიც მკაცრად შეესაბამებოდა მისი საგნის ამოცანებს და მიზნებს და ალბათ, სწორედ იმიტომ, რომ ეს ნაწერი ყველაზე ნაკლებად შეიცავდა აღმოსავლური სიბრძნის მინარევებს, გახდა შესაძლებელი მისი გადაქცევა ანტიფილოსოფიად და ამის გამო ფილოსოფიამ დიდი ხნის განმავლობაში თავი ვერ დააღწია დამფარავ გაგებას.

თუმცა საქმის ასე შეტრიალება იმ დროისათვის გარკვეული აზრით კანონზომიერიც იყო; ჰერაკლიტეს და ძენონს ნახევარი საუკუნეც არ აშორებს ერთმანეთისაგან; წარმოიშვა ახალი სიტყვა – „ფილოსოფია“, რომელიც ჯერ უშინაასროა, უსაზღვროა, მაგრამ ძალიან ჰგავს იმას, რასაც ძენონი ფიქრობს და აკეთებს, ამავე დროს, ძენონის ნაფიქრალი თითქოს პარმენიდეს სიბრძნესაც ემთხვევა. ფილოსოფიამ ფაქტობრივად წარმოშობიდანვე დაიწყო სხვაში გაუჩინარება. იგი იყო კიდევ რაღაც და თან სხვა იყო. ადამიანის ყოფიერების (ცნობიერების) განსაზღვრების და ტრაგედიის აგებულების დამთხვევა არ ნიშნავს ღირებულებით, შეფასებით მიდგომას. ასეთი მიდგომა მსოფლმხედველობის და რწმენის საქმეა. ეს დამთხვევა სამყაროს აღწერის შედეგია, რომელიც შეიძლება შემდეგ შეფასდეს და ამ შეფასებას ფილოსოფიასთან საქმე აღარ ექნება.

გარდა იმისა, რომ ადამიანის ცნობიერება დაემთხვა ტრაგედიის სტრუქტურას, ის, ამავე დროს, დაემთხვა დეკარტეს დებულებასაც: (cogito, ergo sum) – აზროვნება არის (ნიშნავს) არსებობას. რაც ჩვენთვის ნიშნავს: აზროვნების, ცნობიერების (ე. ი. ისრის მოძრაობის) შეწყვეტა არსებობის უარყოფაა, მისი გაქრობაა. – სანამ მოძრაობს ცნობიერება მანამდეა არსებობაც, – ანუ, ცნობიერების (როგორც ზმნა) შეწყვეტა ნიშნავს ყოფიერებისადმი, არსებობისადმი დაშორებას, მასთან კავშირის გაწყვეტას.

ეს ჯერჯერობით მხოლოდ ფორმალური განსაზღვრებაა. ჩვენ ახალი ამოცანა დაგვესახა; უნდა ვიპოვოთ ამ განსაზღვრების შინაარსი ანუ უნდა მოვიაზროთ, თუ რეალურად როგორ მოხდება ამ ფორმულის განხორციელება.

დამატება: თამაშის ფენომენოლოგია

ჩვენ არ დავიწყებთ მსჯელობას იმის დაფუძნებით, თუ რატომ ამოვარჩიეთ თამაში იმ აქტივობებს შორის, რომელიც ადამიანს (და არა მარტო ადამიანს) ახასიათებს. ეს განისაზღვრება მსჯელობის ბოლოში. ერთადერთი, რისი წარმოჩენითაც უნდა დავიწყოთ, არის ის, რომ თამაში ყოველგვარი ძალდატანებისა და სპეკულაციის გარეშე შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც გარკვეული წესი. სულ ერთია, ვის ან რა თამაშზე ვილაპარაკებთ. ყველა თამაშს აქვს ერთი საერთო: რაღაც წესის შესრულება მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ ეს წესი შესრულდეს. არანაირ თამაშს, თავისთავად განხილულს, არ აქვს რაიმე მიზანი და ორიენტირი თვითონ ამ თამაშის გარდა. ის, რომ ზოგიერთი თამაში მოგებით ან წაგებით მთავრდება, არის არა თამაშის გარეთ მდგომი რაღაც მიზანი, არამედ თამაშის დასრულების ფორმა.

თამაშის დროს მოთამაშე ჩართულია ამ თამაშში, მასში ცხოვრობს. ასე რომ, თამაში შეიძლება განვიხილოთ, როგორც არსებობის გარკვეული ფორმა; მაგრამ ეს ისეთი ფორმაა, რომელიც მხოლოდ არსებობის წესისაგან შედგება და რომელსაც ფორმა ანუ ორიენტირი ანუ მიმარების ობიექტი არ გააჩნია. ის არის არსებობის წესი ამავე არსებობის წესისათვის. ჩვენს მიერ აქამდე შემოღებული ცნებებით რომ ვთქვათ, თამაში არის რიტუალი ორიენტირის გარეშე. ე. ი. თამაში როგორც ცნობიერება არის მხოლოდ ცნობიერების შინაარსი, რიტუალის რიტუალი. ამდენად თამაშს შეიძლება მეტა-რიტუალი ვუწოდოთ ანუ რიტუალი, რომელიც გასულია რიტუალის „იქით“, „გარეთ“, – რიტუალის შესასრულებლად.

თამაში ზოგადად, რომ არ დავყოთ იგი ცალ-ცალკე კონკრეტულ თამაშებად, გულისხმობს რაღაც წესს, მრავალ რიტუალს, რომლებიც სრულდება მოთამაშეების მიერ. თამაში (ზოგადად) არის მეტა-რიტუალების ერთნაირობა, კომპლექსი.

ამ საფუძველზე შეიძლება წარმოვიდგინოთ თამაში, ერთი მხრივ, როგორც არსებობის მოდელი, ხოლო მეორე მხრივ, როგორც მომზადება არსებობისათვის. ჩვენს მიერ ზემოთაგანზეული სამყაროს აღწერის საფუძველზე. ეს ორივე ასპექტი გასაგები ხდება; ცხოველისათვის (იგულისხმება ცხოველი, რომელსაც სოციუმისაგან დამოუკიდებელი

ცნობიერება გააჩნია) თამაში არის მისთვის დამახასიათებელი არსებობის წესის მოდელი: ცხოველს აქვს უნარი ცვალოს თავისი არსებობის წესი, მას პოტენციურად მრავალი არსებობის წესი აქვს. თამაში – ამის ილუსტრაციაა.

ადამიანისთვის თამაში არის მისთვის დამახასიათებელი არსებობის ხატი: როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ადამიანი თავისი ცხოვრების განმავლობაში მიისწრაფვის ცვალოს თავისი არსებობის წესი (რაც თავისუფლებისაკენ სწრაფვაა), უარი თქვას არა მარტო ცნობიერების ფორმაზე, არამედ შინაარსზეც. თამაში, როგორც მეტა-რიტუალების კომპლექსი, ამის ილუსტრაციაც არის; ასე რომ, ფორმალურად, თამაშს ადამიანისათვის და ცხოველისათვის ერთი და იგივე ფუნქცია აქვს.

რაც შეეხება თამაშს, როგორ არსებობისათვის მომზადებას: ამ შემთხვევაში მეტა-რიტუალი (თამაში) უნდა განვიხილოთ როგორც რიტუალის ანუ არსებობის წესის შემოწმება. თამაშის დროს ხდება იმ რიტუალის გამეორება, რომელიც უკვე არსებობს, ხდება რიტუალების გათამაშება. ამით მოთამაშე სწავლობს რიტუალის გამოყენებას და ამოწმებს მის შესაძლებლობებს. გარდა ამისა, თამაში, როგორც სოციალური ცხოვრებისათვის მომზადება ამბობს: ნებისმიერი ურთიერთობა სოციუმში დამყარებულია გარკვეულ წესზე. ამავე წესებზე არის დამოკიდებული ადგილი, რომელიც სოციუმის წევრებს უკავიათ. თამაში, როგორც რიტუალის შემოწმება, ემსახურება სოციალური სტატუსის საფუძვლის შექმნას, ავლენს იმ უპირატესობებს თუ ნაკლოვანებებს, რომელიც ყოველი მოთამაშის არსებობის წესს ახასიათებს.

მაშასადამე, ჩვენ მივედით დებულებამდე, რომ თამაში არის მეტა-რიტუალი და მომზადება არსებობისათვის (1) და რომ თამაში არის არსებობის მოდელი იმისათვის, ვინც თამაშობს (2).

თამაში შეიძლება ახასიათებდეს მხოლოდ ისეთ არსებას, რომელსაც საკუთარი დამოუკიდებელი ცნობიერება აქვს; ანუ ისეთს, რომელსაც კონკრეტული ცნობიერების ფორმა აქვს და არა ისეთს, რომელიც თავისი არსებით მხოლოდ ცნობიერების შინაარსის ნაწილს, ერთ ასპექტს წარმოადგენს;

მხოლოდ ავტონომიური ცნობიერების მქონე არსებას სჭირდება თამაში, რიტუალის მორგება, შემოწმება. მხოლოდ ასეთ არსებებს შორისაა საჭირო „შეთანხმება“ მოქმედების

წესზე. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ისეთი სუბიექტისათვის, რომელიც მოზარდ ასაკში თამაშობს, თამაში არის ის ფენომენი, რომელზედაც რეალურად ეფუძნება საზოგადოება, სოციუმი. თამაშის გარეშე არ მოხდებოდა არსებობის წესის არანაირი მორგება-შემოწმება, რაც გამოიწვევდა საზოგადოების არასტაბილურობას და არასიცოცხლისუნარიანობას.

მამასადამე, თამაში არის ის, რაც ინდივიდს ამზადებს ცნობიერების ფორმისათვის, და, საბოლოოდ, თამაში ეხმარება ცნობიერ ინდივიდს ბოლომდე ცნობიერი გახდეს.

მაგრამ ჩვენ ვხედავთ და ვიცით, რომ თამაში (მეტარიტუალური) მარტო მოზარდის თამაშით არ ამოიწურება. ჩვენ ვხედავთ, რომ თამაშს ზრდასრული ინდივიდის ცხოვრებაშიც საკმაო ადგილი უჭირავს. ასეთ შემთხვევაში თამაში უნდა იყოს დაკავშირებული ან რაიმე სოციალურ ცვლილებასთან (ცხოველის შემთხვევაში), ან ცნობიერების ფორმის დავიწყებისაკენ სწრაფვასთან (ადამიანის შემთხვევაში); ანუ, ზრდასრული ინდივიდი თამაშობს სოციალურ სტრესთან (ყველაზე ფართო აზრით) კავშირში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეტა-რიტუალის მიზეზი არის სულ ორი: თამაში, რომელიც ამზადებს ინდივიდს სრულყოფილი არსებობისათვის (1) და მეტა-რიტუალი, რომელიც ხდება სოციალური სტრესისაგან განსატვირთავად ანუ როდესაც ხდება რიტუალს „იქით“ გასვლა, რათა თავი აარიდონ ამ რიტუალის შესაბამის მეტა-სამყაროს, ანუ თამაში გამოიყენება ცნობიერების არსებული ფორმისაგან თავის დასაღწევად (2).

ეს ორივე მოტივი შეიძლება ერთზე იყოს დაყვანილი. როგორც ვნახეთ, თამაშის ორივე ფორმა მიმართულია ცნობიერების ფორმაზე (I მიზეზი იმიტომ, რომ მხოლოდ არსებობის წესის ანუ ცნობიერების შინაარსის ჩამოყალიბების შემდეგ შეიძლება შემუშავდეს ცნობიერების ფორმა). ამ საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თამაშის მიზეზი, მიზანი არის მიმართების, ან დადებითი მიმართების შემუშავება სოციუმთან: – I მიზეზის (მიზნის) მიხედვით, არ არსებობს არანაირი მიმართება და თამაში მოწოდებულია ამ მიმართების შესაქმნელად. II მიზნის მიხედვით – არსებობს უარყოფითი მიმართება და თამაში მოწოდებულია მის დადებითად გარდასაქმნელად.

რაც უფრო იზრდება საზოგადოებაში მეტა-რიტუალების რაოდენობა, მით უფრო მოწოდებულია საზოგადოება თამაშად აღიქვას ყოველდღიური მოქმედებები, მით უფრო იკლებს ცნობიერების ფორმის რადიკალური შეცვლის შესაძლებლობა.

როგორც I ნაწილში ვნახეთ, ომები და უბედურებები სწორედ ცნობიერების ყოველ ახალ ფორმასთან ერთად მძაფრდება. სწორედ თამაშების ანუ მეტა-რიტუალების გამო მცირდება ცნობიერების ფორმის (მეტა-სამყაროს) ჰიპერბოლიზაციის, მისით უკმაყოფილების და მისი შეცვლისაკენ სწრაფვის იმპულსი. თამაში ბევრად უკეთესად ასრულებს რევოლუციის (ე. ი. განმანთავისუფლებლის) როლს, ვიდრე თვითონ რევოლუცია. თამაში ან ათავისუფლებს ადამიანს ცნობიერების ფორმისაგან, ან ახალ რიტუალს უქმნის ცნობიერების ფორმას. ეს კი გამორიცხავს ფორმის ცვალებადობას, რადგან ახალი რიტუალის შექმნით იქმნება წარმოდგენა, რომ ცნობიერების შინაარსია შეცვლილი და ფორმის შეცვლის აუცილებლობა იხსნება.

აქ თამაშის კიდევ ერთი მოტივი გამოჩნდა: ცნობიერების ფორმაზე მიმართული ახალი რიტუალი. ამ შემთხვევაში თამაში, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ცნობიერების არსებულ ფორმასთან, თავისი შედეგით (მოგება-წაგებით და სხვა) მოქმედი, პრაქტიკული სუბიექტის მიერ მიმართება არსებული ცნობიერების ფორმას და მისი გამომხატველი ხდება (ე. ი. ხდება ნამდვილი, უნაკლო რიტუალი. აქ ხდება რიტუალის ანუ ცნობიერების შინაარსის ჩანაცვლება მეტა-რიტუალით ანუ ცნობიერების მეტა შინაარსით). მეტა-რიტუალის ასეთი გავრცობა კი მხოლოდ ჩვენს დროში გახდა შესაძლებელი. მეცნიერება, როგორც I ნაწილში ვნახეთ, არის დროების ცვალებადობის და აქედან გამომდინარე, იმ „უბედურებათა“ მიზეზი, რომელიც ჩვენს თავს ხდება. მეორე მხრივ კი, მეცნიერება, ამის საწინააღმდეგოდ, ქმნის ცნობიერების ახალი ფორმის ჩამხშობ მექანიზმს. რადგანაც მეცნიერება თავისთავად არის მეტა- ანუ ცოდნის მოპოვებაზე მიმართული. ასე რომ, სწორედ ადამიანის ყოფიერების მეცნიერულობიდან ლოგიკურად გამომდინარეობს სამყაროს მეტა-სამყართი, ხოლო რიტუალის მეტა-რიტუალით ჩანაცვლება. დღესდღეობით თანდათან მთელი მსოფლიო იწყებს თამაშს. თანდათან დრო აღარ რჩება ცნობიერების ახალი ფორმის შესაქმნელად. თამაში აუქმებს ამის მოთხოვნილებას.

ეს ბოლო დებულებები რომ განვმარტოთ, საჭიროა ვუპასუხოთ კითხვას: რამდენადაა შესაძლებელი ცნობიერების ახალი ფორმის წარმოშობა? ახალი ფორმის შესამუშავებლად, თუკი ჩვენს მიერვე დადგენილი, ამ ფენომენთა მიმდევრობის ლოგიკით ვიმსჯელებთ, უნდა მოხდეს ისტორიის ახალი გაგების დაზუსტება. ამ დაზუსტებაზე არაფრის თქმა არ შეიძლება, გარდა იმისა, რომ ალბათ ამის შესაძლებლობა არსებობს. შეიძლება ვთქვათ, რომ არ არსებობს ისტორიის არსებული გაგების გადალახვის შესაძლებლობა და რომ ყოველი გადალახვა უკან დაგვაბრუნებს; მაგრამ სწორედ ამ გაგების გარეთ, არა ცნობიერების ფორმაში, არამედ ცნობიერების შინაარსში არსებობს იმის წინამძღვრები, რომ ცნობიერების ფორმა აღარ შეიცვლება; ამის საფუძველია მეცნიერების ის კურსი, რომელიც მას ღღეს აქვს აღებული: დაზუსტებისაკენ სწრაფვა, როგორც ვნახეთ, არის მეცნიერებისა და ახალი დროის შექმნის საფუძველი. მეორე მხრივ, დაზუსტებისკენ სწრაფვა იჭრება ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში, მათ შორის თამაშშიც. მეტა-რიტუალის დაზუსტება კი გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, მეტა-რიტუალის წესის დაზუსტებით; ამის შედეგად თამაშის წესი ისეთივე ზუსტი და განსაზღვრული ხდება, როგორც არსებობის წესი; ანუ, მეტა-რიტუალი ისეთივე ზუსტი ხდება, როგორც რიტუალი. ამდენად, თამაშში ისევ ემსგავსება არსებობის წესს, იმდენად ზუსტად ბაძავს მას, რომ თანდათან შეუძლებელი ხდება მათი ერთმანეთისაგან განსხვავება. თანამედროვე ადამიანიც, რომელიც თანდათან ტოტალურად ერთვება თამაშის პროცესში და თამაშობს (თითქმის მთელი ცხოვრება) ან, რაც ასევე ტოტალურად ხდება, ცხოვრობს ისე, თითქოს თამაშობს, თავისი არსებობით თანდათან ემსგავსება იმ არსებობას, რომელიც ჩვენ აღვწერეთ, როგორც მაღალორგანიზებული ცხოველისათვის დამახასიათებელი; ოღონდ მხოლოდ ემსგავსება და არ ხდება ადეკვატური: ასეთი ცხოვრება გულისხმობს, რომ ყოველ კონკრეტულ ადამიანს აქვს შესაძლებლობა თავისი ცხოვრების განმავლობაში მაქსიმალურად ცვალოს არსებობის წესები, ხოლო ცხოველს ეს შესაძლებლობა აქვს, როგორც გვარს.

ადამიანი, მეტა-რიტუალების მონაცვლეობით, ისე, რომ უკვე შეუძლებელი ხდება არსებობის წესის და თამაშის განსხვავება (ორივე რიტუალია), აღწევს არსებობას, რომელსაც აღარ ჭირდება ცნობიერების ფორმის ცვალებადობა. ის არსებული

ცნობიერების ფორმის ფარგლებში იცვლის თამაშებს, – მეტა-რიტუალების მონაცვლეობით, ისე, რომ უკვე შეუძლებელი ხდება არსებობის წესის და თამაშის განსხვავება (ორივე რიტუალია), აღწევს არსებობას, რომელსაც აღარ ჭირდება ცნობიერების ფორმის ცვალებადობა. ის არსებული ცნობიერების ფორმის ფარგლებში იცვლის თამაშებს, – მეტა-რიტუალებს, ყოველთვის სხვანაირად თამაშობს და ამ შეცვლებს უსაბამებს ცნობიერების ფორმას. აქ უკვე აშკარაა, რომ ცხოველის არსებობის წესთან მხოლოდ ზედაპირული მსგავსებაა, განსხვავება კი კვლავ ძირეულია – ადამიანის ცნობიერების ფორმა უცვლელი რჩება და იცვლება მხოლოდ ცნობიერების შინაარსი. აქ კვლავ ძალაში რჩება ადამიანის ის განსაზღვრება, რომელიც ოდიპოსის და სფინქსის დიალოგით ჩამოყალიბდა; მაქსიმალური, რადიკალური ცვალებადობა. ოღონდ აქ ცვლას მეტა-რიტუალები იწყებენ. ადამიანის ცვალებადობის ამ ახალ განზომილებაში საინტერესოდ გარდაისახება თავისუფლების პრობლემა: როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავისუფლება ცნობიერების ფორმისა და შინაარსის უარყოფისკენ მიმართულობაში მდგომარეობს. ამ შემთხვევაში, როდესაც ცნობიერების შინაარსის ადგილს თამაში იკავებს, ხოლო ცნობიერების ფორმა უცვლელია, საკითხი შემდეგნაირად წარმოჩნდება: ცნობიერების ფორმა უარყოფილია მეტა-რიტუალით, როგორც მხოლოდ თავის თავზე მიმართულით. მეორე მხრივ, თამაში, როგორც ცნობიერების „არანამდვილი“, მეტა-შინაარსი, ამ უკანასკნელის უარყოფაცაა; მაგრამ როგორც ის მეტა-რიტუალი იკავებს რიტუალის ადგილს, ის იმავეწამს ხდება არსებული ცნობიერების ფორმის – მეტა-სამყაროს შესაბამისი. – თავისუფლება კვლავ უქმდება. აქაც ჩანს, რომ თავისუფლება წამიერია და მოუხელთებელი. ასეთ ფონზე თავისუფლება მოიპოვება მეტა-რიტუალის ანუ არსებობის იმ წესის, რომელიც თანამედროვე ადამიანის ახასიათებს, მარადიული უარყოფით კვლავ მეტა-რიტუალითვე. აქ შეიძლება შეგვექმნეს წარმოდგენა, რომ მიღწეულია თავისუფლების მოპოვების „ადვილი“ მდგომარეობა; მაგრამ ეს ასე არ არის: ადამიანის არსებობის ამ პერიოდში განთავისუფლების პროცესი ისეთივე რთულია, როგორ ნებისმიერ სხვა დროში; თანაც ეს მდგომარეობა ჯერ მიღწეული არ არის, თუნდაც იმის გამო, რომ თანამედროვე კაცობრიობის დიდი ნაწილი მხოლოდ შედის ცნობიერების იმ ფორმაში, რომელიც ისტორიის ნიშნითაა დაბეჭდილი და რომელიც

საფუძვლად უდევს ჩვენს მიერ ამ თავში აღწერილ მდგომარეობას. რეალურად, ცნობიერების ეს ფორმა ჯერ ტოტალურად არ არის. ასევე, მეცნიერების და ეკონომიკის განვითარებაც ჯერ არ არის ისეთ ღონეზე, რომ თამაშის გატოტალურება გამოიწვიოს; ჯერჯერობით ამის მხოლოდ ჩანასახები არსებობს და კიდევ: რაც უფრო ზუსტი და დამუშავებულია თამაშის წესი, მით უფრო ძნელია მასზე უარის თქმა და ახალი თამაშის დაწყება. რაც უფრო ზუსტია თამაშის წესი, მით უფრო არის ის ცნობიერების შინაარსი, რიტუალი, მით უფრო კარგად ესაბამება ის ცნობიერების არსებულ, ჩვენეულ ფორმას და მით უფრო შეუძლებელი და მოუაზრებელი ხდება მასზე უარის თქმა. როდესაც მოხდება ცნობიერების ჩვენეული ფორმის გატოტალურება და ამასთან ერთად, თამაში ტოტალურად გარდაიქმნება არსებობის წესად (ჯერჯერობით ეს საკმაოდ შორეული, თუმცა უკვე შესაძრწვევი მდგომარეობაა), შეიცვლება ადამიანის მუნ-ყოფიერებაც. მუნ-ყოფიერება შეიცვლება არა პრინციპულად: რადიკალური ცვლელადობა მისი მახასიათებელი კვლავ იქნება. შეიცვლება მისი მდგომარეობა ანუ მისი ცნობიერების ფორმა (მეტა-სამყარო) უცვლელი გახდება.

თანამედროვე ადამიანის ცნობიერების სტრუქტურა შემდეგი ხდება; მეტა-შინაარსი – მეტა-ფორმა ანუ მეტა-რიტუალი – მეტა-სამყარო. მეტა-რიტუალი ცვლელადია, მეტა-სამყარო – უცვლელი. ეს, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს, რომ ცნობიერება თავის თავში ხდება თავისი თავის ტოლი და იქცევა მეტა-ცნობიერებად; ანუ ის ხდება მეტა-ყოფიერება, ე. ი. განეყნება არსებობას, ყოფნას, სცილდება მას. ყოფიერების გარეთ გადის. რით დაგვირგვინდება ყოფიერებასთან ეს განშორება – ადამიანის ცნობიერების მოსპობით, თუ ყოფიერებასთან დაშორება მარადიული იქნება, ეს ჩვენი გაგების საზღვრებს მიღმა დარჩენილი და არც არის საინტერესო. ამით ჩვენ ვიპოვეთ ის რეალური შინაარსი, რომელმაც ძენონისეული ფორმალური განსაზღვრება შეავსო და ხელშესახები გახადა. მაშასადამე, ცნობიერება, ისევე როგორც თავისუფლება, დგინდება როგორც ნეგაცია და, მაშასადამე, იდენტურია თავისუფლების. ასეთ შემთხვევაში გერმანული კლასიკური ფილოსოფიის, კერძოდ კანტის და ფიხტეს შემოთავაზებული სქემა – კაცობრიობა, როგორც საზოგადოება, მიისწრაფვის თავისუფლებისაკენ –

რეალურ საფუძველს იძენს და ნიშნავს, რომ ადამიანის ცნობიერება მიისწრაფვის თავისი თავის უარყოფისაკენ.

მამასადაძმე, ცნობიერების „მდგომარეობა“ განისაზღვრა როგორც თავისუფლება. აქაც გამოვლინდა ის წინააღმდეგობრიობა, რომელიც ადამიანის სამყაროს ახასიათებს; თავისუფლება, რომლის განსაზღვრება დაიწყო, როგორც ადამიანის განსაკუთრებული ძალისხმევის, დაემთხვა ცნობიერებას (როგორც ზმნას).

ცნობიერების მეტა-ცნობიერებად გადაქცევა არც სიწყნარეს და უომრობას ნიშნავს – შეიძლება კატაკლიზმი გამოიწვიოს თამაშის ანუ მეტა-რიტუალის ერთმანეთისათვის თავზე მოხვევის სურვილმა, რაც ასევე თამაშად იქნება აღქმული. მთავარი ის არის, რომ „კაცობრიობის“ ყოველი შემდეგ ნაბიჯი იქნება არსებობის, ყოფიერების ან სრული უარყოფა, ან მასთან თანდათანობით დაშორება. „პარადოქსული“ ის არის, რომ ამ დაშორებას (ანუ უარყოფას) მიყვავართ თავისუფლებასთან ანუ იმ იდეალთან, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ეტროფოდნენ კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები.

ძენონის მიერ გასროლილი ისარი მიზანს მიუახლოვდა. ჩვენ შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ მეტა-სამყაროების ცვალებადობა მარადიული იქნებოდა და რომ ყოველ მეტა-სამყაროს ახალი მეტა-სამყარო შეცვლიდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო ლოგიკის, აზროვნების მიხედვით. თუმცა, ამავე ლოგიკისა და აზროვნების მიხედვით, გასროლილი ისარი მუდმივ მოძრაობაში უნდა იყოს და მიზანში ვერასოდეს მივიდეს. ცნობიერების გაქრობა, უარყოფა, ისევე, როგორც ისრის მიზანში მოხვედრა – „წარმოუდგენელია“; მაგრამ ადამიანი პირველს შიშით უყურებს, მეორეს კი ისე აღიქვამს, როგორც ჩვეულებრივ მოვლენას. ამაში კიდევ ერთხელ ვლინდება ადამიანის ცნობიერების (ყოფნის) ის წინააღმდეგობრიობა, რომელზეც ძენონმა მიგვიითია.

III ნაწილი. მესამე ელემენტი

I

ძველ აღთქმაში გვხვდება ამბავი ბაბილონის გოდლის შესახებ: თავიდან ადამიანები ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ. მთელ დედამიწაზე განსახლების დაწყებამდე მათ გადაწყვიტეს აემუნებინათ ქალაქი და ამ ქალაქში გოდოლი, რომელიც ცას მისწვდებოდა. როდესაც ღმერთმა შეხედა მათ საქმიანობას, დაინახა, რომ ადამიანები თავიანთ გადაწყვეტილებას არ შეცვლიდნენ და მართლაც დაამთავრებდნენ კოშკის მშენებლობას. ამის თავიდან ასაცილებლად ღმერთმა გადაწყვიტა ენა აერია ადამიანებისათვის – ამის შემდეგ ისინი ერთმანეთს ვერ გაუგებდნენ და მშენებლობაც ჩაიშლებოდა. ასეც მოხდა: სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხმა თავი დაანება კოშკის მშენებლობას და გაიფანტა მთელ დედამიწაზე.

ეს ამბავი ისევე ძირითადია ბიბლიისათვის, როგორც სამოთხიდან გამოძევების ისტორია: ანუ გვეუბნება, თუ რა ვართ ჩვენ – რა არის ჩვენი ასეთად ყოფნის საფუძველი. ამასთანავე, სწორედ იმის გამო, რომ სამოთხიდან გამოძევება სასჯელია, ბაბილონის გოდლის ამბავიც, რომელიც მნიშვნელობით ედემის ბაღის დატოვების ტოლია, აღიქმება როგორც სასჯელი. ეს გაგება, რომელიც საყოველთაოდაა მიღებული, გვეუბნება: ბაბილონის გოდლის აშენების შემდეგ ადამიანები ცას მისწვდებოდნენ და ე. ი. ღმერთის სწორნი გახდებოდნენ; ეს რომ ამ მომხდარიყო, ღმერთმა ერთის მაგივრად ბევრი ენა მისცა ხალხს.

მაგრამ, თვით ეს მითი სულაც არ განგვაწყობს ღმერთის მოქმედების სასჯელად აღსაქმელად. მითუმეტეს, რომ ტექსტში ღმერთის მრისხანებაზე სიტყვაც არაა ნახსენები.

იმისათვის, რომ საქმის ნამდვილ ვითარებას ჩავწვდეთ, უნდა განვიხილოთ ეს მითი ინტერპრეტატორული დანაშრევების გარეშე; მითი გვიყვება, რომ – როდესაც ადამიანები ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, მათ ჰქონდათ საშუალება ცას მიწვდენოდნენ. მას შემდეგ, რაც ადამიანებმა მრავალ ენაზე დაიწყეს ლაპარაკი, ამის შესაძლებლობა აღარ არსებობს. აქედან ცხადია, რომ „ცის მიწვდენა“ რალაცნაირად უკავშირდება ენას, ოღონდ არა იმ ენას, რომელზედაც ახლა ვლაპარაკობთ, არამედ იმას, რომელიც „მანამდე იყო“.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ამ ამბავში ბაბილონის გოდოლი ნიშნავს ენას, ენის სიმბოლოა, – იმ ენისა, რომელიც მასზე მოლაპარაკე ხალხს საშუალებას აძლევს „ცას მისწვდეს“.

ბაბილონის გოდოლის შენება სასრულოა. დასრულება კი არ უნდა ღმერთს. თანაც მას სწორედ ბაბილონის გოდოლი ანუ ბაბილონის ენა არ სურს – და სულაც არ არის წინააღმდეგი სხვა ენების – ანუ სხვა გოდოლების, რომლებსაც სხვადასხვა ხალხი სხვადასხვა ადგილებში ააშენებს. ღმერთისათვის სხვა გოდოლები აქტუალური არ არის – რადგანაც ისინი ცას ვერ მისწვდება. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რა არის იმ ენაში ისეთი, რომელიც კრძალავს იმ ენის კოშკს ანუ იმ კოშკის შენებას? და აქვე, ბუნებრივია, მეორე კითხვაც იჩენს თავს: რა დარწმუნებულები ვართ იმაში, რომ ღმერთმა საერთოდ კი არ „გააუქმა“ თავისი გადაწყვეტილებით კოშკების მშენებლობა, არამედ მაინცდამაინც ამ კოშკის, ამ ენის წინააღმდეგ იმოქმედა? იმის საბუთი, რომ ღმერთს სწორედ ბაბილონის გოდოლი არ მოსწონს, უნდა იყოს ის, რომ ღმერთი საერთოდ კი არ აუქმებს ენას, არამედ ურევს მას და ენა ამიტომ მრავალ ენად იყოფა. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მრავალ ენაზე მოლაპარაკე ხალხმა ააშენა თავ-თავისი კოშკები, მაგრამ ის შედეგი, რომელსაც ღმერთი უფროთხოდა, ბაბილონის გოდოლის დამთავრების შემთხვევაში რომ უნდა განხორციელებულიყო – არ მომხდარა.

ამრიგად, ენის ბუნება ანუ „კოშკობა“ – პრინციპულად არ შეცვლილა. ამის დამადასტურებელი თუნდაც ის არის, რომ ენა დარჩა სალაპარაკოდ ანუ ლაპარაკში და ლაპარაკით გადმოცემულად. კოშკი, რომელსაც ჩვენ ენას ვუწოდებთ, არის მეტყველებაც; მაგრამ პრინციპულად უცვლელობის მიუხედავად ენამ „აღრევა-გამრავლებისას“ დაკარგა რაღაც მნიშვნელოვანი, რომელიც მას, როგორც ერთადერთს ახასიათებდა.

ენა, რომელზედაც ბიბლიის პერსონაჟები ბაბილონის ამბამდე ლაპარაკობენ, არის პირველი ენა – ღმერთის, ადამის ენა – რომელშიც და რომლითაც დასახელდა სამყარო, რომელმაც პირველმა „მოიქცია“ თავში ყოველი არსებული და ამ აზრით ერთიანობა შესძინა მას და, ამავე დროს, ეს ის ენაა, რომლითაც ღმერთი სამყაროს ქმნიდა. ამრიგად, ამ ენის ცოდნა ნიშნავს სამყაროს ცოდნასაც, რადგანაც მისი სიტყვები იმ საგნის არსებებია, მათი გამომხატველებია, რომელსაც ისინი აღნიშნავენ (ეს ის იდეალური ენაა, რომელსაც პლატონი „კრატილოსში“ ეძებს). როდესაც ენა „ირევა“ და მის მაგივრად ბევრი ენა წარმოიშობა, მათ რჩებათ ძირითადი ნიშანი – მეტყველება და, ამავე დროს, აქედან გამომდინარე – სამყაროს დასახელების, მოცვის უნარი, მაგრამ „ჭეშმარიტება“ ანუ იმის ცოდნა, რომ ეს სიტყვა, რომელიც ამ საგანს აღნიშნავს, მართლაც ამ საგნის არსებია, დაიკარგა. დაიკარგა სწორედ

გამრავლების გამო. ამის გათვალსაზრისათვის შემდეგი მაგალითი მოგვყავს: წარმოვიდგინოთ, რომ სამყარო/ენის ურთიერთობა ისეთივეა, როგორც ცნების და განსაზღვრების; დაუშვათ, რომ არსებობს რაღაც ცნების ყოვლისმომცველი განსაზღვრება. ჩვენ შეგვიძლია ეს განსაზღვრება მრავალ შემადგენელ ნაწილად დავშალოთ – პატარ-პატარა განსაზღვრებებად. შემდეგ ჩვენ ვერც ერთ მათგანზე ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ ეს არის ამ საგნის (ცნების) ამომწურავი განსაზღვრება და არა სხვა. თუ უფრო შორს წავალთ და წარმოვიდგინოთ, რომ ამ პატარ-პატარა განსაზღვრებების გაერთიანების წესი უცნობია ან დაკარგული – მაშინ უკვე შეუძლებელი ხდება ნამდვილი განსაზღვრების კვლავ მოპოვება – რომც ავაწყოთ, ვინ განგვისაზღვრავს, რომ იგი ჭეშმარიტია და ნამდვილი? ასე კი, არა ერთ, არამედ „სწორი აწყობის“ უსასრულოდ ბევრ განსაზღვრებას მივიღებთ, რომლებიც ისევ და ისევ იმ ცნების განსაზღვრელები იქნებიან და კვლავ მათი გაერთიანების საშუალების ძებნა მოგვიხდება. ასეც მოხდა, ალბათ, ენის ძირითადი ნიშნების შენარჩუნება – რის გამოც ენები ენებად დარჩნენდა ძირითადის, გადამწყვეტის დაკარგვა – რის გამოც „რაღაც“ ვერ განხორციელდა. ამჯერად ამ „რაღაცისკენ“ უნდა მივმართოთ ყურადღება.

ღმერთის მოქმედება გამოიყურება როგორც სასჯელი; – ადამიანები ფლობდნენ ჭეშმარიტ ენას და ამის გამო იყვნენ ბრძენნი და ყოველივე იმ სიკეთის მქონე, რაც ჭეშმარიტების ფლობიდან შეიძლება გამომდინარეობდეს.

ჩვენ ვიცით, რომ ერთი, „ის“ ენა ცამდე ასვლის საშუალებას იძლევა. ეს ასვლა გამოიხატება კოშკის შენებით, რომელიც როგორც ისარი დამიზნებულია ცაზე და მისკენ აღის. როდესაც კოშკის შენება დამთავრდება, მიზანი განხორციელდება ანუ ისარი მოძრაობას დაამთავრებს.

წინა თავში ჩვენ ვაჩვენეთ, თუ როგორ ემთხვევა ცნობიერების მოძრაობა ძენონისეული ისრის მოძრაობას – ორივენი კი ტრაგედიის სტრუქტურას, ტრაგედიის, რომელიც მთავრდება კატასტროფით. აქაც მსგავსი სურათი ხომ არ იხატება და ბაბილონის გოდლის შენება კატასტროფისკენ სვლას ხომ არ ნიშნავს?

ეს მითი ბერძნული მითი არ არის, სადაც ადამიანი შეიძლება ღმერთს გაუტოლდეს. ძველ აღთქმაში ეს შესაძლებლობა თავიდანვე (სამოთხიდან გამოძევება) ერთხელ და

საბოლოოდაა აღკვეთილი. ხოლო ამ მცდელობისათვის სასჯელი ადამის მთელ მოდემას გასდევს.

ამიტომაც, ღმერთის „შეწუხების“ ერთადერთი „რეალური მოტივი“, როგორც ჩანს, არის სურვილი ადამიანებს კატასტროფა აარიდოს. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ჭეშმარიტ ენას ადამიანი მიჰყავს კატასტროფამდე; ამ კატასტროფის აცილება ხდება ერთი ენის მრავალ ენად დაშლით, რაც მართალია, ბევრი კომპის აგებას ნიშნავს, მაგრამ ეტყობა, თავისი შედეგით ჭეშმარიტი ენა-გოდოლი – ბევრად უფრო გლობალური და ყოვლისმომცველია. იმას, რომ „ჩვეულებრივი“ ენის კომპი აშენებულია, გვეუბნება ენის ძირითადი ნიშნების შენარჩუნების ფაქტი – მეტყველება მეტყველებად დარჩა ანუ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კატასტროფა მაინც მოხდა, მაგრამ ადამიანი არ დაღუპულა და ენის კატასტროფულობის მიუხედავად მაინც განაგრძობს არსებობას. მაშასადამე, „პირველი“ ენა ახდენს ისეთ კატასტროფას, რომელიც ადამიანის არსებობას ემუქრება.

ღმერთის მოქმედება უკვე აღარ აღიქმება როგორც სასჯელი. ის, რაც ყველას სასჯელი ეგონა, სინამდვილეში ადამიანების ბედის დაინტერესებულობით და მათი არსებობის შენარჩუნებისაკენ სწრაფვით იყო გამოწვეული. ისევე როგორც სფინქსის მითში ღმერთების სასჯელის დამთავრება სინამდვილეში მისი დაწყებაა, ასევე, ბაბილონის გოდოლის ამბავში – ღმერთის სასჯელი სინამდვილეში – დახმარება და დაღუპვის არიდებისაკენ მიმართული მოქმედებაა.

ეს მითი ჩვენ ორი ენის სურათს გვაძლევს: „ჭეშმარიტი“, „სამყაროს მცოდნე“ ენისა, რომელიც იწვევს ადამიანის დაღუპვას, რადგანაც ეს ენა ერთი ხმრივ ცნობიერების, მეორე მხრივ კი სამყაროს ტოლფასია, მათი დამთხვევისას კი, როგორც უკვე ვნახეთ, ხდება მოძრაობის შეწყვეტა და კატასტროფა და მეორე – ერთ-ერთი ენა, რომელიც, მართალია, მოიცავს სამყაროს, მეტყველებს, მაგრამ ჭეშმარიტი არ არის და ამიტომაც, მხოლოდ ფორმალურ დონეზე რომ ვიმსჯელოთ, მისი, ცნობიერების და სამყაროს დამთხვევა არ ხდება და ამიტომაც მთლიანად ადამიანის გლობალური კატასტროფა არიდებულია.

ამ მითის განხილვისას არ უნდა დაგვაბნოს ე. წ. „განვითარების“ არსებობამ ანუ იმ ფაქტმა, რომ კომპი შენდება. კომპის „შენება“ – ტრაგიკულობის და საშიშროებების გასამძაფრებელია და არა თავისთავადი, თვითკმარი ფენომენი. მთავარია ის, რომ კომპი

დამთავრებადია. კოშკის „შენების“ ფაქტი უფრო მიგვიჩვენებს ენის ტრაგიკულობასა და კატასტროფულობაზე, ვიდრე ენის კატასტროფისკენ მოძრაობის დროში გაშლილობაზე. ისევე როგორც სფინქსის მითი, ბაბილონის გოდოლის ამბავი გვეუბნება, თუ რა იყო „წინ“, „მანამდე“, სანამ გავხდებოდით, რაც ვართ; მაგრამ დროც ხომ მას შემდეგაა, რაც ჩვენ ჩვენ გავხდით. ყოველ შემთხვევაში ის დრო, რომელიც „უწინ“-ს და „მანამდე“-ს თქმის საშუალებას გვაძლევს. მეორე მხრივ, იმის თქმა, რომ „კოშკი აშენებულია“, გამორიცხავდა ტრაგიკულობაზე მითითებას, რადგან ტრაგიკულობა მოძრაობის დამთავრებაშია და არა საერთოდ გაჩერებულობაში. თანაც ამ მითში გადმოცემული აზრის გამოხატვა „გაჩერებული კოშკით“ შეუძლებელია; გაჩერებული ეს კოშკი, ერთი მხრივ, გამორიცხავს ადამიანის არსებობას, ხოლო, მეორეს მხრივ, თუ ეს არსებობა მაინც არის, აუცილებლად გულისხმობს ღმერთის საჯგულს. მითის ასე დაწერა კი მოითხოვს ცნობიერების არატრაგიკულ, სხვანაირ სტრუქტურას, ვიდრე ჩვენ გვაქვს.

საბოლოოდ შემდეგი სურათი მივიღეთ: ჭეშმარიტი ენის ფლობის შემთხვევაში ადამიანს თავს ატყდება კატასტროფა, რომელიც წყვეტს მისი, როგორც ცნობიერების არსებობას. ამ კატასტროფის თავიდან აცილება ხდება ერთი, „ჭეშმარიტი“ ენის მრავალ ენად დაშლით, რომლებშიც ენის „ჭეშმარიტობა“ იკარგება და იფანტება; მაგრამ რაკი ენის სხვა, ძირითადი ნიშნები შენარჩუნებულია, ცნობიერებაში კატასტროფა მაინც ხდება (შენდება კოშკი-ენა). მიუხედავად ამისა, ადამიანის არსებობა ნარჩუნდება და ცნობიერება აგრძელებს მოძრაობას – მიუხედავად თავის თავში კატასტროფული ფენომენის ქონებისა.

ტრაგედია, რომელიც წინა ნაწილში აღვწერეთ, ამ ფონზე გამოიხატება, როგორც ყოველ ენაში მოცემული სამყაროს და „ნამდვილი სამყაროს“ დაუმთხვეველობა, შეუსაბამობა; ამიტომაც, ცნობიერების მოძრაობა შეიძლება განხილული იქნეს, როგორც იმ, „ნამდვილი“ ენის ძიება. ამის საუკეთესო გამოხატვაა კულტურაში არსებული თარგმნის ფენომენი, რომელიც გულისხმობს ენების საერთო საფუძვლის არსებობას და ამ მოსაზრებით სხვადასხვა ენების ტექსტებს თარგმნადად თვლის. ასევე – ცნობიერების მიმართულობა საყოველთაო და ზუსტი ენების შექმნისაკენ, რაც გეგვლინება ხან ზუსტ, ლოგიკურ მეტა-ენებად, ხან ესპერანტოდ, ხან კი მათემატიკის უნივერსალურ ენად გამოცხადებად. ეს ყველაფერი – ბაბილონის გოდოლის მაშენებელი ენის ძებნაა.

გარდა იმისა, რომ ამ მითმა მიგვითითა იმ ფენომენზე, რომლის ძებნაც წინა ნაწილში დავისახეთ მიზნად – ენაზე, რომელიც დროების ცვალებადობას თან სდევს და მათი ცვლილების მიუხედავად მუდამ თან ახლავს ცნობიერებას და საზღვრავს მის ასეთად ყოფნას, ამ მითმა კიდევ ერთი პრობლემა დაგვისახა, რომლის გარკვევითაც უნდა დავიწყოთ შემდეგი მსჯელობა: რა არის ის „რალაც“ კატასტროფა, რომელიც ყველა ენაში მომხდარია და რომლის მოხდენაც „პრა-ენაში“ ცნობიერების დაღუპვას გამოიწვევდა.

II

წინა თავებში ჩვენ ცნობიერება განვსაზღვრეთ, როგორც გარკვეული ფორმა და შინაარსი. ცნობიერების არსებად დადგინდა მოძრაობა. ეს სტრუქტურა ჩვენ სხვადასხვა დონეზე შევამოწმეთ. ამჯერად ჩვენს მიერ გამოყვანილი „ფორმულები“ „მესამე ელემენტს“ უნდა მივუყენოთ, რათა ჩვენი დროისა და ადგილის გამაერთიანებელშიც ისევე მოვნახოთ ცნობიერების ნაცნობი კვალი, როგორც დროისა და ადგილის ძებნისას წავაწყდით.

ამჯერად ჩვენ ენის ფენომენი გვაინტერესებს. ენის ბუნებას უმარტივესი წინადადებაც უნდა გამოხატავდეს, მაგალითად, „სკამი არის“. ამ წინადადებაში „სკამი“ მიუთითებს იმ ფორმაზე, რომელიც რალაც არსებულს მიღებული აქვს, ხოლო „არის“ – არსებობის იმ წესზე, რომელიც მოცემულ ფორმას ახასიათებს. აქ, როგორც ვხედავთ, გამოიკვეთა სტრუქტურული ელემენტები და ენაც ცნობიერების ტიპის ფენომენი აღმოჩნდა. ასე დანახული ენა გვეუბნება, რომ „არის“ – შინაარსი ანუ რიტუალია და, მაშასადამე, „ყოფიერება“-„ყოფნა“ არის რიტუალი, რომელსაც „ასრულებს“ სკამი. ასე გაგებული საქმის ვითარება გვაფიქრებინებს, რომ ენა მართლაც „ყოფიერების სახლია“, რომ ყოფიერება არის არსებობის, ყოფნის წესი და ა. შ. თითქოსდა ჩვენი საქმეც დამთავრებულია – მესამე ელემენტს ადგილი მიეჩინა და შემდგომი ჩვენი მოქმედებაც თითქოს ამ კუთხით უნდა გაიშალოს ანუ უნდა აღვწეროთ, თუ რას ნიშნავს, რომ ყოფიერება არის შინაარსი, რიტუალი და რომ ის ფორმას, როგორც ასეთს არ მოიცავს.

მაგრამ ასეთი გზის წინააღმდეგ რამდენიმე ფაქტი თუ შემთხვევა მეტყველებს: ჯერ ერთი ის, რომ „ყოფიერება“, რომელიც ფილოსოფოსების მიერ იძებნებოდა, ყოველივეს მომცველი იყო და არა მხოლოდ ერთი, მართალია, განმსაზღვრელი, მაგრამ მაინც, მხარის. მეორეც – ხშირად

ხდებოდა და ეს განსაკუთრებით საყურადღებოა, ყოფიერებისა და ღმერთის გაიგივება. მეორე ხრივ, ჩვენს მიერ გამოყვანილი დებულების სასარგებლოდაც მეტყველებს ფილოსოფიის ისტორია: კანტი ამბობდა, რომ არსებობა არის ტრანსცენდენტალური აპერცეფციის მდგომარეობა (პოზიცია) და ასევე ჰაიდეგერიც – თავისი ფილოსოფიის იმ პერიოდში, როდესაც ყოფიერებას დროს, დროს კი – მუნყოფიერების არსებობის წესს უიგივებდა. როგორც ვხედავთ, ჩვენ გვეუბნებიან, რომ ყოფიერება არის მომცველი, ყველაფერი – ფორმა და შინაარსი და თანაც, ამავე დროს, გამოდის, რომ ყოფიერება არის მხოლოდ შინაარსი (რიტუალი).

ამჯერად ჩვენ უნდა ვნახოთ, თუ რა არის ფილოსოფიის ამ ძირითად საკითხში ისეთი, რაც ერთი მიმართულების ფილოსოფოსებს (მაგ: კანტი, ჰეგელი) ურთიერთგამომრიცხავი პასუხების გაცემას აიძულებს.

იმაზე, რომ ყოფიერება შინაარსია და არა ფორმა, ენის აგებულებამ მიგვითითა. ამიტომ უნდა ვნახოთ, ენის სტრუქტურაშივე ხომ არ არის მოცემული მეორე მიმართულების საფუძველიც; ენაში, გარდა წინადადების აწყობის და ყოფნის წესებისა, არის კიდევ ერთი წესი, რომელიც ჩვენ ძალიან მნიშვნელოვნად გვესახება; ეს არის ზმნის გაარსებითება. ფაქტობრივად, ის, რომ „ყოფიერება“ ყოფიერებაა და ყოველივეს მომცველ ცნებად ითვლება, არის ზმნა, რომელიც მხოლოდ მოქმედების რიტუალის აღმნიშვნელია, არსებითდება და ხდება, ამავე დროს, ფორმის აღმნიშვნელიც. აქ, როგორც ვხედავთ, ადგილი აქვს ფორმისა და შინაარსის გაიგივებას, რაც თვითონ ენის საფუძველშივე ძევს. ეს წესი საშუალებას იძლევა ზმნა „ობას“ ან „ეხას“ დამატებით არსებით სახელად ვაქციოთ და თანაც მასში მოქმედება ნაგულისხმევი და „თანამყოფი“ დავტოვოთ.

როდესაც ცნობიერების და ტრაგედიის სტრუქტურულ იგივეობაზე ვლაპარაკობდით, მაშინ კატასტროფის – ტრაგედიის სტრუქტურული ელემენტის – აღწერისას ვთქვით, რომ კატასტროფა არის მდგომარეობა, როდესაც მოქმედებასა (შინაარსი) და საქმის ვითარებას (ფორმა, სიუჟეტი) შორის წინააღმდეგობა იხსნება და ხდება ფორმა-შინაარსის გაიგივება ანუ როდესაც მოქმედება მთავრდება და ეს დამთავრება ემთხვევა სიუჟეტის მოთხოვნას.

როგორც ვხედავთ, ენაში კატასტროფის ნიშნები იკვეთება. ეს კი უნდა ნიშნავდეს, რომ ენა უკვე ტრაგედიია, უკვე დასრულებულია და კატასტროფული.

მაგრამ როგორ ხდება ამ კატასტროფულობის გამოხატვა ცნობიერების მოღუსებში? ამის მარტივი მაგალითია ღმერთისა და ცნობიერების გაიგივება; როგორც კი ხდება ზმნა ყოფნის, როგორც ყოფიერების მოაზრება, ის იმავედამს უიგივდება ღმერთის ცნებას, რადგანაც გაარსებითების შემდეგ მათი შინაარსები ემთხვევა ერთმანეთს. ეს უკვე ჰგავს იმ მდგომარეობას, რომელიც ჩვენ „თამაშის ფენომენოლოგიაში“ აღვწერეთ; ჩვენ ვთქვით, რომ რიტუალის და ფორმის დამთხვევა ცნობიერებაში იწვევს მის გაჩერებას, თავისი თავის იგივეობრივად გახდომას, აქტობრივად გაქრობას და „ნამდვილ არსებობასთან“ საბოლოოდ დაშორებას. ამდენად, ის ფილოსოფია, რომელიც ყოფიერებას და ღმერთს იკვლევს და აუცილებელ შედეგად მათ გაიგივებას იღებს (როგორც ჰაიდეგერმა დაუშვა ეს სიცოცხლის ბოლო წლებში) – თავის თავში გაჩერებულია და რეალურ თემასაა დაცილებული, რადგანაც მთლიანად ენაში აქცევს თავს.

მაგრამ ღმერთისა და ყოფიერების ცნებების გაიგივება ახალი არ არის ფილოსოფიისათვის, შეიძლება ითქვას, რომ ეს თვისება მას თავიდანვე მოსდგამს; უპირველეს ყოვლისა, ამის ნიშანი არის ყოფიერების ანუ ონტოლოგიური პრობლემატიკის ანუ ონტოლოგიის ფილოსოფიის საზრუნავად გახდომა. ეს კი, როგორც შევეცადეთ გვეჩვენებინა, ფილოსოფიის დასაწყისიდანვე მოხდა; ამ დროს ფილოსოფია ცდილობს საზღვრით ცნებებზე დაიწყოს ლაპარაკი. მეორე მხრივ კი – ხდება ყოფნის არსებით სახელად ქცევა და მამასადამე, ფილოსოფიაშივე, ფორმისა და შინაარსის დამთხვევა, რაც უნდა იწვევდეს ფილოსოფიის „გაქრობას“, მის გაჩერებას და გაუჩინარებას; მაგრამ ამ შემთხვევაში ფილოსოფიას ტრაგედიის პერსონაჟობა ადგება; რაკი ის მეტაფიზიკასთანაა გაიგივებული, ყოფიერების, როგორც საკვლევი პრობლემატიკის განდევნა ხდება და ამით, ანუ გაჩერების თავიდან აცილებით, ნარჩუნდება მისი სიცოცხლე; მაგრამ კატასტროფა დასაწყისიდანვე განსაზღვრულია – თავის რიგს ელოდება და ბოლოს ცხადდება, რომ ყოფიერების ცნება, საკითხი დავიწყებულია საუკუნეების მანძილზე, ხოლო ფილოსოფიის ვალია ეს საკითხი წინ წამოსწიოს და მთავარ საკითხად გამოაცხადოს.

ამის შემდეგ გამუდმებით იმართება ყოფიერების საკითხის გარშემო ტრიალი. თანაც ტრიალი დაუსრულებლად, რადგან თვითონ საკითხი დგას არასწორად: საკითხის დასმის უაზრობა რომ თავლსაჩინო გავხადოთ, კითხვა რა არის ყოფიერება?“ წავიკითხოთ როგორც „რა რის «სკამი არის»? და შესაბამისად, უსასრულოდ ბევრი (ე. ი. არც ერთი) პასუხი უნდა

მივილოთ: წინადადება, განსაზღვრულობა, მოცემულობა, არსებობის მოდუსი, ყოფიერების ლაპარაკი და ა. შ. როდესაც ყოფიერების საკითხი მიჩქმალული იყო, ე. ი. როდესაც ის ჯერ (უკვე) არ იდგა, როდესაც ის აუცილებელ პოსტულატად თუ აქსიომად იყო მიღებული, მეტაფიზიკა და (ანუ) ონტოლოგია თავს კარგად გრძნობდნენ; მაგრამ კანტის შემდეგ თითქმის ყველამ თავი აარიდა მეტაფიზიკის შექმნას, რამაც საბოლოოდ ყოფიერების საკითხის დასმა გამოიწვია. როგორც მეტაფიზიკის, ასევე ონტოლოგიის შექმნას ყველა უფრთხოდა, მაგრამ თვითონ ენის სტრუქტურის მიხედვით, სადაც რაიმე წინადადებას ამბობ, იქ შეუძლებელია რაიმე სტრუქტურა არ გამოჩნდეს. – სისტემიდან კი სამყაროს აგებულების ამოკითხვამდე ერთი ნაბიჯია.

აქამდე ჩვენ ვაჩვენეთ, თუ როგორ ხდება ენაში ფორმა-შინაარსის ურთიერთდამთხვევა და ეს სიტუაცია დავახსნით ცნობიერების ერთ-ერთი მოდუსის შუქზე; მაგრამ მოდუსი მხოლოდ ერთ-ერთი გამოვლენაა და სხვა არაფერი. ჩვენ უნდა ვნახოთ, თუ როგორ არის ცნობიერების საქმე; ჩვენ გვაქვს ენა, რომელშიც შესაძლებელია ზმნისა და არსებითი სახელის ურთიერთდამთხვევა; ანუ, ენაში ხდება ფორმისა და შინაარსის გაიგივება. ეს კი ნიშნავს, რომ ენაში ტრაგედია უკვე მომხდარია, ტრაგედია დამთავრებულია და მოცემულია. ეს მარტო „მოფილოსოფოსე“ – ცივილიზებულ ენებს არ ეხება – ნებისმიერი ენა, რომელიც საშუალებას იძლევა გრუხუნზე, როგორც არსებით სახელზე ანუ მყარი ფორმებით არსებულზე იმსჯელოს და ზოგჯერ თქვას ხოლმე „ეს ღმერთია“ ანუ მოქმედებას, რომელიც ხდება და რომელიც ზმნაა, დაარქვას არსებითი სახელი, – უკვე კატასტროფულ მდგომარეობაშია, გაჩერებულია და თავის თავშია ჩაკეტილი.

აქ კი უცნაური სურათი გვეხატება: ენა – თითქოსდა ადამიანის ცნობიერების უცვლელი და მნიშვნელოვანი ელემენტია, მუდამ თან ახლავს მას – მიუხედავად ამისა, ცნობიერება მოძრაობს, ენა კი უკვე (და „დიდი ხანია“) გაჩერებულია და დამთავრებული.

მთლიანობაში აღებული ენა სამყაროს ხატია. ყველა ემპირიული, რეალური სამყაროს ხატი, რომელიც ჩვენში და ჩვენს გარშემო არსებობს, ამ ხატიდანაა ამოკითხული. ამავე დროს, ენა, როგორც მეტყველება, მოქმედებასთანაა კავშირში და რიტუალია. როგორ ვხედავთ, ენა შინაარსობრივი ბუნებისაა; ანუ, ენა ერთსა და იმავე დროს ფორმაცაა და შინაარსიც; გრამატიკა, როგორც ვიცით, ფორმალურია და არის ენის, როგორც ფორმის გამოხატვა; მაგრამ

სწორედ გრამატიკა იძლევა საშუალებას ზმნის შინაარსი არსებითი სახელის შინაარსი გახდეს – ეს კი უკვე ენის შინაარსს განსაზღვრავს, რადგანაც ამ გადაქცევაში ენის შინაგანი არსება იკითხება.

ენის შინაარსი კი, მეტყველება, რომელიც მხოლოდ შინაარსია და სხვა არაფერი, თავის მიმართებებში ძირითადად ფორმალური წესებით ხელმძღვანელობს და ასევე მაქსიმალურად იყენებს ენის ფორმალურ უნარს მოქმედება (რეალური) მიზნად ან მიზეზად გადააქციოს, რაც, თავის მხრივ, როგორც ვთქვით, ენის შინაგანი არსებიდან გამომდინარეობს და, საერთოდ, სამყაროს ხატის, როგორც ადამიანის მოქმედებათა ორიენტირის, წარმოშობას უდევს საფუძვლად.

აქ ჩვენ შეგვიძლია დავეთანხმოთ დებულებას, რომ „ენა ყოფიერების სახლია“; მაგრამ ამ სახლში მხოლოდ ის ყოფიერება სახლობს, რომელიც ენას უნდა, ამიტომ ეს სახლი შეიძლება ცარიელი იყოს.

ამ ფონზე ჩნდება ენის, როგორ იდოლას საკითხი, ენის, როგორც იდოლას დახასიათებას ემატება კიდევ ერთი: საზღვრითი ცნებების შექმნის უნარი. ამით ენა სამყაროს თვითნებურად (თუმცა, ერთი შეხედვით, სინამდვილესთან შესაბამის) მთლიანობას და განსაზღვრულობას აძლევს.

საზღვრით ცნებებზე და მათ შორის ურთიერთმიმართებებზე ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ. ამჯერად უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ მათი შექმნის საფუძველს განაპირობებს ფორმისა და შინაარსის გაიგივება – ენის უნარი.

ენის ერთ-ერთი ფუნქცია (რომელიც შეიძლება ძირითადად აღმოჩნდეს), როგორც ვხედავთ, არის საზღვრითი ცნებების შექმნა – საზღვრითი ცნება იგება ზმნის არსებით სახელად ანუ მოქმედების – მოქმედების მიზნად (ან მიზეზად) გადაქცევით. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ცნობიერების „არქეტიპული“, სტრუქტურული ფორმების შექმნა. „არქეტიპული“ იმიტომ, რომ ამ გადაქცევით, გადასხვაფერებით, მიიღება ის ძირითადი მიმართულობა, რომლის ნაყოფია შემდეგ მეტა-სამყაროების აგება. ამის თვალსაჩინოდ საკმარისია ჩვენთვის ნაცნობი მოვლენა მოვიყვანოთ მაგალითად: მოქმედების (ზმნების) ამბად (არსებით სახელად – მითად, ისტორიად) გადაქცევა, როგორც ვნახეთ, საფუძვლად უდევს ყველანაირ დროს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს გადაქცევა, ამავე დროს, არის დროის

გაჩერებაც, თავის თავთან გაიგივების მნიშვნელობით – წმინდა მოქმედებას, მოძრაობას, თავისთავად, საზღვრები არა აქვს. ენა კი მოძრაობას ანაწევრებს, დისკრეტულს ხდის, სახელის დარქმევით საზღვრებში მოაქცევს და ამით, ანუ საზღვრითობის შემოღებით, მოქმედებას უიგივებს მოქმედების სახელს, ქმნის იგივეობას მათ შორის და ამით მიდის კატასტროფამდე. ამის შემდეგ უფლება გვეძლევა ვთქვათ, რომ ენა მართლაც საზღვრითი ფენომენია; ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ის საზღვრის დამდებია, განსაზღვრულობის შემქმნელია, ხოლო, ამავე დროს, ის შემოსაზღვრავს ადამიანის მოქმედების სფეროს და საზღვრებში აქცევს მას. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ენა არის ცნობიერების ფორმების ანუ მეტა-სამყაროების წარმოშობის საფუძველი; გარდა ამისა, ენაში, ამავე დროს, გვეძლევა ცნობიერების შინაარსის გაჩერებულობის, მუდმივობის სურათიც, რაც, როგორც წინა ნაწილში ვნახეთ, სფინქსისა და ოიდიპოსის ურთიერთობაში დადგინდა.

ენა, როგორც შევეცადეთ გვეჩვენებინა, მოიცავს მთელ ადამიანურ ყოფნას; ანუ, იგი მთელი ადამიანური ცნობიერების მომცველია. ენაში ხდება სამყაროს სახელდება და არა მარტო ნივთების, არამედ მოქმედებებისაც. მაშასადამე, ენა სახელს არქმევს ანუ საზღვრავს ისეთს, რასაც არ შეიძლება სახელი დაერქვას და დაისაზღვროს, რადგანაც ის პრინციპული წინააღმდეგია გაჩერების ანუ ენა რიტუალს უიგივებს ფორმას; ანუ ენა ცნობიერების შინაარსს აფორმებს, რაც არა მარტო ცვალებადობას, ნებისმიერ მოძრაობაზე მიმართულებას სპობს. ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანის ცნობიერება მართლაც ცხოვრობს ენაში, მაგრამ ენა უფრო მისი საპყრობილის ფუნქციას ასრულებს.

ამჯერად განსახილველი საკითხია, თუ მაინც რატომ მოძრაობს ცნობიერება, თუკი მასში იმთავითვე მოცემულია უძრაობის ფორმულა და თვითონაც ამ ფორმულაშია ჩასახლებული. ამ საკითხის კვლევა ორი მხრით შეიძლება წარიმართოს; ერთი – მაინც რიტუალში მოვნახოთ მოძრაობის საფუძველი და მეორე – იგივე საფუძველი ცნობიერების ფორმაში ანუ საზღვრითი ცნებების ურთიერთმიმართებაში დავინახოთ.

მოძრაობის საფუძველი თანაბარი ძალით შეიძლება ორივე სფეროში არსებობდეს; მაგრამ, წარმოიშობა კითხვა, რამდენად მოძრაობაა ის, რაც ცნობიერებას ახასიათებს? ეს მოძრაობა, როგორც ძენონის აპორიების განხილვისას აღვნიშნეთ, საზღვრის გადალახვით მიმდინარეობს,

ხოლო საზღვრის ქონა კი უკვე ენის არსებობაზე მიგვითითებს. ენის არსებობა კი – გაფორმებულ შინაარსზე.

III

ჩვენ ვხედავთ, რომ ენის უძრაობის და კატასტროფულობის მიუხედავად ცნობიერებას მაინც ახასიათებს მოძრაობა, რაც გამოიხატება მისი ფორმების ცვალებადობით. ეს ცვალებადობა კი, როგორც ვნახეთ, ადამიანის კონკრეტულ ცხოვრებას უღევს საფუძვლად. ბუნებრივია, რომ წარმოიშობა კითხვა: თუკი ენა, რომელშიც ფაქტობრივად არის ცნობიერება, უძრავია, – რა არის თვითონ ცნობიერებაში ისეთი, რაც აიძულებს მას იმოძრაოს? ჩვენ შემდეგ ამ კითხვაზე პასუხს ცნობიერების ფორმების ურთიერთობებშიც მოვებნით, მაგრამ ჯერ ცნობიერების შინაარსი უნდა ვნახოთ, მასშიც ხომ არ არის რამე – მოძრაობისათვის ბიძგის მიმცემი?

როდესაც ჩვენ ცნობიერების მოძრაობა აღვწერეთ, ვთქვით, რომ მოძრაობა ხდება ე. წ. „დაუკმაყოფილებლობის“ გამო, რადგანაც მოცემული ცნობიერების ფორმა ყოველთვის ფორმაა და შეუძლებელია გახდეს შინაარსის შესაბამისი. სწორედ ამაშია საქმე – რაც უნდა იყოს ენაში მოცემული ფორმისა და შინაარსის იგივეობა, რაც უნდა აფორმოს ენამ შინაარსი, მაინც არსებობს რაღაც „რეალობა“, რომელიც სწორედ თავისი „რეალურობის“ გამო ფორმა არ არის და ცნობიერებასაც ჯერ აქვს მასთან შეხება. ახლა შევეცადოთ ავხსნათ ეს ყველაფერი: ენა, როგორც ვნახეთ, შინაარსს აფორმებს. მოცემული ცნობიერების ფორმა ამბობს, რომ ის ყოვლისმომცველია და რომ შინაარსიც შედის მასში, თანაც ისე, რომ ეს რიტუალი მას არ ეწინააღმდეგება. ენაც ამასვე ამბობს (და ეს ენის პოზიციიდან მართლაც ასეა) რიტუალი ენის შუქზე „რიტუალია“ და მაშასადამე – ფორმა. ე. ი. ენობრივ დონეზე შეუძლებელია ცნობიერების ფორმა „გამოიჭირო“. მაგრამ რეალური შინაარსის არსებობა, რომელზედაც ცნობიერებას ჯერ კიდევ აქვს გასავლელი, სანამ ის თამაშის წრეში არ ჩავარდება, – სხვაგვარად მეტყველებს: რეალური შინაარსი არასოდეს არ არის ფორმა და ცნობიერებაც ამას გრძნობს თუ ხედავს და ამიტომაც არღვევს ენის მიერ დაწესებულ საზღვარს (რაც ფორმით გამოიხატება) და ცდილობს შექმნას ახალი, ყოვლისმომცველი ფორმა.

აქ წარმოიშობა წინააღმდეგობა ცნობიერების ფორმასა და ენას შორის – ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ – მეტყველებასა და ენას შორის; ცნობიერების ფორმა, რაკი ის მხოლოდ ფორმაა, არ შეესაბამება ენას, რაკი ეს ფორმა ენაში გამოიხატება. ენა მას „უფრო მეტს“ აძლევს, უფრო ყოვლისმომცველს ხდის, ვიდრე ეს თავად მეტა-სამყაროს სურათში იყო ჩადებული. მეტყველება კი, რომელიც მოწოდებულია რიტუალის დასაყოფად, ყოველთვისაა მიმართული თავისი ენობრივი ხასიათის გამოვლენისაკენ, რასაც „რეალური შინაარსი“ – „წმინდა მოქმედება“ ეწინააღმდეგება. ამავე დროს მეტყველება, რომელიც რიტუალია, ყოველთვის ცდილობს ჩაღოს თავის თავში ის შინაარსი, რაც ენაში ვერ გამოიხატება, მისი უკიდურესი დამსაზღვრავი ხასიათის გამო.

მაშასადამე, აქ ვხედავთ, რომ ცნობიერების ფორმები ენის გამოვლინებებია და ცნობიერების ყოველ ძალისხმევას თავი დააღწიოს არსებულ ფორმას, ენა უპირისპირდება ახალი ფორმით. ეს ვითარება უფრო გასაგები რომ გავხადოთ, უნდა მოვიშველიოთ ტრაგედიის ანალოგია: ენა აძლევს ცნობიერებას არამც თუ საერთოდ როლს, არამედ როლის ყოველ ეპიზოდსაც კი უმზადებს კატასტროფას. ცნობიერება ებრძვის თავის ეპიზოდებს, ხოლო იმას, რომ ამ ეპიზოდებს ის კატასტროფისაკენ მიჰყავთ და უფრო უმტკიცებენ როლს, ყურადღებას ვერ აქცევს. ენა არის ის ტრაგედია, რომელშიც ცნობიერება მთავარ როლს ასრულებს. აქამდე, როდესაც ცნობიერების შესახებ ტრაგედიის ანალოგიით ვმსჯელობდით, თავ-თავისი ადგილები მიუჩინეთ პერსონაჟს, კატასტროფას, მაგრამ სრული ეს ანალოგია მხოლოდ ახლა ხდება ტრაგედიის, როგორც მთლიანი ფენომენის ანალოგიის მონახვით: ცნობიერება ასრულებს მთავარ როლს; ენა – ტრაგედიაა, ტრაგედიის სიუჟეტი. ცნობიერების ფორმა – არის ეპიზოდები, სცენები, რომლებშიც სიუჟეტის მიხედვით ვარდება მთავარი გმირი და საიდანაც ცდილობს თავი დააღწიოს.

ეს ტრაგედია, როგორც ყველა, მთავრდება კატასტროფით – ეს კატასტროფა ჩვენ აღვწერეთ „თამაშის ფენომენოლოგიაში“. აქ ხდება არა მარტო ცნობიერების ფორმისა და შინაარსის გაიგივება, აქ ხდება ენისა და ცნობიერების ანუ ტრაგედიისა და პერსონაჟის გაიგივება. ასეთი იგივეობა ტრაგედიისათვის ჩვეულებრივი ამბავია – შემთხვევითი არ არის, რომ კლასიკურ ტრაგედიებს პერსონაჟების, მთავარი გმირების სახელები ჰქვიათ: „ოტელო“, „ჰამლეტი“, „ანტიგონე“. ეს ნიშნავს, რომ მთლიანად ტრაგედია (როგორც ფორმა),

გაიგივებულია, თანხვედნილია საკუთარ პერსონაჟთან, ხოლო ტრაგედია, როგორც მოქმედება (როგორც შინაარსი) წარმოადგენს „სათაურში“, ფორმაში მოცემული იგივეობის შესრულებას და გამართლებას.

კატასტროფის შემდეგ ცნობიერება (და „ყოფიერებაც“) საბოლოოდ დასახლდება ენაში. ეს დასახლება გარდაუვალი და გამოუვალი გახდება, რადგანაც ცნობიერებას მეტა-სამყაროს და მეტა-შინაარსის კედლებში მოცემულს – გარეთ გამოსასვლელი აღარ ექნება.

ახლა საბოლოოდ მოგხაზოთ ის წინააღმდეგობა, რომელიც „ჯერ“ ცნობიერების ფორმა-შინაარსს და ენას შორისაა; ფორმა-შინაარსი ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ მათი გამოხატვა მეტა-სამყაროში (ფორმაში) ისე ხდება, თითქოს ფორმა-შინაარსი უკვე დამთხვეულია, გაიგივებულია და შემდეგი მოძრაობაც გამორიცხებულია. ამის შემდეგ ხდება შინაარსის მიერ ფორმის საზღვრების დაძლევა და ისევ – ენობრივი გამოხატვა ამბობს, რომ ფორმა და შინაარსი აბსოლუტურად შეესაბამება ერთმანეთს. ეს „რეალური“ წინააღმდეგობაა. ის, რომ მეტა-სამყაროს ყოველივეს მოცვის პრეტენზია აქვს, ენობრივი გამოხატვის დამსახურებაა; მაგრამ ეს ან ნიშნავს, რომ ცნობიერება მარტო შინაარსია – ის ფორმა, რომელიც მას შემოხვდება ხოლმე, – მისი საკუთარი ფორმაა, მართალია, ენით გამოწვეული, მაგრამ მაინც მისი და მისი მოძრაობით მიღებული.

ჩვენ ვამბობთ, რომ მეტა-სამყაროს მეტა-სამყარობაა ანუ ის, რომ მას ყოველივეს მოცვის პრეტენზია აქვს, ენის „ბრალია“. ეს არ ნიშნავს იმას, რომ დავუშვათ, თითქოს მეტა-სამყაროს შემქმნელს არ სურს სამყაროს მოცვა და ეს მას უნებლიეთ „გამოდის“. არამც და არამც. როდესაც ჩვენ ენაზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ იმ კანონს, რომელშიცაა ცნობიერება; ანუ ენა, ამ აზრით, მარტო თეორიულ წიგნებში მოცემული ფენომენი კი არ არის, არამედ ის ადგილი, სადაც ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ. მაშასადამე, როდესაც ვინმე ქმნის მეტა-სამყაროს, ცნობიერების მორიგ ფორმას ან ამ ფორმის მორიგ მოდუსს, მას ძალიანაც უნდა, რომ მისი სურათი ყოველისმომოცველი აღმოჩნდეს; ამ შემთხვევაში ენა ლამის ფიზიოლოგიურ სწრაფვასაც კი განსაზღვრავს.

IV

ამის შემდეგ უკვე შეიძლება ვილაპარაკოთ დროების განსაზღვრულობებზე, ოღონდ არა პოსტულატების და დაშვებების დონეზე, როგორც ამას პირველ ნაწილში ვაკეთებდით. ჩვენ მივიღეთ სამი დროის არსებობა – ყოველ შემთხვევაში ჩვენი თვალის უფრო შორს ვერ ჩაწვდა: მითი, ჟამთააღმწერლობა, ისტორია. დროის ამ სამივე გაგებას საფუძვლად უდევს ამბის, შემთხვევის ინტერპრეტაცია. „ამბავს“, „შემთხვევას“, როგორც ფენომენს საფუძველი აქვს ენის ბუნებაში: როდესაც ხდება მოქმედების, შემთხვევის არსებით სახელად გადაქცევა ანუ როდესაც ვილაცის მოქმედებას ერქმევა „ამბავი“ და მოქმედი და მოქმედება ერთ ფენომენურ დასახელებაში ერთიანდება, „იწყება“ დრო და ასევე, იქმნება პირველი საზღვრითი ცნებაც.

ერთი შეხედვით, აქ უნდა მოხდეს გაჩერება და შემდგომი „განვითარებაც“ აღარ უნდა იყოს. მაგრამ, მართალია, საზღვრითი ცნება უკვე ენაშია, ის არ რის ერთადერთი. – ასეთივე წესით იქმნება დროის ცნება – მას შემდეგ, რაც მოქმედება იქცევა გარკვეულ მდგომარეობად – ამბად, სახელი ერქმევა ერთმანეთის შემდეგ მდგომარეობას – ანუ, ამბების მიმდევრობას, ასევე იქმნება სივრცის ცნებაც – სახელი ერქმევა ერთმანეთის გვერდით მდგომარეობას. ამით ენაში ხდება ყველანაირი მოქმედების გაჩერება: გაჩერებულია „წამიერი“ მოქმედება – გადაქცეულია არსებით სახელად და „ამბავი“ ჰქვია. გაჩერებულია შემდეგ წარმოშობილი (მყოფი) მოძრაობა) – „დროის“ დარქმევით და გაჩერებულია გვერდით წარმოშობილი (მყოფი) მოძრაობა – „სივრცის“ დარქმევით. ამ სამი ცნების დადგენით ენაში ხდება კატასტროფა; ანუ, ფაქტობრივად, ენა იმთავითვე არსებობს, როგორც ტრაგიკული და ტრაგედია.

მაგრამ, თუკი კატასტროფა მომხდარია, რას უნდა მივაწეროთ სხვადასხვა დროების არსებობა – თუკი მოძრაობა, უკვე არსებული საზღვრითი ცნებების გამო, გამორიცხულია; მაგრამ აქ ისევ „თამაშის ფენომენოლოგიით“ მიღებული გამოცდილება უნდა გამოვიყენოთ და ვთქვათ, რომ ენა იწყებს თამაშს ანუ ის, ჰერაკლიტეს ბავშვივით, სხვადასხვანაირად აწყობს ქვებს. ეს ქვები კი მისთვის საზღვრითი ცნებებია. ამიტომაც ჩვენ ვამბობთ, რომ დროები წარმოადგენენ ზემოთ ჩამოთვლილი საზღვრითი ცნებების სხვადასხვანაირ თანხვედრას. შემდეგ, როდესაც ცნობიერება მიაღწევს თამაშის „საფეხურს“, მოხდება მოთამაშე ენის და მოთამაშე ცნობიერების ურთიერთდამთხვევა.

მაშასადამე, დროები „ამბის“, „სივრცის“ და „დროის“ სხვადასხვანაირი შესაბამებებია. გავადვენოთ თვალი ამ თანხვედრებს: მითი არის შემთხვევა, ამბავი, რომელიც ხდება რაღაც სივრცეში გარკვეული დროის გარეშე; ანუ, ეს ამბავი არ არის დროით განსაზღვრული. თავად მითის სპეციფიკაც ამაში მდგომარეობს: სივრცე მითში განსაზღვრულია და ამ სივრცით შემოსაზღვრულნი არიან მითის პერსონაჟები. უნდა აღინიშნოს, რომ მითის რიტუალად გათამაშებაც უდროობას ემყარება: რიტუალით ხდება გათვალსაზრისება, რომ მითი ყოველთვის ხდება. სივრცე ისაზღვრება აგრეთვე მოქმედების ადგილის მითითებით, რომელიც არის ან დედამიწა ან ზეცა ან რომელიმე სამეფო ან რომელიმე მთა. ამასთანავე, პერსონაჟების განსაზღვრულობის გამო მითი მრავალფენიანი ხდება: შეიძლება მოჰყვე მითს ჰერაკლესზე, რომელმაც ანტეოსი დაამარცხა და შესაძლებელია მოჰყვე მითს ანტეოსზე, რომელიც დამარცხდა ჰერაკლესთან ბრძოლაში. ამდენად, მითში ყველა პერსონაჟი „მთავარია“ და ამიტომაც არც ერთი არ არის შემთხვევითი, „გზაზე შემხვედრი“ და ამიტომაც ვამბობთ ჩვენ, რომ მითის სივრცე განსაზღვრულია – მრავალკუთხედი, რომლის კუთხეების თავში ანუ გვერდიგვერდ – მითის პერსონაჟები დგანან. ეს ყველაფერი სტრუქტურულად რომ წარმოვიდგინოთ და დროის საზღვრითი ცნებაც მიუყენოთ, მივიღებთ, რომ ეს მრავალკუთხედი მყარად დგას და დრო მას ვერ ცვლის, რადგანაც იგი შეკრულია და დროისათვის შესასვლელი ადგილი აღარაა დარჩენილი. დროის ყველა წერტილში ეს სტრუქტურა იგივე რჩება.

ჟამთააღმწერლობა არის ამბავი, რომელიც ხდება რაღაც დროის განმავლობაში გაურკვეველ სივრცეში. ეს ამბავი არ არის სივრცით განსაზღვრული. მის ძირითად თემას წარმოადგენს დროის მონაკვეთი, რომელიც სადღაც იწყება და სადღაც მთავრდება. ეს დროის მონაკვეთი, როგორც წესი, მოზომილია ვინმე ერთი სუბიექტის მიხედვით და საითაც „წავა“ ეს სუბიექტი, იქითკენ გაჰყვება ჟამთააღმწერლობა, იმ სივრცეს მოიცავს, ყოველგვარი წინასწარი დადგენის გარეშე. ამიტომაც, ჟამთააღმწერლობაში მთავარი მოქმედი პირის გარდა (ვისზეც იწერება ამბავი), ყველა „შემთხვევითია“. – ასეთი ამბავი არის მონაკვეთი, ხაზი, რომელიც გაშლილია ნებისმიერ სიბრტყეზე, მაგრამ აქვს დასაწყისი და დასასრული და რადგანაც დრო ამ შემთხვევაში სწორი ხაზია, ის შეიძლება სივრცის ნებისმიერ წერტილში მოხდეს. ერთადერთი შემზღუდველი ამ შემთხვევაში არის მონაკვეთის სიგრძე და მიმართულება.

ისტორია არის ამბავი, რომელიც ხდება რაღაც დროში და რაღაც სივრცეში; ანუ, ისტორიაში დროც და სივრცეც გარკვეული და განსაზღვრულია; ანუ, ამ შემთხვევაში ის სივრცე, რომელშიცაა სუბიექტი, შემორტყმულია დროით – ანუ, მთელ იმ სივრცეს, რომელიც აღიწერება, როგორც ისტორიის სუბიექტის გზა, შეესაბამება ამ სუბიექტის დრო და სხვა სუბიექტებთან მხოლოდ ზედაპირული შეხება თუ ხდება. ამდენად, ჩვენ აქ საქმე გვაქვს სფეროსებრ ფიგურასთან; ამ სისრულის და ყოვლისმომცველობის გამო – დრო და სივრცე ორივე განსაზღვრულია – ისტორიის სუბიექტიც ყოვლისმომცველი ხდება და, ფაქტობრივად, ამ სფეროს ყოველ წერტილს იკავებს – ამ სფეროს საკუთარ სახელს არქმევს. ისტორიის სუბიექტი, როგორც ვნახეთ, კრებითი და ზოგადი ერთეულია (ერი, ხალხი, კლასი).

ამ „თამაშში“, ამ თანხვედრებში ძნელი შესამჩნევი არაა, რომ მათ წყობას, მიმდევრობას „განვითარებას“ ვერ დაარქმევ. – ამ „თამაშით“, ფაქტობრივად, ის სხვადასხვა ვარიანტებია შემოთავაზებული, რომელსაც ენაში არსებული საზღვრითი ცნებები ქმნიან ცნობიერებისთვის და რომელთაც ცნობიერება ჯერ, სანამ თვითონ არ დაუწყია თამაში, „სერიოზულად“ იღებს და რიტუალის, ცნობიერების შინაარსის ორიენტირად თვლის. თავისთავად პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს დროების მიმდევრობას: სავსებით შესაძლებელია ეს სამეული ისე განლაგებულიყო, რომ – წინანი უკან ყოფილიყვნენ, უკანანი კი წინ.

აქ, ბუნებრივია, უნდა გაგვიჩინდეს კითხვა ღმერთის ცნების ადგილის შესახებ. – როგორც ვიცით, ეს ცნება, რეალურად, მეორე დროის დამწყებია, როგორც ჟამთააღმწერლობის სუბიექტი და ხშირად მითის სუბიექტადაც გვევლინება. რა თქმა უნდა, კაცობრიობის კულტურისათვის ამ ცნებას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ცნობიერებისათვის ის პირველადი – ისეთივე, როგორც დრო, სივრცე და ამბავი – არ არის და აგებულია დროის და სივრცის ცნებების ჩამოყალიბების ანალოგიით: ეს ცნება მიიღება სივრცისა და დროის სხვადასხვა შესაბამებების გაარსებითებით ანუ სახელის დარქმევით. ასე რომ, კანტს რომ ტერმინები ვესესხოთ, უნდა ვთქვათ, რომ ღმერთის ცნება „ემპირიული და რეპროდუქტიულია“.

რაც შეეხება სუბიექტის ცნებას, რომელსაც ჩვენ მიმართებათა ჩამოთვლისას ვიყენებით: რა თქმა უნდა სუბიექტის ის ცნება, რომესაც ჩვენ ფილოსოფიის ისტორიაში ვხედავთ და ემპირიულ სიტყვათხმარებაში ვხვდებით, არ არის „ის“ ცნება. ის სუბიექტი არის ამბის გამაამბებელი, ამბავში მოქცეული და მისგან განუყოფელი. თუმცა, შემდეგ ამ ცნებისათვის

Subjestum-ის დარქმევამ (რომელიც სხვა არაფერია, თუ არა „ქვემდებარე“ (ბერძნ. ΠΟΚΕΙΜΕΝΟΝ-ის თარგმანი) – წინადადების წევრი) და ფილოსოფიურ-თეოლოგიური რეფლექსიის სფეროში მოხვედრამ თავის მხრივ დროებზეც იმოქმედა – ამის გამო სხვადასხვა დროში სუბიექტი ზოგჯერ ემიჯნება შემთხვევას, ხან აბსოლუტურად დამოუკიდებელი ხდება, ხან კი კვლავ მასში ბრუნდება.

როგორც ვიცით, კიდევ არსებობს სხვა საზღვრითი ცნებები, რომლებიც ჩვენს მიერ აღწერილ მიმართებებში არ ჩანს, თუმცა, კულტურისა და ცივილიზაციის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი არის. ასეთი ცნებებია, მაგალითად, ყოფიერება, ცნობიერება, სამყარო და სხვა. აღსანიშნავია, რომ სამივე ეს ცნება ფილოსოფიურია ანუ კულტურაში ისინი ფილოსოფიას შეაქვს.

ეს არ ნიშნავს, რომ „ყველა ფილოსოფია“ ან ფილოსოფოსი ამ ცნებებს უნდა იხილავდეს. შეიძლება საერთოდ მათი გვერდის ავლა. უბრალოდ, ეს საზღვრითი ცნებები ფილოსოფიური მიდგომით არის შემუშავებული; ანუ ენაში პირველადი საზღვრითი ცნებების შემჩნევით და მათი განვხილვის დაწყებით; როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფილოსოფია არის აზროვნება საზღვრით ცნებებზე. ეს არ ნიშნავს, რომ ფილოსოფიური საზღვრითი ცნებები, რომლებიც ენობრივი საზღვრითი ცნებების ასახსნელად იყო შექმნილი, უაზრო არის – მაგალითად, თანამედროვე ცივილიზაციის შექმნაში უდიდესი როლი შეასრულა სამყაროს, ???-ის ცნებამ. ამავე დროს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფილოსოფიური საზღვრითი ცნებების შემუშავება იგულისხმება ენაში, რასაც საბოლოოდ უნდა გამოეწვია ცნობიერების და ენის ურთიერთდამთხვევა.

საზღვრითი ცნებების დაყოფა საკუთრივ ენობრივად და „ფილოსოფიურად“ არ ნიშნავს, რომ ენობრივი საზღვრითი ცნებები – ამბავი, „სუბიექტი“, სივრცე, დრო – იმთავითვე ამოკითხულ იქნენ და სხვადასხვა მნიშვნელობით არ გამოიყენებოდნენ.

ამ ცნებათა შემუშავების და განსაზღვრებების ისტორიას თვალი რომ გავადევნოთ, ვნახავთ, რომ მათ შორის ასე თუ ისე ერთგვაროვანი განსაზღვრების ბედი მხოლოდ სივრცეს ერგო – ალბათ იმიტომ, რომ ამ ოთხ ცნებაში ყველაზე ემპირიული და „საგრძობი“ ის აღმოჩნდა: არისტოტელედან დაწყებული, ფრანგ ფილოსოფოს გიუიოთი დამთავრებული, სივრცის დეფინაცია „ერთმანეთის შემდეგ მდგომარეობის“ გარშემო ტრიალებს.

რაც შეეხება შემთხვევას: ეს ცნება იმდენად ზედაპირზე იყო, იმდენად ცხადი ჩანდა, რომ მისადმი ფილოსოფიის და საერთოდ რეფლექსიის მიპყრობა მხოლოდ XX საუკუნეში მოხერხდა (ჰაიდეგერი) და ესეც მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, როდესაც ფილოსოფიამ ყურადღება კონკრეტულ ადამიანზე გადაიტანა. – აღმოჩნდა, რომ მუნყოფიერების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრი არის ამბავი, რომელშიც ის არის და აგრეთვე ისიც, რომ მუნყოფიერების მთელი არსებობა, ემპირიულადაც კი, ამბების მონაცვლეობაა.

ცოტა, უფრო ფართო ისტორია აქვს სუბიექტის ცნების დადგენას: მას შემდეგ, რაც ის „ქვემდებარე“ გახდა, ბუნებრივია, დადგა შემასმენლის ანუ ობიექტის არსებობის მოთხოვნილებაც. როგორც ვხედავთ, ეს მიმართულება, რომელმაც შემეცნების თეორია საუკუნეების განმავლობაში ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავი გახადა, წინადადების აგებულებაზე ანუ აბსოლუტურად ენობრივ სტრუქტურაზე ყოფილა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, ეს შეცდომა არ არის. მაგრამ ამ ფენომენის მხოლოდ ერთი მხარეა. ამის შემდეგ სუბიექტი და ობიექტი ერთად განიხილებოდა – ობიექტი ხან დამოუკიდებლად, ხან კი სუბიექტის (შემეცნებისთეორიული) არაცნობიერი მოღვაწეობის შედეგად ცხადდებოდა. ბოლოს კი დადგა მომენტი, როდესაც გამოცხადდა, რომ სუბიექტი გაქრა ფილოსოფიის ჰორიზონტიდან. ამას მხოლოდ ერთი ახსნა აქვს: სინამდვილეში გაქრა ობიექტი, რადგან XIX-XX საუკუნეებში ობიექტი უკვე აღარ იყო საინტერესო, სუბიექტით ამოწურულად ითვლებოდა. არსებული პოზიციის გამო მას სუბიექტიც მიაყოლეს, რადგან ის უკვე აღიქმებოდა როგორც მხოლოდ შემეცნებისთეორიული და მხოლოდ ობიექტთან ოპოზიციაში. სინამდვილეში კი, ალბათ, საქმე შემდეგნაირად უნდა ყოფილიყო: რაკი ყურადღება მიექცა სუბიექტის პრაქტიკულ მოქმედებას (ეს სადღაც კირკეგორიდან იწყება), თანდათან ჰორიზონტზე დაიწყო „შემთხვევის“ ცნებამ გამოჩენა და ყოფილი „შემეცნებისთეორიული სუბიექტი“ ჩაჯდა მასში; ფაქტობრივად, ექსისტენცში, ყოველგვარი ოპოზიციის გარეშე, როგორც შემთხვევის შემოქმედი და მონაწილე (შეიძლება ითქვას, რომ ოპოზიცია შეცვალა სუბორდინაციამ). ასე რომ, ხდება ე. წ. „პრაქტიკული სუბიექტის“ განხორციელება, რომლის ჩანასახებიც, შემეცნების თეორიის და შემეცნებისთეორიული სუბიექტის გვერდით, ჯერ კიდევ „პრაქტიკული გონების კრიტიკაშია“, რომლის ძირითადი დამსახურებაც ალბათ სწორედ ეს არის და არა კატეგორიული იმპერატივის დადგენა.

დროის ცნებაც სახეცვლილებას განიცდის; თავიდან, ანტიკურ პერიოდში, დრო, რომლითაც ხდება სამყაროში მიმდინარე ცვლილებების აღრიცხვა, მოაზროვნეთა ყურადღების ღირსადაც არ არის ჩავლილი. შემდეგ კი, როგორც სუბიექტის აღმნუსხველი და „მისი დროის“ დამთვლელი, სააზროვნო საგანი ხდება. ამ დროს ფიქსირდება დროის წრფივი – მათემატიკური – წარსული-აწმყო-მომავლისეული, ტრიადული გაგება. შემდეგ კი, როდესაც სუბიექტი უკვე სივრცეშიც ფიქსირდება, დრო თანდათან ტოტალურად იღებს პერიოდის, ძირითადი განმსაზღვრელი პრინციპის მნიშვნელობას. დრო ხდება ყოფიერების განმსაზღვრელი – როგორც ეს ჰაიდეგერთანაა: ანუ ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ყოფიერებაში, ისე აღვიქვამთ ყოფნას ჩვენს გარშემო და თვითონ ყოფიერებასაც კი – როგორ დროშიც ვართ. თავად დრო კი ისაზღვრება მოაზროვნების გადამწყვეტი ნაბიჯებით, როგორც პლატონმა განვისაზღვრა დრო ჭეშმარიტების გამოთვლადობაზე მიმართულობით. დრო, ამავე დროს, შეიძლება იყოს ჩვენი ამგვარად არსებობის საფუძველიც, როგორც ეს ჰუსერლთანაა. საბოლოოდ, დროის ყველა გაგება ორ ინტერპრეტაციაზე დაიყვანება: წრფივი, მათემატიკური გაგება, რომელიც დროს უსასრულობაში გზავნის და მისი დასაწყისი და დასასრული შინაგანად ვერ მოიაზრება და ე. წ. სფეროსებული დრო, რომელიც უფრო შინაგანი, არსებითი პრინციპია, რომელსაც არაფერი არ ესაზღვრება, რომელიც თავის თავში მოიცავს მთელ ყოფიერს. დროის ყველა განსაზღვრება, დაწყებული ჰერაკლიტედან ჩვენს დრომდე, ამ ორ წერტილს შორის მიმოიქცევა.

V

ΑΙΩΝ ΠΕΙΧ ΕΣΤΙ ΠΑΙΖΟΝ, ΠΕΣΣΕΥΘΑΝ, ΠΕΙΔΟΧ Η ΒΑΣΙΛΗΥ (52 Diels) ჰერაკლიტეს ეს სიტყვები გვაფიქრებს და ამ ფრაზას ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოდ ხდის; თუნდაც იმიტომ, რომ მასში გამოყენებულია ორი ცნება – „დრო“ და „თამაში“: „დრო არის – ბავშვი რომ თამაშობს ქვებით (ქვების აგდებით); ბავშვის საბრძანებელი“. ΑΙΩΝ ჰერაკლიტეს ხანაში ნიშნავდა პერიოდს, საუკუნეს, დროის განსაზღვრულ მონაკვეთს; ასეთი გაგება კი ძალიან წააგავს დროის იმ მნიშვნელობას, რომელიც ჩვენ გამოვიყენეთ ცნობიერების ფორმების აღწერისას. – არ უნდა დავივიწყოთ, რომ ცნობიერების ფორმა-შინაარსი ასევე, ცნობიერების ფორმების ცვალებადობაც, – პლატონის გამოქვაბულის მითის ინტერპრეტაციისას დადგინდა,

თანაც, ჰერაკლიტესეული ცეცხლის დახმარებით. – სწორედ ცეცხლი იყო სხვადასხვა ფორმის მომტანი და ფორმათა ცვალებადობის სიმბოლო.

ჰერაკლიტესეული ცეცხლი აენტება და ქრება. ეს ცეცხლი კოსმოსია; $\kappa\omicron\sigma\mu\omicron\nu$.. $\varepsilon\sigma\tau\alpha\ \pi\alpha\rho\ \alpha\epsilon\iota\zeta\alpha\omicron\nu$, $\alpha\pi\iota\omicron\mu\epsilon\upsilon\omicron\nu\ \mu\epsilon\tau\rho\alpha\ \kappa\alpha\iota\ \alpha\pi\iota\sigma\beta\epsilon\nu\varsigma\mu\epsilon\upsilon\omicron\nu\ \mu\epsilon\tau\rho\alpha$ (30 Diels). მაშასადამე, ცეცხლის პერიოდები – ანთება-ჩაქრობა – კოსმოსის პერიოდებიც არიან. პერიოდს კი $\alpha\iota\omega\nu$ ეწოდება. ამიტომაც ვამბობთ ჩვენ – თუ ცეცხლი ცნობიერების, როგორც ფორმის სიმბოლოა, მაშინ დრო ($\alpha\iota\omega\nu$) ნიშნავს იმ კონკრეტულ ფორმებს, რომელსაც ცნობიერება საკუთარ გზაზე მოძრაობისას ხვდება ხოლმე.

ახლა უნდა გავარკვიოთ, თუ რატომ არის „დრო – ბავშვის საბრძანებელი“. ამაზე, უპირველეს ყოვლისა, მთლიანი ფრაგმენტის პირველმა ნაწილმა უნდა მიგვითითოს: დრო ბავშვის თამაშია ქვებით; ანუ, ფრაზა გვეუბნება, რომ დრო (ყველა დრო) – თამაშითა შექმნილი და თამაშით არის. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, თუ რას ნიშნავს ქვებით თამაში (ქვების გდება) – ეს ნიშნავს ერთი და იმავე ქვების სხვადასხვა მიმდევრობით, სხვადასხვა პოზიციაში დავარდნას (დაწყობას). – ჰერაკლიტე გვეუბნება, რომ ყველა დროს, რომელიც არის ანდა შეიძლება იყოს, არის ერთი და იმავე ელემენტების, ფენომენების ნებისმიერი კავშირების რიგი. ნებისმიერი იმიტომ, რომ ბავშვი მათ საკუთარი სურვილის მიხედვით აგდებს და არა გარედან განსაზღვრული წესების მიხედვით.

როდესაც ჩვენ ენობრივ საზღვრით ცნებებს ვიკვლევდით, ვთქვით, რომ სხვადასხვა დრო ამ საზღვრითი ცნებების სხვადასხვა შესაბამებით იწყობა. იქვე აღვნიშნეთ, რომ ენა, მას შემდეგ, რაც მასში კატასტროფა „ხდება“, იწყებს თამაშს – ეს თამაში გამოიხატება საკუთრივი საზღვრითი ცნებების გადაწყო-გადმოწყობაში. ის ქვები, რომლებითაც ჰერაკლიტეს ბავშვი თამაშობს, ალბათ საზღვრითი ცნებები არიან, – მაშინ მათი ყოველი ახალი პოზიცია – ახალი $\alpha\iota\omega\nu$ -ია.

როდესაც ჩვენ ენის თამაში ვახსენეთ, არ გვითქვამს, თუ რატომ ვუწოდებთ ამ მოქმედებას თამაშს – რა თქმა უნდა, გადაწყო-გადმოწყობა, გდება შეიძლება თამაშად ჩავთვალოთ, მაგრამ ეს თამაში აუცილებლად უნდა დავუახლოოთ თამაშის ჩვენეულ განსაზღვრებას „თამაშის ფენომენოლოგიაში“. ჩვენ ვთქვით, რომ თამაში არის მეტა-რიტუალი ანუ ისეთი რიტუალი, რომელსაც „მიზანი“ (მითი) თავის თავს გარეთ არ აქვს და თუკი

შეიძლება საერთოდ მის მიზანზე ლაპარაკი, მისი მიზანი ისევ რიტუალია. ენის შემთხვევაშიც, საზღვრითი ცნებების შექმნით ენაში იგივეობა დგინდება მოქმედებასა და მოქმედების მიზანს ანუ მათ აღმნიშვნელებს შორის. ეს მოქმედება, „სანამ“ საზღვრითი ცნება შეიქმნება, შეიძლება ჩავთვალოთ გარე სამყაროში, სინამდვილეში გარკვევის მიმართულებად. – ანუ, როდესაც საჭიროა შენს გარშემო მიმდინარე მოვლენების დაფიქსირება, გაჩერება; მაგრამ ამ გაჩერების შემდეგ, ფაქტობრივად, ეს გაჩერებული იკავებს სამყაროს ადგილს ისევე, როგორც ცნობიერების შემთხვევაში – როდესაც ცნობიერების ფორმა ჩერდება და შინაარსი იწყებს ცვალებადობას (თამაშის საშუალებით). ასევე, ენაში სამყარო გაჩერებულია, ხოლო საზღვრითი ცნებები კი „თამაშობენ“ – სხვადასხვანაირად ესადაგებიან ერთმანეთს – თანაც ყოველი ეს მისადაგება თანაბრად ესაბამება ენაში გაჩერებულ სამყაროს და არ ეწინააღმდეგება მას.

მაშასადამე, ჩვენი და ჩვენს გვერდით არსებული ენა ცნობიერების უძრაობას გვიჩვენებს, იმას, რაც ჯერ არ არის. – ენა არის ისეთი სარკე, რომელშიც ჩანს, თუ რა მოხდება, რა მოუვა ცნობიერებას; ანუ ენა არის ანარეკლი არეკლილის გარეშე. ასევე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ „საკუთრივ-საზღვრით-ცნებამდელი ენა“ (ასეთი არსებობის დაშვება კი მხოლოდ თეორიულად შეიძლება) ასახავდა ცნობიერების მოძრაობას.

როგორც ვხედავთ, ენა თავის თავში აიგივებს მოქმედებას და მოქმედების მიზანს, რიტუალს და მითს. შინაარსს და ფორმას. გაიგივების საფუძველზე იქმნება საზღვრითი ცნებები. ამ საზღვრითი ცნებების შექმნა კატასტროფაა და ენა წყვეტს მოძრაობას, მაგრამ იწყებს თამაშს. ამ თამაშით ხდება დროების შექმნა. მას შემდეგ, რაც ენა პრინციპულად ამოწურავს სათამაშოს ანუ ყველა ვარიანტს გაითამაშებს, ცნობიერება, რომელშიც არის ენა და რომლის ფორმასაც ენა წარმოადგენს, გაუიგივდება თავის თავს და ამავე დროს ენასაც. – რადგან მოხდება ფორმისა და შინაარსის დამთხვევა. ამის ფორმალურ დამადასტურებლად უნდა გავიხსენოთ, რომ, როგორც ვთქვით, თავისუფლება ხდება ცნობიერების, როგორც ზმნის იგივეობრივი. ეს კი ნიშნავს, რომ ცნობიერებაში ფორმა-შინაარსის გაიგივება ამავე დროს გამოიხატება არსებითი სახელი „ცნობიერების“ ზმნა „ცნობიერებად“ გადაქცევაში ანუ სიტყვას ორივე მნიშვნელობა ენიჭება.

ჰერაკლიტემ მოგვცა დროის ფორმულა. პლატონთან ჰერაკლიტეს კვალის პონა და ამ საფუძველზე ჰერაკლიტეს ზოგიერთი ფრაგმენტის ახსნა – მის დაკარგულ ფილოსოფიაზეც

გველაპარაკება, რომელიც სოკრატემ წაიკითხა და „რაც ვერ გაიგო“, უფრო მოეწონა. ჰერაკლიტეს კიდევ ერთი ფრანგმენტი გვეუბნება, რომ ჩვენი მიმართება სწორი უნდა იყოს: $\alpha\iota\delta\omega\nu\ \alpha\delta\upsilon\rho\mu\alpha\tau\alpha$ ($\square\ \alpha\beta\theta\pi\omega\pi\iota\nu\alpha\ \delta\iota\zeta\alpha\mu\alpha\tau\alpha$ (30 Diels) – „ადამიანთა აზრები“ (მიჩნევის შედეგი) – ბავშვთა თამაშია“. ჰერაკლიტე იყენებს სიტყვა $\delta\iota\zeta\alpha\mu\alpha\tau\alpha$ -ს, რაც ნიშნავს არა იდეებს, არა ცნობიერების რაიმე სტრუქტურას, არამედ შინაარსობრივ, ე. წ. „რეგულატორულ“ აზრებს, რითაც ადამიანი მუნყოფიერებაში ცხოვრობს და სამყაროში ერკვევა. ამ ფენომენს ჩვენს დროში „მსოფლმხედველობა“ ეწოდა. ამ ფრანგმენტის ასე წაკითხვა მიგვითითებს, რომ თუკი $\alpha\iota\delta\omega\nu$ – ბავშვის თამაშია, ადამანის აზრი, რომელიც ამ $\alpha\iota\delta\omega\nu$ -ით ანუ მეტა-სამყაროთი ანუ ცნობიერების ფორმით ისახლვრება, – მით უმეტეს ბავშვის თამაშობაა, არასერიოზულია და არ არის ყურადღების ღირსი.

ამრიგად, საფუძველი გვეძლევა ვივარაუდოთ, რომ რაც პლატონმა გამოქვეყნების მითით გვითხრა, რაღაცნაირი სახით ჰერაკლიტესთან იყო მოცემული – ყოველ შემთხვევაში ირკვევა, რომ ცეცხლი, რომელიც გამოქვეყნებულში მყოფს ფორმას აძლევს, მხოლოდ ლიტერატურული ანალოგიის გამო არ დაუნთია პლატონს – რომ ამას უფრო ღრმა საფუძველი ჰქონდა.

აქამდე ჰერაკლიტეს ძენონის გვერდით მხოლოდ ფორმალურად ვაყენებდით: ძენონს, როგორც ფილოსოფიის პირველ შესამჩნევ დამწყებს, ესაბამება ჰერაკლიტე, როგორც სიტყვა „ფილოსოფიის“ შემქმნელი. ამჯერად – ფილოსოფიით გადმოცემული ცნობიერების ტრაგიკულობის კვალი ჰერაკლიტესათანაც ვნახეთ.

ძენონს თავისი ფილოსოფია მსოფლმხედველობად არ უქცევია. შესაძლებელია ამის არ კეთების სტიმული მისთვის პარმენიდეს მაგალითი იყო. ჰერაკლიტეს შესახებ შემონახული გადმოცემა კი თითქოს გვეუბნება, რომ იგი საკუთარი ფილოსოფიის მიხედვით ცხოვრობდა:

ჰერაკლიტე განერიდა სახელმწიფო მოღვაწეობას. ამბოდენ, რომ ის ბავშვებთან თამაშს და ცეცხლთან ჯდომას არჩევდა სახელმწიფო საქმეებზე ლაპარაკს. ალბათ ის, ამ დროს, ყველაზე უფრო ახლოს გრძნობდა თავს სამყაროს წესრიგთან და აგებულებასთან. ჰერაკლიტეს უთქვამს, რომ მას ბავშვებთან თამაში ურჩევნია ეფესოსის ბასილევსობას. ასეთი მოქმედება ერთი მხრივ შეიძლება ფილოსოფიის მსოფლმხედველობის ქცევად ჩავთვალოთ. თუმცა, შესაძლებელია, – ჰერაკლიტეს არ უნდოდა სამყაროს სტრუქტურის ორ სიმბოლოს დაშორებოდა – თამაშს და ცეცხლს – და ამით ფილოსოფიისადმი ერთგულებას გამოხატავდა.

ასეთ ფონზე კიდევ ერთი ფილოსოფოსის ცხოვრება ირკვევა – პლატონი. ჩანს, ის უფრო დროის შვილი იყო. ცნობიერების ტრაგიკულობა, რომელიც მან გამოქვაბულის მითში აღწერა – მისთვის ისევე არ იყო ღირებულებითი მიდგომის წყარო, როგორც ჰერაკლიტესთვის და ძენონისათვის. ოღონდაც, საყაროს წესრიგთან ყოფნა მისთვის – მითში ყოფნაა და მითებით ლაპარაკი. სწორედ მითის (დროის) მიხედვით, დროების ცვალებადობას მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა – მითში ხომ ყველაფერი მეორდება. ამიტომაც მან ჰერაკლიტესაგან ცეცხლი „ისესხა“, დრო (αἰ&ν) კი – უყურადღებოდ დატოვა.

VI

ალბათ უკვე შეიძლება თვითონ ფილოსოფიაზე რაღაც სიტყვა ითქვას. ჩვენ ვამბობდით, რომ ფილოსოფია საზღვრითი ცნებების კვლევაა; მაგრამ ამ კვლევის ისტორიის ძალიან ზედაპირულმა გადახედვამაც დაგვარწმუნა, რომ მკაცრი აზრით ამ ფენომენზე „კვლევის“ თქმა არ შეიძლება: ფაქტობრივად, ყველა დროში ვინმე ფილოსოფოსი შესაბამისად კითხულობდა საზღვრით ცნებებს და დროის მიხედვით განმარტავდა. ამდენად, ერთადერთი მისაღები, ამ პოზიციიდან, ფილოსოფიის განსაზღვრაა: საზღვრითი ცნებების აღწერა.

როგორც ვნახეთ, ფილოსოფია გადამწყვეტ როლის ასრულებდა დროთა ცვალებადობაში. ჩვენ გავადევნეთ თვალი, თუ როგორც მოხდა ერთი დროის მეორეთი ჩანაცვლება ფილოსოფიური მიდგომის საშუალებით. ასევე, ემპირიულად, მითის დროის ჟამთააღმწერლური დროით შეცვლის მიზეზი შეიძლება დავინახოთ მოაზროვნეთა მიმართულობაში მრავალმერტიანობიდან ერთდმერტიანობისაკენ.

ამ ცვალებადობებს „არასუბიექტური“ ფენომენები უღევს საფუძვლად. ჩვენ ამის შესახებ უკვე ვილაპარაკეთ; მაგრამ ეს „კანონები“ ფილოსოფიაში ვლინდებიან ანუ დრო ფილოსოფიის ენით აცხადებს დამთავრებას და დაწყებას. თუმცა, შესაძლებელია ამის გამოხატვა ფილოსოფიაში თვითონ ფილოსოფიის არსების ადეკვატური იყოს, ჩვენ კი ამ არსების გაუკუღმართებად ჩავთვალოთ; მაგრამ ფაქტია, რომ იგი ცვლილების მიმნიშნებლად მაინც რჩება. რაც შეეხება ფილოსოფიის არსების გადამფარავებს, რომლებიც, როგორც ვთქვით, არიან მეტაფიზიკა და აგრეთვე, ონტოლოგიაც: თუკი ფილოსოფიას განვიხილავთ, როგორც

საზღვრითი ცნებების დესკრიფციას, ბუნებრივია, ყოველთვის შევეცდებით ამრეზით მოვეკიდოთ სიბრძნის ელემენტებს, რომელნიც, როგორც აღვნიშნეთ, ფილოსოფიას საწყისიდანვე „დაეხედა“ პარმენიდეს მიერ. მაგრამ, მეორე მხრივ, თუკი ფილოსოფიას შევხედავთ როგორც დროთა ცვალებადობის გამომხატველს და ამ ცვალებადობათა რეალურ ბიძგს, – მაშინ უნდა შევეგუოთ ფილოსოფიაში მომხდარ ამ „დანაშაულს“ და ვადიაროთ, რომ თუ არა ონტოლოგიური და მეტაფიზიკური ელემენტები, ჩვენი ბედი, რომელიც ჩვენ დროშია მოქცეული, სხვაგვარად წარმართებოდა ანუ შეიძლება ითქვას, ბედი არ გვექნებოდა.

მაგრამ როგორი იქნება ფილოსოფია ახლა – ჩვენს დროში, რომლიდანაც, როგორც აღვნიშნეთ, ახალ დროზე გადასვლა არ მოხდება და მამასადამე, მეტაფიზიკისა და ონტოლოგიის „ონტოლოგიური“ მოთხოვნილება აღარ დგას. თუნდაც იმიტომ, რომ მეტაფიზიკისა და ონტოლოგიის შესაძლებლობები ფაქტობრივად ამოწურულია. ამიტომაც ხდება, ჩვენი დროის დადგომასთან ერთად, ჯერ ამ ორი ელემენტის აბსოლუტური გამოხატვა (ჰეგელი, შელინგი, ფიხტე) და შემდეგ კი – მათი უარყოფების კორიანტელი.

„ახალ“ დროში, როდესაც „დრო უკვე აღარ იქნება“, ფილოსოფიას აქვს შესაძლებლობა დაუბრუნდეს თავის განუხორციელებელ ამოსავალს და უკვე სუფთა და გაწმენდილი სახით გააგრძელოს არსებობა; მაგრამ რამდენად არის შესაძლებელი ამის განხორციელება? შეიძლება წარმოვიდგინოთ ფილოსოფიის გზა, რომელიც საზღვრითი ცნებების დ მათ მოღუსების ძეხნით დაიკავებს თავს და ამის შედეგად დიდ სიმაღლეებს მიაღწევს; მაგრამ ფაქტობრივი და, როგორც ჩანს, ძირითადი⁺ ფუნქცია – დროების ცვალებადობის ბიძგი – მას უკვე აღარ ექნება. დროების ცვალებადობის დამთავრებით, ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ცნობიერება მოძრაობას შეწყვეტს, ბევრად უფრო ადრე კატასტროფამდე, ფილოსოფია ნიშანს იძლევა; მაგრამ ეს ნიშანი თვითონ ფილოსოფიის მიერ შექმნილი მიმართულებების, მაგალიად, მეცნიერების მიერ, იფარება და არმეცნიერულად ცხადდება. მეორე მხრივ კი – მოთამაშე ადამიანს ეს ნიშანი მეორე ადამიანის მიერ გამოგზავნილი ჰგონია და იწყებს თამაშის ახალი წესების მოგონებას, რათა ამ ნიშანს ადგილი მოუნახოს თავისი ცნობიერების მეტა-შინაარსში, მეტა-ცნობიერებაში.

ამ პასაჟით ჩვენ ისევ დავბრუნდით ტრაგედიის ანალოგიების სფეროში: თუკი ცნობიერებას ვუყურებთ როგორც ტრაგედიის პერსონაჟს, მაშინ ჩვენ უკვე ვიცით,

ცნობიერებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი კონკრეტული ტრაგედიის სახელი და შესაბამისად ტრაგედიის მთავარი გმირიც – კასანდრა.

ამრიგად, ჩვენი ნაწერიც ტრაგედიის სტრუქტურაში მოექცა. დასაწყისში მოყვანილი დებულებები იცვლება და სხვანაირად წარმოგვიდგება შემდეგ მიღებულების მიერ, მაგრამ ამ უკანასკნელებამდე პირველების გარეშე ვერ მიხვალ. ფაქტობრივად დიალექტიკაც – ცნობიერების ტრაგიკულობის გადმოცემის არალირებულებითი ვარიანტია.

ამ ნაწილის დასაწყისში დასმული ამოცანის „ამოხსნით“ – ენის, როგორც ტრაგედიის განმარტებით, გამოირკვა ალბად ყველაზე უფრო დიდი ტრაგედია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იწერება და რომელსაც კლასიკური ტრადიციის შესაბამისად „კასანდრა“ დავარქვით. შემთხვევითი არ არის, რომ „კასანდრა“ როგორც ცალკე ლიტერატურული ფაქტი, მხოლოდ ახალ დროში იწყებს არსებობას. – ალბათ ცნობიერების ბედის შეგრძნების გამძაფრებასთან დაკავშირებით. კასანდრას ამბავი გვეუბნება – ბედის მცოდნე განწირულია ურწმუნობისათვის, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი უნარი გვიჩვენებს იმას, თუ „სინამდვილეში“ რა არის ის ორიენტირი, ის მეტა-სამყარო, რომლისაკენაცაა მოძრაობა მიმართული. ეს „სინამდვილე“ კი, როგორც წესი, მიმართულობის საწინააღმდეგოა.

ილუსტრაცია: ზღაპრის ესთეტიკა

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ „ესთეტიკა“ არ ნიშნავს ფილოსოფიის „თანამედროვე“ მიმართულებას, რომელიც მშვენიერებას, ამაღლებულს და სხვა შესაბამის კატეგორიებს შეისწავლის. ჩვენ დავუბრუნდებით სიტყვის საფუძველ-მნიშვნელობას: αἰσθητικὴ – არის შეგრძნება, გრძნობა, მოცემული განცდა. ამავე დროს αἰσθητικὴ არის კვალი – რომელიც გველაპარაკება ცხოველის შესახებ და კარგი მკითხველი, მონადირე ზუსტად მიჰყავს კვალის დამტოვებლამდე. კვალი არის ის, რაც რჩება, რასაც გარკვეული განსაზღვრული დრო-სივრცული პარამეტრები აქვს, განსხვავებით მეკვლესაგან, რომელიც მოძრაობს და მისი მოხელთება ძნელია. კვალის მიმდევრობას, რომელთაგანაც თითოეული გაჩერებულია, მიყვავართ ცხოველისაკენ და ზუსტად იძებნება, ემთხვევა იმას, სადაც ცხოველი იყო და არის. – კვალი

ამბის განუსაზღვრობა მიგვითითებს – არც ერთ მაგთანში დროის დასახელება არ ხდება, ხოლო ჯადოსნური ელემენტების თანაარსებობა არ გვაძლევს საშუალებას ეს ამბები სადღაც ჩვენს დროში, ანდა რომელიღაც დროში მოვათავსოთ.

სავსებით შესაძლებელია, ეს თვისება იყოს ერთადერთი, რომელიც ზღაპარს სხვა ლიტერატურული ფენომენებისაგან განასხვავებს: მითში, ისევე როგორც მითიურ დროში, განსაზღვრულია და ნაცნობია ადგილი ანუ მოქმედების სივრცე. სარაინდო რომანში, სხვა მსგავს ნაწარმოებებში, რომლებსაც გმირი ანუ ერთი კონკრეტული სუბიექტი ჰყავთ, განსაზღვრულია დრო. უფრო გვიანდელ, ლამის ჩვენს თანამედროვე ლიტერატურაში – სივრცეც და დროც, რაც გაურკვეველს ხდის „მთავარი გმირის“ ფიგურას, იმდენად მთლიანობაში ჩანს იგი თავის გარემოსთან.

აქ შეიძლება ეჭვი წარმოიშვას ზღაპრის ჯადოსნური ელემენტის გამო – ის ხომ არ არის ზღაპრის არსების განმსაზღვრელი. ემპირიულად, რა თქმა უნდა; მაგრამ ზღაპრის თავისდავადი, ე. წ. „ტრანსცენდენტალური“ მიზეზი უცნობი დრო და სივრცეა. ემპირიულად კი, მართლაც, ჯადოსნური ელემენტის არსებობა „აიძულებს“ მეზღაპრეს ზღაპარში მიმდინარე მოვლენები უცნობ დრო-სივრცეში გადაიტანოს, თუნდაც იმიტომ, რომ ზღაპარმა ტყუილის სახე არ მიიღოს (ტყუილი არის ნაცნობ დრო-სივრცეში უცნაური და არადაძაგერებელი მოვლენების მოთავსება). უცნობი გარემო, სადაც არავინ არ არის ნამყოფი, ზღაპრის არაზღაპრულად აღქმას გამოიწვევს. ხოლო „ტრანსცენდენტალურად“ – უცნობი დრო-სივრცე მაქსიმალურ თავისუფლებას იძლევა და ამიტომაც მასში ყოვლად შეუძლებელი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების (ჯადოქრობის) მოთავსების შესაძლებლობასაც. – ზღაპარი, რომელშიც ჯადოსნური ელემენტები ნაკლებად არის, მაინც ზღაპარია, სწორედ უცნობი გარემოს გამო.

ჩვენ ვნახეთ, რომ დროების ცვალებადობას თანხვდება ე. წ. „მსოფლმხედველობრივი ტიპების“ ცვალებადობაც. ბუნებრივია, თუკი „მსოფლმხედველობები“ იცვლება, მაშინ მათზე ემპირიულად დამოკიდებული ფენომენებიც უნდა იცვლებოდნენ. ერთ-ერთი ასეთია ლიტერატურა. ლიტერატურის ტიპები ასახავენ და კარგად გადმოსცემენ დროების ცვალებადობას; ჩვენ შეგვიძლია თვალი ვადევნოთ დროების შესაბამისი ლიტერატურის ფორმებს;

„პირველი“ დრო, რომელსაც ჩვენ ჩავწვდით, არის მითი – ამ შემთხვევაში ბევრი საუბარი არ არის საჭირო – მითის დრო მიგვითითებს, რომ ამდროინდელი ლიტერატურა

ისაზღვრება მითით და არის მითი; მითი, ამბავი, რომელიც ხდება რაღაც სივრცეში და არა აქვს დრო ე. ი. ყველა დროში. ჟამთააღმწერლობა, როგორც ვნახეთ, არის რაღაც დრო გარკვეული, განსაზღვრული სივრცის გარეშე. ეს დრო გმირის, მოქმედი პირის დროა – საითაც გაიწევეს გმირი, საითაც წავა, ის სივრცე შემოვა მის „გარემოში“. ამის გამოხატვა მოხდა როგორც სარაინდო რომანებში, ასევე წმინდანთა ცხოვრებებში. ისტორიის დროში, რომლის დრო-სივრცეც ჩვენ სფეროს შევადარეთ, არის განსაზღვრული დროისა და ასეთივე სივრცის ლიტერატურა. ამ დროის რომანი გადმოგვცემს არა გმირის დროს, არამედ სამყაროს, ეპოქას ანუ „გარემოს“ გადმოცემის პრეტენზია აქვს (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ახალ დროში და განსაკუთრებით XIX-XX საუკუნეებში აქტიურად იწყება მწერლის წიგნებში „ფილოსოფიის“ ძიება. ამის კარგ საფუძველს იძლევა გარემოს, სამყაროს გადმოცემისაკენ მიმართულებობა. ასევე, იწყება ასეთი მიდგომის გადატანა სხვა, „წინა“ დროების ლიტერატურაზე, რაც ამ უკანასკნელთათვის უცხოა და მიუღებელი. ის „ფილოსოფია“ კი, რომლის მოპოვებისაკენ ისწრაფვიან, ავტორის მსოფლმხედველობაა და სხვა არაფერი). ასეთი ლიტერატურის კარგი მაგალითებია ე. წ. ექსისტენციალური რომანები, რომლებშიც მთავარ გმირებს იმდენად აქვს დაკარგული „გმირული“ თვისებები, იმდენად ჩვეულებრივნი არიან, რომ მხოლოდ „გარემოს“, სამყაროს გამოხატვის საშუალებად იქცევიან. ასეთი ლიტერატურის გმირების საშუალებით ხდება ე. წ. „ეპოქის სულის“ გადმოცემა. ასევე, ამ მიმართულების მაგალითია ფრანგული ლიტერატურის „ახალი ტალღა“.

საკითხავია, რატომ გამოიხატება დროების ცვალებადობა ასე კარგად ლიტერატურაში. – არა მარტო ლიტერატურაში, ადამიანთან დაკავშირებულ ყველა ფენომენში კარგად ჩანს დროის კვალი. ლიტერატურაში ის უბრალოდ, ადვილად ჩანს; რადგანაც, როგორც ვნახეთ, საზღვრითი ცნებების ურთიერთშესაბამებანი, რომლებიც დროს ქმნიან, ენაში ხდება, ხოლო ლიტერატურა, როგორც მისგან წარმოშობილი და მეორე მხრივ, მისი წყარო (ემპირიულად – მეტყველებასთან ერთად) ახლოს დგას ენასთან და მისი „პირველი დონის ანარეკლია“.

ჩვენ გავნიხილეთ რამდენიმე ნიმუხი, რომლებითაც დროები თავს ავლენენ; მაგრამ არ მიგვიტოვებია მათ შორის ზღაპარი, რომელიც თავის „გარემოს“ მიხედვით ამ რიგის მოვლენა უნდა იყოს, მაგრამ სწორედ თავისი „გარემოს“ მიხედვით იგი არც ერთ ტიპში არ თავსდება.

წინა თავებში ჩვენ მოვნიშნეთ, ის რაც „იქნება“ დროების შემდეგ; ანუ როდესაც დრო უკვე აღარ იქნება; და იგი თამაშის ნიშნით დავბეჭდეთ. თამაშის „დრო“, როგორც ვნახეთ, იწვევს რიტუალის მეტა-რიტუალად გადაქცევას და მეტა-რიტუალი – მეტა-სამყაროს მიმართების წარმოშობას. ხდება ცნობიერების გაიგივება ენასთან. თამაში, რომელიც ენაშია, ემთხვევა იმ თამაშს, რომელიც ცნობიერებაში წარმოიშობა (ფორმალურად). ამ „დროს“ ახალი დროის წარმოშობა აღარ ხდება, რადგანაც საზღვრითი ცნებების ყველა ურთიერთშესაბამება ამოწურულია. კანტის ენით რომ ვთქვათ, შესაბამისად ამისა იწურება აპრორიული ფორმების ანუ ემპირიული დრო-სივრცე-შემთხვევის შესატყვისობები, მათი ახალი პოზიცია გამორიცხულია. ერთადერთი ახალი პოზიცია, თუკი ამას პოზიცია შეიძლება დავარქვათ, არის მდგომარეობა, როდესაც დრო და სივრცე თან განსაზღვრულები არიან, თან – განუსაზღვრელები; ასევე – შემთხვევა და სუბიექტი – ცალ-ცალკე უნდა საზღვრავდნენ მიმართულებას და თანაც ერთმანეთით ისაზღვრებოდნენ.

ლიტერატურულ ფორმაში ამ „ახალი“ პოზიციის შესატყვისი არის ზღაპარი. მისი დრო და სივრცე, ერთის მხრივ, განსაზღვრულია, რადგან მასში აღიწერება მოქმედების დრო და ადგილი, მეორე მხრივ კი – განუსაზღვრელი: ეს დრო და ადგილი უცნობია და მისი პოვნა შეუძლებელია. ასევე პერსონაჟისა და სიუჟეტის ურთიერთობაც: ერთი მხრივ, სიუჟეტი, როგორც ზღაპრულ შემთხვევათა ერთობა, განსაზღვრავს პერსონაჟს, ხოლო მეორე მხრივ კი, პერსონაჟი, როგორც მოქმედი – სიუჟეტს.

თუკი ლიტერატურაში მსგავს ფენომენს ძებნას დავუწევთ, ვიპოვით: ეს არის Fantasy – თანამედროვე ზღაპარი, რომელიც იქმნება მითოლოგიურ და ზღაპრულ ელემენტებზე დაყრდნობით და წარმოშობიდან (XX საუკუნის დასაწყისი) სულ უფრო და უფრო დიდ პოპულარობას იხვეჭს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს უბრალოდ სიუჟეტის და გმირის დაბრუნებაა, მაგრამ ზღაპრის და ჟამთააღმწერლობის „გარემოების“ განსხვავება ამ აზრს გვატოვებინებს.

თამაშს მოაქვს ზღაპრის ფენომენი, ზღაპრის „ეპოქა“. თითქოსდა ეს ფაქტი გვაიძულებს უიმედოდ ყოფნას და მოქმედებაზე უარის თქმას. სინამდვილეში კი პირიქით: ერთი მხრივ, იგი გვიჩვენებს ღირებულებითი მიდგომის არასაკმარისობას, არაპერსპექტიულობას, ხოლო მეორე მხრივ, ამ მაგალითით მიგვითითებს სამყაროს ყოველი ფენომენის „მნიშვნელობაზე“ და

გვეუბნება, რომ ისიც კი, რასაც ღირებულებითი მიდგომა არასერიოზულად და უმნიშვნელოდ თვლის, შეიძლება სწორედ ამ მიდგომის ერთ-ერთი განსაზღვრელიც აღმოჩნდეს.

მაგრამ აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა; ყველა „ჟანრი“ ასე თუ ისე თავის დროს იქმნება. ზღაპარი კი, შეიძლება ითქვას, თავიდან არის. საქმე ისაა, რომ ზღაპარი, როგორც საზღვრითი ცნებების „განუსაზღვრელი“, გაურკვეველი ურთიერთობა, არის „პირველი“, როდესაც საზღვრითი ცნებები „უკვე“ არიან, ხოლო განსაზღვრული ურთიერთობა მათ შორის კი არ დაწყებულა. ე. ი. ზღაპარი არის მითამდე და მითთან ერთად. ის არ არის ცნობიერების ფორმა – ის არის პირველი ნაბიჯი ამ ფორმების შესაქმნელად.

ხოლო Fantasy-ს, რომელიც არის ბოლო „ფორმა“, ისეთივე მახასიათებლები ახლავს, ისეთივე „გარემო“ აქვს, როგორც მანამდე, ე. წ. ჯადოსნურ, „ხალხურ“ ზღაპარს; მაგრამ Fantasy-ს შემთხვევაში ეს გარემო მიღებულია წინა და საერთოდ გარემოს უარყოფით, – „სათამაშოებზე“ ანუ საზღვრითი ცნებების განსაზღვრულ ურთიერთმიმართებებზე და თავად საზღვრით ცნებებზე უარის თქმით.

ჰერაკლიტემ გვითხრა: „დრო არის – ბავშვი რომ თამაშობს ქვების გდებით“. ამ ფრაგმენტს შემდეგნაირად ვკითხულობთ: დრო – ენის თამაშია, საზღვრითი ცნებების სხვადასხვა შესაბამება ერთმანეთთან.

ბოლო სურათია: ცნობიერება „თავიდან“ არის გაუცხოებული ენა, რომელიც თამაშს, როგორც თავისთვის და თავის თავში მყოფ მდგომარეობას უცხოვდება და ეძებს ორიენტირს, რათა თავისი რიტუალი მიმართოს. ასეთ ორიენტირად მას თამაშის გაჩერებული პოზიციები წარმოუდგება. ამ მდგომარეობაში, ენასთან ურთიერთობაში ცნობიერება ისაზღვრება, როგორც უარყოფა. ეს უარყოფების, მოძრაობების რიგი მთავრდება კატასტროფით, გაჩერებით, რომლის დროსაც ცნობიერება, რომელიც უარყოფაა, უიგვედება ენას. ხდება მისი იგივეობრივი. უარყოფის ეს უნარი, რომელიც ცნობიერებაში არის, მაგრამ უკვე მისი საკუთარი ველარ იქნება, ხდება ამ იგივეობის შესაძლებლობა; ხოლო ენა, რომელიც ამ იგივეობის ფორმულაში ერთადერთია, რომელსაც რაღაცის უარყოფა შეუძლია (თავისი თამაშის), უარყოფს თავის პოზიციას. ჩვენ ვხედავთ, რომ „ჯერ“ ცნობიერებისა და ენის გაიგივება „წამიერია“ და ისინი კვლავ ოპოზიციამდე დგებიან. ენისათვის თამაშის უარყოფა დრო-სივრცისა და შემთხვევა-სუბიექტის (სათამაშოების) უარყოფას ნიშნავს; ანუ მათ არ არსებობას, განსაზღვრულობას და თან

გაუსაზღვრელობას. ენა ამ საფუძველზე თავიდან ქმნის ახალ „გარემოს“ – ზღაპარს. ეს „გარემო“ იდეალურია მოთამაშე ცნობიერებისათვის. თამაში ხომ მაქსიმალურად ღია, განთავისუფლებულ (ე. ი. კატასტროფულ) გარემოს მოითხოვს და კვლავ ხდება ენისა და ცნობიერების გაიგივება. ამით თამაშს განუსაზღვრელი, შემოუსაზღვრავი „გარემო“ უმტკიცდება, რაც გამორიცხავს ამ მდგომარეობის გადალახვას, ე. ი. გაუცხოება-უარყოფას, საზღვრის უქონლობის გამო. ეს გარემო კვლავ, მაგრამ უკვე ფორმალურად – ჰორიზონტულია: ნებისმიერი წინ წაწევა – გადასალახავად – უკან წევს ჰორიზონტს, რაც ცნობიერებას ისევ „დროში ყოფნის“ ილუზიას უქმნის. ცნობიერება ზღაპარში იწყებს თამაშს.

ბოლოსიტყვაობის მაგივრად

ჩვენ ვნახეთ, რომ დროებში პირველი არის მითი. მართალია, ეს ყოფნა, ტრადიციული კატეგორიებით რომ ვიმსჯელოთ, შემთხვევითია. რადგანაც განუსაზღვრელია, ენის საზღვრითი ცნებებით თამაშისას რომელი გაწყობა იმთავრებს; მაგრამ არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც გვაიძულებს ეს ფენომენი „შემთხვევითობის და აუცილებლობის დამთხვევად“ მაინც ჩავთვალოთ – თვით მითის სტრუქტურა: შემთხვევა განსაზღვრულ სივრცეში. უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვათ, რომ ეს გაწყობა არის „პირველი“ შესაძლებელი კომბინაცია, სადაც საერთოდ შეიძლება რაიმე სისტემაზე ილაპარაკო – სამი ელემენტის შესაძლებელი კავშირებიდან უმარტივესია განხორციელებული: ორი მათგანი მკაცრ, განსაზღვრულ მიმართებაშია ერთმანეთთან, მესამე კი – ორივესთან განუსაზღვრელში. სავსებით შესაძლებელია „პირველი“ სხვა განწყობა ყოფილიყო – როდესაც შემთხვევა და დრო იქნებოდა განსაზღვრული. ეს შესაბამება, როგორც ვნახეთ, მითის შემდეგ მოხდა და ჩვენ მას ჟამთააღმწერლობა დავარქვით.

ამჯერად ჩვენი ამოცანაა ვნახოთ, თუ რა გავლენა მოახდინა ცნობიერებაზე საზღვრითი ცნებების „შემთხვევითი“ მიმართებების მიმდევრობამ ანუ თუ რას ნიშნავს ჩვენთვის ის, რომ ცნობიერება პირველად მითში იწყებს ცხოვრებას. ამისათვის მითის აგებულებას უნდა დავუბრუნდეთ და გამოვარკვიოთ, თუ რას ენათესავება, ან რას ემთხვევა ეს სტრუქტურა ჩვენს გარემოში: მითი არის რაღაც გარკვეული შემთხვევის აღწერა გარკვეულ, განსაზღვრულ სივრცეში. ეს შემთხვევა ყველა დროში, ყოველთვის ხდება (სადაც ეს სივრცე შეიმჩნევა). ამ მიმართების მაქსიმალური განზოგადებით შემდეგ სურათს ვიღებთ: აღიწერება, მოიცემა რაღაც მდგომარეობა, რომელიც თავის შესაბამის სივრცეში ყოველთვის არის. ჩვენს გარემოში რომ მიმოვიხედოთ, ადვილად ვიპოვით იგივეობრივი სტრუქტურის ფენომენს: ეს არის კანონი. თანაც არა მხოლოდ მეცნიერული. თუმცა, მეცნიერების მაგალითზე ამ დებულების მართებულობა ადვილად ჩანს: ყოველი მეცნიერება იძლევა კანონებს – რომლებიც ალგვიწერენ გარკვეულ მდგომარეობებს, რომლებიც მართებულნი არიან იმ სივრცისათვის, რომელსაც კანონი შემოსაზღვრავს თავისი მოქმედების სფეროდ. მაგალითად, ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის

კანონი სწორედ გარკვეული სივრცისთვისაა გამოსადეგი, ამ სივრცეში კი – ყოველთვის ხორციელდება; მაგრამ კანონი – თუნდაც მხოლოდ ემპირიულად-ენობრივად-დასახელების მიხედვით – მხოლოდ მეცნიერების კუთვნილება არ არის. არსებობს იურიდიული, მორალური და სხვა ტიპის კანონები. სიმართლისაგან არ იქნება შორს, თუ ვიტყვით, რომ ადამიანი კანონებში ცხოვრობს, კანონებად აწყობს საკუთარ გარემოს. ყველა სფეროში, ყველა დონეზე, რომლებშიც ადამიანი მოქმედებს, არის ამა თუ იმ სფეროს ანუ სივრცის კანონები. ცნობიერება ყველგან კანონს ხედავს – პოეზიაშიც, მხატვრობაშიც, საერთოდ, საკუთარი მოქმედების ნებისმიერ მიმართულებაში.

მაშასადამე, ცნობიერება ყველგან მითს ხედავს. მორალი ანუ ზნეობრივი, ეთიკური კანონები არის ადამიანთა შორის ურთიერთმიმართების გამითება; ანუ მითი ამ სფეროს შესახებ, რომელშიც შემოსაზღვრულია სივრცე (ადამიანთა შორის იმართება, ადამიანის მიმართება სხვასთან), დრო კი უგულებელყოფილია. – ეს მითი, რომელსაც მორალი ჰქვია, თავისი მითობის გამო, ყოველთვის უნდა მოხდეს (იგივე ითქმის სხვა კანონებზეც).

აქ უკვე გამოიკვეთა, თუ რას ნიშნავს „პირველ“ დროდ მითის ყოფნა: ცნობიერება მთლიანად, მაშინაც კი, როცა ის მითში აღარ არის, ისაზღვრება მითით და მითის მიერ მოცემული დროით ცხოვრობს. მითი, როგორც სამყაროს პირველი ხატი – კონკრეტული მეტა-სამყარო, რომელსაც ამ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება შინაარსობრივი ფენომენი ვუწოდოთ (რადგან კონკრეტულია) – იქცევა ფორმალურ მოვლენად, რომელიც ფუნქციონალურად საზღვრავს ყოველად არამითიურ მეტა-სამყაროებს; იმით, რომ სწორედ მითიურობა აიძულებს ცნობიერებას შექმნას მეტა-სამყარო ანუ გარემო კანონში მოათავსოს.

ახლა უკვე გასაგები ხდება და მეტაფორის ფარგლებს შორდება, ჩვენ რომ ცნობიერების შინაარსს რიტუალი დავარქვით. ამდენად, ცნობიერების ფორმას იმიტომ კი არ შეიძლება მითი დავუძახოთ, – შინაარსი რომ რიტუალია, არამედ შინაარსს იმიტომ შეიძლება რიტუალი ვუწოდოთ, რომ ცნობიერების „ფორმის ფორმა“ – მითია.

ამ საფუძველზე უკვე ცხადი ხდება, თუ რატომ უყვარდა პლატონს მითებით ლაპარაკი და ასევე, რატომაა, რომ ჰერაკლიტეს ბევრი შემორჩენილი ფრაგმენტი მითის ფორმას გულისხმობს; მითებით ლაპარაკი საფუძველთან ახლოს დგომას, მასთან მიახლოებას ნიშნავს. მითის მოყოლა ამავე დროს ადამიანის და სამყაროს აგებულების მოყოლაცაა.

აქ ერთი პრობლემა წარმოიშობა: უნდა განსხვავდეს ამათუიმ კანონის ჩამომყალიბებელი ფენომენი – წინააღმდეგ შემთხვევაში საყოველთაო ერთიანობასა და განურჩევლობის დასკვნა გვეპუქრება, რაც აქამდე ჩვენს ნათქვამს ფაქტობრივად გააუქმებს.

მაგრამ აქ – სხვა დროების ფაქტორი უნდა გავიხსენოთ. კანონის შექმნელ ყველა ფენომენს თავისი დრო აქვს; ანუ, კანონის შექმნის ის ტიპი იწყებს ყოფნას, რომელიც ყველაზე უფრო შეესაბამება მოცემულ დროს.

ასე – ჟამთააღმწერლობის გმირისათვის სივრცე განუსაზღვრელია, – ანუ მან არ იცის, ვის და რას შეხვდება ცხოვრების გზაზე – იწყება იურიდიული და ეთიკური კანონების ჩამოყალიბება, რომლებმაც სწორედ ასეთი შემთხვევითი შეხვედრები უნდა მოიყვანონ წესრიგში. ისტორიის დროში მეცნიერების დაფუძნება ხდება. იმ მეცნიერების, რომლის საფუძლად შეიძლება ლოკის გამოთქმა ჩავთვალოთ – საგნის ცოდნა ნიშნავს საგნის გენეზისის ცოდნას. ეს ფენომენი ისტორიის სტრუქტურას ეფუძნება – მასში დრო სივრცე, ისევე, როგორც შემთხვევა (შემთხვევის სუბიექტი) განსაზღვრულები არიან. დროს და სივრცის თანაბარი განსაზღვრულობის შემოტანა კი შედეგად მეცნიერებას იძლევა (როგორც მაქსიმალური სიზუსტის გამოხატვა).

რაც შეეხება ხელოვნებას – მისი, როგორც კანონის ანუ მითის როლი მითის დროიდანვეა განსაზღვრული და ყველა დროში მის შესახებ სხვადასხვა კანონები (მითები) იქმნება. თუმცა, ყველამ ვიცით, რომ არსებობს აზრი, რომლის მიხედვითაც ჰომეროსი, დანტე და რილკე – ერთსა და იმავე კანონს ექვემდებარებიან და ასრულებენ. ეს სხვა არაფერს ნიშნავს, გარდა მისა, რომ ხელოვნებას ერთი მითი აქვს. შესაბამისად, ყველა ნამდვილი რიტუალი (ხელოვნების ნაწარმები) ამ ერთ მითს მიემართება – დროის მიუხედავად.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ფილოსოფია არ ანალიზებს, – რომ ის აღწერს გარემოს; ანუ, ფილოსოფია სივრცეში გაშლილ მოქმედებას (შემთხვევას) აღწერს. ამდენად ფილოსოფია არის – მითის აღწერა. ამდენად, ყველაფრის ფილოსოფია შეიძლება არსებობდეს და მაინც, თუკი შეიძლება ფილოსოფიის „სწორ მიმართულებაზე“ ვილაპარაკოთ, ფილოსოფია აღწერს ცნობიერების მითს. ამ აზრით გამოქვაბულის მითი და ტრანსცენდენტალური ესთეტიკა ერთი და იგივეა. ამდენად, ფილოსოფია, განსხვავებით ცნობიერების სხვა ფენომენებისაგან, მითს აღწერს – არც ქმნის მას და არც ასრულებს.

და ბოლოს, საშუალება გვეძლევა შევხვთ XX საუკუნეში წარმოშობილ დებულებას „აღმოსავლეთისა და დასავლეთის განსხვავებულობის“ შესახებ. უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვათ, რომ ის განსხვავება, რომელიც XIX საუკუნეში იყო – უკვე აღარ არის. ხოლო რაც შეეხება იმას, რაც იყო: დასავლეთის ცნობიერებისათვის ეს მისწრაფება იყო საკუთარი წარსულის ნოსტალგია, რომელიც ახლი დროის შექმნის ნიღბით მოქმედებდა და მხოლოდ საკუთარ წარსულს ნახულობდა.

მაშასადამე, ცნობიერება არა მარტო იწყებს მითში ცხოვრებას. ყველაზე უფრო ფართო გარემო, რომელშიც კი შესაძლებელია ცნობიერების მოაზრება – მითია; ანუ, ცნობიერება საერთოდ და მხოლოდ მითში ცხოვრობს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ: ფილოსოფია საზღვრითი ცნებების აღწერაა. ამჯერად საზღვრითი ცნებები მითის ადეკვატურნი აღმოჩნდნენ: ფილოსოფია აღწერს საზღვრით ცნებებს მათ შესაძლებელ ურთიერთმიმართებებში (როგორც ისინი მას ეძლევიან). ამით ფილოსოფია იმ კანონს (მითს) აღწერს, რომელშიც ცნობიერება სახლობს. აქვე გასაგები ხდება, თუ მუდამ რატომ ემუქრება ფილოსოფიას მსოფლმხედველობად ქცევა: როგორც კი იწყება რომელიმე კონკრეტული მითის (დროის) აღწერა, ფილოსოფია მსოფლმხედველობის გადმოცემა ხდება. თუმცა, მეორეს მხრივ, კონკრეტული მითების (დროების) აღწერაც ხომ ფილოსოფოსის საქმეა; მაგრამ ალბათ ყველაზე სახიფათო საქმე, რომელიც ერთი მხრივ საკუთარ არსებას აკარგვინებს (მსოფლმხედველობად აქცევს), ხოლო მეორე მხრივ – საკუთარი არსების მიხედვით ამოქმედებს, რაც - დროთა ცვალებადობის მაუწყებლობაა.